საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№30 (312)
12 – 18 აგვისტო, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



5

## «ეს ხელისუფლება არის მარიონეტების თეატრი და მისგან სერიოზულად არ უნდა აღვიქვათ არაფერი»

## «არ დამქერის დედას»!

4



2

## ვიდეოიავნანამ რა ჰქმნა, ანუ ნაცკოვზი ნაცარშია!

იური იზიუმოვი:

8

## 9 აპრილი ედუარდ შევარდნაძისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მოწყობილია

«ძნელია იმჟამინდელი ამბების გახსენება, იზიუმოვის ეს წერილი რომ წავიკითხე, მოსვენება დავკარგე, ღამეები არ მძინავს. 25 წლის განმავლობაში ჩადენილ დანაშაულებზე, ადამიანთა სიბინძურეზე ერმა აგო პასუხი»



ჯუმბერ პატიაშვილი:

## რაც ვიცი, ნეტავ, ისიც არ ვიცოდე



ფრიდონ თოდუა:

12

## რუსეთთან დაპირისპირების პოლიტიკამ, რომელიც ამდენი ხანია, გრძელდება, უბედურებისა და ტრაგედიის მეტი, არაფერი მოგვიტანა

„ისტორიას მივანდოთ იმის გარკვევის უფლება, ვინ, სად, როდის რა შეცდომა დაუშვა; ჩვენ კი — ხელისუფლებამ, პროფესიულმა გაერთიანებებმა, შემოქმედებითმა კავშირებმა — ვცადოთ, აღვადგინოთ იმ შეცდომების გამო ჩატეხილი ჩვენი ერთობის ხიდი“

## «აჩვენეთ მსოფლიოს კადრები, როგორ აწამებენ, აუპატიურებენ და კლავენ ადამიანებს სააკაშვილის ჯალათები»

6



„ანახონ ფართო საზოგადოებას და სრულიად მსოფლიოს, რა უბედურება ტრიალებდა აქ. ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ხელისუფლებამ ვერ შეძლო ეს და მით უფრო სამწუხაროა, რომ ის ფესვები, რომლებიც „ნაცმოძრაობას“ ღრმად ჰქონდა გადგმული, ჯერ კიდევ არ არის ამოძირკვული“

3 ოდესას უკრაინის «გეი-დედაქალაქად» გადაქცევას უპირებენ

3 «უკრაინას ელის შიმშილი და სიცივე»

7 ნაგავი გასატანია! ანუ ულტრა-თანამედროვე ანეკდოტი: «რუსთავი 2» სიტყვის თავისუფლე-ბისთვის იბრძვის»

10 ნეოლიბერა-ლების ყელში გაჩხერილი ძვალი და გლობალისტების მორიგი «იალლიში»

11 ჰოლივუდური (შაშ)კინო აგვისტოს ომის შესახებ

14 ამერიკასა და ევროპაში ოჯახის ინსტიტუტზე მორიგი, კარგად ორგანიზებული შეტევა დაიწყო

15 ივანიშვილი — «წამოცდენათა» დიდოსტატი

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## შს მინისტრის მოადგილედ ზურაბ გამეზარდაშვილი დაინიშნა

**საქართველოს შს მინისტრ გიორგი მღებრიშვილის მოადგილედ შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსი, გენერალ-მაიორი ზურაბ გამეზარდაშვილი დაინიშნა.**

ზურაბ გამეზარდაშვილს შსს-ს უმაღლესი სკოლა აქვს დამთავრებული და წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა.





### ირაკლი ღარიბაშვილი: კარბელაშვილი არის ცნობილი ნარკომანი, კრიმინალი და სააკაშვილის მონა, მან დაგეგმა ეს პროვოკაცია

**„ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც პოლიციის წინააღმდეგ რაიმე ქმედებას განახორციელებს, ის იქნება კანონის შესაბამისად მკაცრად დასჯილი“, — ასე გამოეხმაურა პრემიერმინისტრი გიორგი კარბელაშვილის დაკავებას.**

„რაც ვნახე, არის ყოვლად აღმაშფოთებელი. მინდა, დავგმო დეპუტატის ეს ქმედება. მან დაგეგმა პროვოკაცია. კადრებში ჩანს, როგორ აგინებს ის პოლიციელებს. ქართულ პოლიციას აგინებს ადამიანი, რომელიც არის ნარკომანი, კრიმინალი, თავზეხელაღებული და სააკაშვილის მონა. არ მინდოდა ამ სიტყვების თქმა, მაგრამ ისინი იმსახურებენ ამას. მინდა, აღვნიშნო, რომ ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც პოლიციის წინააღმდეგ რაიმე ქმედებას განახორციელებს, ის იქნება კანონის შესაბამისად მკაცრად დასჯილი და არ აქვს მნიშვნელობა, „ნაციონალი“ იქნება, „ოცნების“ წევრი თუ მინისტრი. ეს არის ჩემი პოზიცია და ამას მტკიცედ დავიცავ. **ყველას მოვუწოდებ, პირველ რიგში — პროვოკატორებს, რომლებიც ცდილობენ, რომ ქართული პოლიციის სახელი შებღალონ, მათი ეს მცდელობა დასრულდება კრახით. ისინი დაისჯებიან სამაგალითოდ, იქნება ეს კარბელაშვილი თუ ბარამიძე, რომლებიც პირდაპირ პროვოცირებენ და იწვევენ ჩვენს პოლიციელებს.** მადლობა მინდა გადავუხადო პოლიციელებს ასეთი ღირსეული და პროფესიონალური მოქცევისთვის!“ — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# ვიდეოიავნანამ რა ჰქმნა, ანუ ნაცკოვზი ნაცარშია!

**ბოდიშების ნიაღვარი მხოლოდ გვიან საღამოს წამოვიდა. მანამდე კი „ეს მერაბიშვილის პოლიცია აღარ არის! ეს შევარდნაძის ძაღლების დაბრუნებაა!“ და პოლიციის შეურაცხმყოფელი სხვა მსგავსი ეპითეტები არ დაუშურებიათ გიორგი კარბელაშვილს, გიორგი ბარამიძესა და „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა სახეებს.**




„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩვეულ სტილში ჩაატარა სპეციალური ბრიფინგი კახეთის გზატკეცილზე და **გოკა გაბაშვილმაც** ჩვეულებრივად დასდო ბრალი პოლიციას პროვოკაციაში, ბიძინა ივანიშვილის ნების უსიტყვო მორჩილებასა და უკანონო ბრძანებების აღსრულებაში.

ყოველივე ამის კვალობაზე, ყველაზე მთავარი მაინც **გიორგი კარბელაშვილის** სასაცილო გამოხდომები იყო.

**დაკავებისას გაგლეჯილი მთვრალი იყო და, ღმერთმა უწყის, რატომ გაჰყვიროდა „თავისუფლება გმირებს“-ო, მაგრამ უკვე დილით, „ნაპახმელიევზე,“ ისეთები მოუყვა ტელევიზიებს, „მიმიქარავს“ ვაშლოვნელი ქეთოს ლეკებისგან გატაცების ისტორია!**

და ასე **მრავალგზის ნატანჯმა, გატაცებულ-გამოტაცებულმა, ცხინვალში გადაყვანილმა, უკან გადმოყვანილმა, მოსაკლავად გამეტებულმა და მაინც ვერმოკლულმა „გმირმა კარბელამ“ უკვე გვარიანად მოსაღამოებულზე მორცხვად მოიხადა ბოდიში — რაღაც მომენტში რომელიღაც გზაზე მომეჩვენა, რომ ცხინვალისკენ მივყავდი და იმიტომ მოვბოდე ეგ ყველაფერი. სინამდვილეში კი, გამახსენდა, რომ გათხლეშილი მთვრალი ვიყავი და ცუდად ვიქცეოდი, ბიდიშს ვიხდი და არასოდეს ასე აღარ მოვიქცევი, დედას ვფიცავ, მამას ვფიცავ, ყველაფერს გეფიცებითო, — დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო გიორგი კარბელაშვილის მიერ ღამით გაკეთებული განცხადება.**

რაშია საქმე? „გატაცებულ“ და მოგვიანებით „დაბრუნებულ“ „კარბელას“ ვინმემ მშობლიური „იავნანა“ უმღერა და ამან „გაახსენა“ სინამდვილე?

დიახ! ოღონდ **„იავნანის“ როლი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულმა ვიდეოჩანაწერმა შეასრულა. ამ ჩანაწერში შესანიშნავად ჩანს, გალეშილი პარლამენტარი კარბელაშვილი როგორ „ებლატავება“ პატრულის თანამშრომლებს, უშვერი სიტყვებით როგორ აგინებს მთავრობის წარმომადგენლებს და როგორ იყენებს ბოროტად საკუთარ თანამდებობრივ მდგომარეობას, როდესაც პატრულის თანამშრომლებს ეუბნება — საქართველოს პარლამენტის წევრი ვარ და, რაც უნდა ჩავიდინო, ვერ დამიჭერთო!**

სწორედ ამ „იავნანის“ გავრცელების შემდეგ მოიბოდიშა გოკა გაბაშვილმაც და უკან წაიღო თავისი სიტყვები პოლიციის პროვოკაციულ მოქმედებებსა და ივანიშვილის თავხედობაზე.

თუმცა იქვე დასძინა: „ეგ განცხადება რომ გავაკეთე, მაშინ არ მქონდა ნანახი შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიდეო და იმიტომ გავაკეთე“-ო. **გეგონება, სრულიად საკმარისი გასამართლებელი საბუთი წარმოადგინა იმისთვის, რომ საკუთარი ქვეყნის პოლიცია მძიმედ შეურაცხყო და მთავრობის წარმომადგენლებს უტიფრად დასწამო ცილი.**

მართლაც, საკითხავია: **შსს-მ ცხვირზე რომ არ აგაფაროს ვიდეომასალა, უარგუმენტოდ უნდა ლანძღო და თათხო ძალოვანი უწყებები და მთავრობა?!**

აი, სწორედ აქ აჩენს „ნაციონალური მოძრაობა“ თავის ნამდვილ სახეს.

პრინციპი ასეთია: **ვიდრე გგონია, რომ მოწინააღმდეგე არ ფლობს ვიდეო თუ სხვა სახის მტკიცებულებებს, მიდი და უნამუსოდ დასდე ბრალი, რაშიც გინდა: ადამიანის გატაცება, მკვლელობის მცდელობა... „კრემლის აგენტობაზე“, რაც ჩვენში ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისიდან ყველაზე „მოდური“ ბრალდებაა, არაფერს ვამბობ!**

ხაზგასასმელია ისიც, რომ „აგვისტოს გმირებით“ სპეკულირებაც ძალიან ეხერხებათ „ნაცებს“.

ადამიანი დათვრა, გამოტყვრა, გაილეშა, ასეთ მდგომარეობაში დაჯდა საჭესთან და პატრულის მიერ მის დაკავებას მაინც „აგვისტოს გმირებთან“ აკავშირებდა, ვიდრე ცხვირზე არ ააფარეს „ვიდეოიავნანა“.

ფაქტია, „ნაციონალურ მოძრაობას“ პოლიცია ამოჩემებული ჰყავს და ყველანაირად ცდილობს პოლიციელებზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას. გავიხსენოთ ჯერ **გიგი უგულავას** საქციელი საჯარო ბიბლიოთეკასთან, შემდეგ **ანდრო ბარნოვის** ბღავილი საოკუპაციო ბანერთან და კიდევ არაერთი შემთხვევა ნაცპოლიტიკოსთა მხრიდან პოლიციელების „ნამუსზე აგდების“ მცდელობისა.

ხოლო ამ ბოლო შემთხვევაში, **გორის პოლიციაში კარბელაშვილის გადაყვანისას საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერის, გიორგი ბარამიძის, ჰიპერაქტიურობითა და მისი ყოვლად უტიფარი ლაპარაკით პოლიციის ოფიცრებთან — „რას დაგამსგავსათ ბიძინამ! ეს მერაბიშვილის პოლიცია აღარ არის, თქვენ შევარდნაძის დროინდელ ძაღლებს ემსგავსებით!“ — აშკარაა, „ნაცებს“ იმედი გაუცრუვდათ. ისინი ძალიან იყვნენ დარწმუნებული, რომ პოლიცია ვანოსა და მიშას ერთგული დარჩებოდა და მათ ერთ „დაფშტვენაზე“ დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ დაირაზმებოდა...**

ნაცკოვზი ნაცარშია!

სხვათა შორის, გიორგი ბარამიძეს, განსხვავებით კარბელაშვილ-გაბაშვილისგან, რატომღაც, ჯერად არ მოუხდია ნაცბოდიში...

**ბაკურ სვანიძე**

**მრავალგზის ნატანჯმა, გატაცებულ-გამოტაცებულმა, ცხინვალში გადაყვანილმა, უკან გადმოყვანილმა, მოსაკლავად გამეტებულმა და მაინც ვერმოკლულმა «გმირმა კარბელამ» უკვე გვარიანად მოსაღამოებულზე მორცხვად მოიხადა ბოდიში — რაღაც მომენტში რომელიღაც გზაზე მომეჩვენა, რომ ცხინვალისკენ მივყავდი და იმიტომ მოვბოდე ეგ ყველაფერი. სინამდვილეში კი, გამახსენდა, რომ გათხლეშილი მთვრალი ვიყავი და ცუდად ვიქცეოდი, ბიდიშს ვიხდი და არასოდეს ასე აღარ მოვიქცევი, დედას ვფიცავ, მამას ვფიცავ, ყველაფერს გეფიცებითო**



მსოფლიო

## ფერგიუსონში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს

**მისურის შტატის ქალაქ ფერგიუსონში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს. ბი-ბი-სის ცნობით, ქალაქის ადმინისტრაცია შიშობს, რომ პოლიციის მიერ ფერადკანიანი დემონსტრანტის დაჭრას არეულობა მოჰყვება.** დაჭრილი 18 წლის ტაირონ ჰარისი სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობის გაწევაშია ბრალდებული. იგი იმ აქციას ესწრებოდა, რომელიც ფერადკანიანი მაიკლ ბრაუნის მკვლელობის წლისთავზე გაიმართა.

აქციაზე 50 დემონსტრანტი დააკავეს. გასულ წელს პოლიციის თანამშრომლის — დარენ უილსონის მიერ ახალგაზრდა ფერადკანიანის მკვლელობამ მისურის შტატში და მოგვიანებით მთელი ქვეყნის მასშტაბით მასობრივი საპროტესტო აქციები გამოიწვია.



## ილუზიების კრახი — უკრაინაში მკვეთრად მცირდება ევროკავშირში შესვლის მსურველთა რაოდენობა



**ბოლო წლის განმავლობაში ევროკავშირში შესვლის უკრაინელ მხარდამჭერთა რაოდენობა 15%-ით შემცირდა და 51% შეადგინა — განუცხადა ჟურნალ „ვესტი.რეპორტიორს“ ფონდ „უკრაინსკაია პოლიტიკას“ დირექტორმა კონსტანტინე ბონდარენკომ.** ექსპერტმა განმარტა, რომ ევროკავშირის წევრობის მსურველთა რაოდენობის შემცირება ხელისუფლების მხრიდან შეუსრულებელმა დაპირებებმა განაპირობა. „უკრაინელები იმედოვნებდნენ, რომ მაიდნის შემდეგ ხელისუფლება აქტიურად იბრძოლებდა კორუფციის წინააღმდეგ, რომ ქვეყანა მიიღებდა უვიზო მიმოსვლის რეჟიმს და ა.შ., მაგრამ დღეს ჩვენ ვხედავთ ილუზიების კრახს, რომელიც აუცილებლად მოხდება, როცა მოლოდინი ძალიან დიდია“, — განაცხადა ბონდარენკომ.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## კრის რიგსი:
# აშშ ფაშისტური ქვეყანა ხდება

**მსოფლიოში სახელგანთქმულმა ამერიკელმა მხატვარმა კრის რიგსმა მოსკოვში დაასრულა თავისი მონუმენტური ტილო „მშვიდობა და სიყვარული“, რომელიც შემოქმედის პირველი ნამუშევარია რუსეთში. როგორც კრის რიგსმა განაცხადა, ამ ტილოთი „აღიარებს სიყვარულს რუსეთისა და რუსული კულტურის მიმართ, რომელიც თავისი ხელოვნებით ადამიანებს მოუწოდებს მარადიული ფასეულობებისკენ — მშვიდობისა და სიყვარულისკენ“.**




„ყოველთვის მაცვიფრებდა რუსული სული, რომელმაც თავისი ქვეყნის დაცვისას სძლია ჰიტლერსა და ნაპოლეონს. რუსეთი დამოუკიდებელი ქვეყანაა, რომელიც დასავლეთს საშუალებას არ აძლევს, გააკონტროლოს. ეს ყოველთვის აღმაფრთოვანებდა, რადგან ყველაზე ძალიან მინდა, პლანეტის ყველა ქვეყანაში მშვიდობა და სიყვარული სუფევდეს. რუსეთსა და აშშ-ში ადამიანების დიდ ნაწილს სურს მშვიდობა და **რატომ უნდა თვლიდეს ფინანსური ელიტის 1 პროცენტი, რომ ომის გაჩაღების უფლება აქვს?** მშვიდობა ერთადერთი გადაწყვეტილებაა კაცობრიობის გასავითარებლად. მხოლოდ სულელებს შეუძლიათ, დაიწყონ ომი და დაღუპონ ჩვენი პლანეტა. **თუკი ობამასა და კერის ასე სწყურიათ ომი, მაშინ თვითონ წავიდნენ ომში.** ცივილიზებული ადამიანების მისია პლანეტის განვითარებაა და არა — განადგურება. **ამერიკაში სახელმწიფოს ყოველთვის აქვს ფული კიდევ ერთი ომის საწარმოებლად, მაგრამ არასოდეს აქვს თანხა ბავშვების გასანათლებლად.** ჩვენ უნდა შევწყვიტოთ ომები და სახსრები და ენერგია მივმართოთ კოსმოსის ათვისებისკენ. რატომ უნდა ვესროლოთ ერთმანეთს, როცა ყველას შეგვიძლია სამყაროში მოგზაურობა? **ჩვენ, ყველა, რატომ უნდა ვიტანჯებოდეთ მხოლოდ იმიტომ, რომ ჯორჯ სოროსს სურს ომი და ამ ომით ფულის გამომუშავება? ვინ მისცა მას ამის უფლება?**

მე ძალიან მომწონს რუსული

### «დემოკრატია ამერიკაში — ეს არის მხოლოდ რესპუბლიკელები და დემოკრატები და ამ ორი არჩევანიდან ორივე საშინელებაა. ამერიკაში პრეზიდენტს წინასწარ ირჩევენ კორპორაციების ხელმძღვანელებისა და ბანკირების შეკრებაზე»

კერძები. **აშშ-ში უმრავლესობა პროდუქტებისა გენმოდიფიცირებულია და უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამით კი დიდ სარგებელს იღებენ ფარმაცევტული დარგები, პროდუქტების მწარმოებელი კორპორაციები და მედიცინის სფერო.** დემოკრატია ამერიკაში — ეს არის მხოლოდ რესპუბლიკელები და დემოკრატები და ამ ორი არჩევანიდან ორივე საშინელებაა. ამერიკაში პრეზიდენტს წინასწარ ირჩევენ კორპორაციების ხელმძღვანელებისა და ბანკირების შეკრებაზე.

ამერიკა დღითიდღე სულ უფრო ფაშისტური ქვეყანა ხდება. პოლიციას შეუძლია, ზურგში გესროლოს ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე. ეს არ არის დემოკრატია“, — განაცხადა კრის რიგსმა, რომლის ნამუშევრებიც მსოფლიოს ბევრი ქვეყნის გალერეებს, მუზეუმებსა და კერძო კოლექციებს ამშვენებს.



## ოდესას უკრაინის «გეიდედაქალაქად» გადაქცევას უპირებენ. გეიმსვლელობას სათავეში მიხეილ სააკაშვილი ჩაუდგება

**„აგვისტოს შუა რიცხვებში ოდესაში გაიმართება რამდენიმე ღონისძიება, რომლებიც მიეძღვნება ლგბტ-თემატიკას“, — იუწყება ოდესური გამოცემა „ტაიმერი“.**

ორგანიზაცია „ოდესა პრაიდ 2015“-ს განზრახული აქვს, 13-დან 16 აგვისტომდე ქალაქში მოაწყოს ე.წ. სადისკუსიო მოედნები, რომლის ჩარჩოებშიც იმსჯელებენ ისეთ თემებზე, როგორიცაა „რეგიონში გეიტურისტების“ მოზიდვა და „ლგბტ პირებსა და ქალაქის მოსახლეობას შორის დიალოგის გამართვა“. **ორგანიზატორებს სურთ, რომ „დედა-ოდესა“ უკრაინის „გეიდედაქალაქი“ გახდეს და ამისთვის ყველაფერს იღონებენ.**

15 აგვისტოს კი ოდესელი ჰომოსექსუალები ე.წ. გეიაღლუმის გამართვას აპირებენ. გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, მარშს ლოზუნგით — „ევროპულ თავისუფლებასთან შეერთება“, რომელიც ლეგენდარულ ქუჩა დერიბასოვსკაიაზე გაიმართება, სათავეში ჩაუდგებიან ოდესის ოლქის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი და მისი მოადგილე მარია გაიდარი.

აღსანიშნავია, რომ შარშან ლგბტ თემს ოდესის ხელისუფლებამ უარი განუცხადა აღლუმის გამართვაზე.

## ევროკავშირის ექსკომისარი:
# უკრაინას ელის არა ომი, არამედ შიმშილი და სიცივე

**„ევროკავშირი არაფერს აკეთებს ჰუმანიტარული კატასტროფის ასაცილებლად, რომელიც უკრაინას ემუქრება“, — წერს ყოფილი ევროკომისარი გიუნტერ ფერჰოიგენი სტატიაში „შიმშილისა და სიცივის მუქარა ომის ნაცვლად“, რომელიც გერმანულმა გამოცემამ „ზიუდდოიჩე ცაიტუნგმა“ გამოაქვეყნა.**



„უკრაინა გაკოტრების პირასაა, ეკონომიკა ეცემა, უმუშევრობის დონე სარეკორდოდ მაღალია, გაუმჯობესების პერსპექტივა არ ჩანს, რადგან ასეთ პირობებში ინვესტიციებს არავის ჩადებს. **საზოგადოებაში იზრდება იმედგაცრუება**



**და აღშფოთება პოლიტიკური ვითარების გამო, რომელიც მაიდნის რევოლუციის შემდეგ არ გაუმჯობესებულა. მთავრობისა და პრეზიდენტის პოპულარობა უკიდურესად დაბალია, ნაციონალისტური ძალები კი თესავენ სიძულვილს და პროვოცირებენ არეულობებს.** ზამთრის დასაწყისში კრიზისი უკრაინაში გადავა მწვავე ფაზაში, რადგან დაიწყება ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხება. ეს კი სერიოზულ სოციალურ კრიზისს გამოიწვევს. შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ევროკავშირს, რომელმაც იჩქარა უკრაინასთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება. ევროკავშირმა სათანადოდ უნდა აღიქვას ჰუმანიტარული კატასტროფის რისკი უკრაინაში და დაიწყოს ამ საკითხზე მსჯელობა. მოლაპარაკებებში კი რუსეთიც უნდა ჩართოს“, — წერს ფერჰოიგენი.

## აპაჩები:
# სენატორმა მაკკეინმა წმინდა მიწები წაგვართვა

**„სენატორმა არიზონის შტატიდან — ჯონ მაკკეინმა ფედერალური კანონპროექტის საშუალებით ინდიელთა ტომს — აპაჩებს წმინდა მიწები წაართვა“, — განაცხადა ჩიროკის ტომის ფრინველთა კლანის უხუცესმა — თეთრმა ბუმბულმა.**



„ხელისუფლება ეძებს მეთოდებს, რომლებითაც წაიღებს თავის დროზე ჩვენთვის გადმოცემულ მიწებს. აი ერთი მაგალითი, რომელიც ახლახან მოხდა: **სენატორმა მაკკეინმა არიზონაში, ოაკ ფლეტის თემში წაგვართვა ჩვენი წმინდა მიწები, სადაც ვატარებდით რიტუალებს. ეს მიწები სამხედრო საქმეებს კანონპროექტში ჩართვას და შემდეგ ეს კანონპროექტი კონგრესში გაიტანეს“,** — განაცხადა ჩიროკის ტომის უხუცესმა.

კამპანიები Australian BHP და Rio Tinto 2005 წლიდან ცდილობენ არიზონაში სპილენძის საბადოზე კონტროლის დამყარებას. მას შემდეგ, რაც აპაჩებმა კატეგორიული უარი განაცხადეს გარიგებაზე. სენატორმა მაკკეინმა შეძლო, მიწები შეეტანა ნაციონალური უსაფრთხოების კანონპროექტში, რომელიც შემდეგ აშშ-ის კონგრესმა მიიღო. დოკუმენტმა ინდიელთა პროტესტი გამოიწვია და მათ აქცია გამართეს თეთრ სახლთან. აპაჩები აღშოთებულნი არიან მეთოდით, რომლითაც მიწები წაართვეს. ამ მიწებს კი კანონი იცავდა, რადგან აპაჩებს ეს ტერიტორიები აშშ-ის ხელისუფლებასთან შეთანხმების შედეგად გადაეცათ. თუმცა ყველა შეთანხმება, — ლაპარაკია 600-მდე შეთანხმებაზე ინდიელებსა და აშშ-ის ხელისუფლებას შორის, — აშშ-ის ხელისუფლებამ დაარღვია.

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუ ისევ ასე განაგრძობს ხელისუფლება, მეორედ მოსული „ნაციონალები“ უცებ ჩაუტარებენ შურისძიების გაკვეთილს და კარგად დაანახვებენ, რა ამოცანები აქვს ქართულ დემოკრატიას. ოღონდ წაგებული აქაც რიგითი ქართველები დარჩებიან, პოლიტიკურ ლიდერებს ციხეებში არ გაამწესებენ. დაგროვებულს როგორ მიატანინებენ, ეს ხომ უკვე ნანახი გაქვთ და, ვისაც არაფერი ებადა და აბადია, ისინი კვლავაც ციხის საკნებს გაავსებენ.**

# «არ დამჭერის დედაც»!

**საკმარისია, საქართველოს მთავრობიდან რაიმე პოზიტიური სიგნალი წამოვიდეს, უმალ მოიძებნება რაღაც უფრო „მნიშვნელოვანი“ და მთელი ჩვენი „ლიბერალური პუბლიკა“ მორიგ „უფლებადაცვით“ ვნებებში იძირება.**

ვისაც ციხეებში ნაწამები და საეჭვო გარემოებებში გარდაცვლილი პატიმრების ბედი არასოდეს აწუხებდა, დღეს მათ ჩხრეკა-გაშიშვლებაზე ვიშვიშებს; ვისაც „იბერიასა“ და „იმედში“ სპეცრაზმის შევარდნა გამართლებულად მიაჩნდა, დღეს „რუსთავი 2“-ის თითქოსდა თავისუფლების შეზღუდვას აპროტესტებს; ვისაც ნაცემი და დაპატიმრებული დეპუტატების (უბრალო ხალხზე ხომ ლაპარაკიც არ არის) ბედი არ აღელვებდა, ახლა კარბელაშვილის დაკავების გამო „უკანონობაზე“ ღაღადებს. თვითონ კარბელაშვილი, რომელიც ამტკიცებდა, რომ „ცხინვალისკენ გაიტაცეს“, ბოდიშს განა პოლიციელების გინების გამო იხდის, მის დასაცავად სასწრაფოდ ოსიაურის პოლიციის განყოფილებაში მივარდნილი პარლამენტის ვიცესპიკერი გია ბარამიძე კი თავის ყოფილ კოლეგებს ასე მიმართავს: „რას დაემსგავსეთ, აი, ძველად ძაღლები რომ იყვნენ, იმას დაემსგავსეთ“!

აკი — ჩვენს სანაქებო პატრულს როგორ უბედავთ გადაბრუნებული სიტყვის თქმასო?!

რით ჯობია ან კარბელაშვილი, ან გია ბარამიძე ეკა ყურშიტაშვილს? — არაფრით, ისინი უარესები არიან და თანაც ახლა კი არა, ბარემ ოცი წელია!

ჯერ კიდევ რევოლუციამდე სააკაშვილის მოადგილემ **ირაკლი ოქრუაშვილმა** პოლიციელი, რომელმაც გააჩერა, სიტყვიერადდა ფიზიკურად შეურაცხყო. ცხადია, არ დასჯილა. ამ ადამიანებმა ეს ტექნოლოგია ერთხელ აითვისეს და მას შემდეგ მის გამოყენებაზე უარი აღარ უთქვამთ. შეურაცხყოფილი და ნაცემი პოლიციელი, ვერაფრის გამბედავი სახელმწიფო მათ ხელისუფლებაში დაბრუნების გარანტიად მიაჩნიათ და ასეც იქნება, თუ დეპუტატობის ან ოპოზიციონერობის გამო დაუსჯელები დარჩებიან.

**მთვრალი კარბელაშვილი, გინებასთან ერთად, პოლიციელებს ასე მიმართავდა: „არდამჭერის დედაც“! თუ ხელისუფლება ამ დაგინებას შეირჩენს, მართლაც უარესის ღირსი იქნება და „ნაციონალებიც“ სწორედ ამას ელიან.**

რამდენიმე საათში, როგორც ჩანს, „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ მიხვდნენ, რომ ერთი და იგივე სცენარი აღარ მუშაობს და აღარც ხალხი ტყუვდება მათი მრავალჯერ განმეორებული ოინებით. **დილით აღშფოთებული „ნაციონალური“ სახეები საღამოს უკვე კარბელაშვილის საქციელს გაემიჯნენ, თუმცა ეს ბევრს არაფერს ნიშნავს; ისინი მსგავს რამეს კიდევ ბევრჯერ ჩაიდენენ და ბევრსაც იყვირებენ მათი „პოლიტიკური დევნის“ თაობაზე.**

ვიდრე კარბელაშვილის „გმირობის“ ამსახველი ვიდეოჩანაწერი გასაჯაროვდებოდა, ზოგიერთმა გუშინდელმა „მეოცნებემ“, ვირივით ტყუპი წიხლი მიაყოლა პოლიტიკაში მათ მომყვანს: „ბიძინა ბატონო! დედას გაფიცებ, მითხარი, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდი! ამის გულისთვის რომ თქვენს სიმყუდროვეს ვერავინ დაარღვევდა, სხვებზე კარგად ვიცი! თუ ხელოვნურად და დაგეგმილად აკეთებ ამას, რომ მარტო ქოცები და ნაცები იყოთ ამ ქვეყანაში – ერთნი დამსჯელები, მეორენი — დასჯილები, თქვი, შე კაცო, პირდაპირ! თუ არა და, მაშინ ამიხსენით რომელიმემ: კაციშვილს აღარ ახსოვდა დეპუტატი კარბელაშვილი, კარგია, (ცუდია, გავეშვათ ერთ წამს, იყო კაცი სუფრაზე, თუნდაც გადაამეტა, ორი გრამი ტვინი ხო უნდა გეყოთ ვინმეს ხელისუფლებაში, რო ამ კადრებით საქართველოს, ბოდიში ამ სიტყვისთვის, აბანძებთ, ყველას სალაპარაკოს აძლევთ! რვა საათს ოპოზიციონერ დეპუტატს რო გამოკეტავ, ამით მარტო ქვეყანა რო ზარალდება, ამაზე არავინ ფიქრობთ? თუ შალიკიანი ოჯახიდან საცვლების ამარა რო გამოაჭენა თქვენმა „პაძელნიკმა“ ოქრუაშვილმა, ეხლა თქვენ კარბელა უნდა არბენინოთ შარვლის ამარა? ეგაა თქვენი მასშტაბი, ბატონო ბიძინა? მითხარი, რომ არაფერი არ იცოდი, ბატონო ბიძინა! (ყოფილი სახელმწიფო მინისტრი ბუკა პეტრიაშვილი)".

**ბუკა, დედას გაფიცებ, ივანიშვილს ნუ ეტოლები, ეკა კვესიტაძეს მიბაძე და დაგმე „კარბელას“ საქციელი, თორემ დრო-დადრო „ნაციონალებზე“ უარესად გამოიყურებით და ამას ხალხი კარგად ხედავს.**

მოქმედმა პრემიერმა, მადლობა ღმერთს, ნათლად და გარკვევით განაცხადა, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორი იქნება – დეპუტატიც და მინისტრიც. პარლამენტის ვიცესპიკერმა **მანანა კობახიძემ** კი ასე მიმართა „კოლეგებს“ (ბრჭყალებიც მისია): „პოლიციის მიმართ წინააღმდეგობის გაწევა, კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ხულიგნობა – ეს ის ქმედებებია, რომელთა გამოც არაერთი ჩვენი თანამემამულე ყოფილა დაკავებული, ზოგჯერ სრულიად უსამართლოდ, შეთითხნილი მტკიცებულებებით, ცრუ მოწმეებითა და სხვა ბევრი ბინძური მეთოდით, რომლებსაც წარმატებით იყენებდა სააკაშვილის რეჟიმი. ზუსტად ამ „საფუძვლით“ აპატიმრებდნენ პოლიტიკურ ოპონენტებს და წლობით ციხეში სულს ხდიდნენ (ასეთები აქაც ბევრი მყავს მეგობრებში). კარბელაშვილსა და მის რაზმელებს, როგორც ჩანს, რაღაც მსგავსის პროვოცირება, გათამაშება სურდათ. არ გამოგივათ! კარგია, რომ არსებობს ჩანაწერი და საზოგადოებამ დაინახა, რომ პარლამენტარი, რომელიც უპირველესი კანონდამცველი უნდა იყოს, ქუჩის ჩვეულებრივი ხულიგანია! **იმუნიტეტი იმას არ ნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენის „პრივილეგიით“ ისარგებლოთ, აღარ არის ის დრო, როცა ყველაფერი გეპატიებოდათ, პასუხი აუცილებლად მოგეთხოვებათ! გაიგეთ, „კოლეგებო“, რომ ჩვენ არავისზე მაღლა არ ვდგავართ, ჩვენ თანამოქალაქეებზე უკეთესები არ ვართ და თავით ვაგებთ პასუხს ყველა ჩვენს ნამოქმედარზე.** ასე რომ, ნუ შემოიხევთ აწი მაისურებს, პატივი ეცით კანონს, პოლიციას, საზოგადოებას და თქვენივე ამომრჩევლებს“!

მანანა კობახიძე „რუსთავი 2“-ის ირგვლივ ატეხილ სკანდალსაც გამოეხმაურა: „ძალიან დიდი ხანია, ეჭვი ხომ არავის გვეპარება, რომ „რუსთავი 2“ არ არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტელევიზია. ის იყო და არის „ნაციონალური მოძრაობის“ კონტროლს დაქვემდებარებული ტელეარხი! მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, ამას ადასტურებენ მისი დამფუძნებლები და ყოფილი მესაკუთრეები. უდავოა, რომ ის პარტიული ტელევიზიაა და ვერასოდეს იქნება ობიექტური, ისევე, როგორც, რთული იქნებოდა, სახელისუფლებო ტელევიზიისთვის გვეწოდებინა ბოლომდე ობიექტური, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, როდესაც სამოქალაქო სექტორი ან „ნაციონალური მოძრაობა“ „რუსთავი 2“-ს „თავისუფალ მედიად“ მოიხსენიებს, უბრალოდ, სიცრუეა და არასწორი. თუ ხელისუფლებას გულისხმობენ, დიახ, ის თავისუფალია ხელისუფლებისგან, რაც სწორია და ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ის ხომ მთლიანად დამოკიდებულია „ნაცმოძრაობაზე“. ამას პირდაპირ და აშკარად ადასტურებს მისივე მენეჯერის, **გვარამიას,** ერთ-ერთი ინტერვიუც, რომელიც შეგიძლიათ, ამ სივრცეშიც მოიძიოთ. ეს უკანასკნელი არაერთხელ ღიად და საჯაროდ დაგვემუქრა ხან ჯოჯოხეთით, ხან — ომით. ეს ადამიანი არ მალავს პირდაპირ კავშირებს „ნაცებთან“, მათგან რჩევებსაც იღებს და ბინძურ დავალებებსაც. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ „ნაცების“ ერთ-ერთი იდეოლოგი, ლიდერი, დეპუტატი, პროკურორი, მინისტრი იყო... მეტი რაღა არგუმენტია საჭირო იმისთვის, რომ დავიჯეროთ – ეს არხი ემსახურება ერთადერთს: „ნაცების“ ნებისმიერი გზით დაბრუნებას ხელისუფლებაში. კი, ბატონო, ემსახურონ, იყვნენ ოპოზიციაში, გვებრძოლონ, გვაკრიტიკონ, ბევრჯერ ცილი დაგვწამონ; სიტყვის თავისუფლება ხომ დაცულია, მაგრამ ამ ყველაფრის შემდეგ კიდევ ფიქრობთ, რომ ამათ ეთერში უნდა მივიდეთ და შოუები ვაკეთებინოთ, თანაც ადამიანების ნერვების ფასად?! **მოვა ისევ სექტემბერი, „გამოგვიძახებს“ გაბუნია ან მისი მსგავსი, ჰოდა, ჩვენც არ დავაყოვნოთ, გავიქცეთ, ეს ხომ მაინც „რუსთავია.“**

ამას წლების განმავლობაში ვწერ და ვამბობ, თუმცა ირონიით სავსე ფრაზა „ეს ხომ მაინც „რუსთავია“! — სინამდვილეში მეტად საცნაურია. ეს შემოჩეჩებული პარადიგმა – „ცუდ საქმეს კი აკეთებდნენ, მაგრამ — პროფესიონალურად“ მხოლოდ ამ პარტიულ ტელევიზიაზე როდი ვრცელდება; სხვადასხვა დროს მოგვისმენია, რომ ადეიშვილი სააკაშვილის გარეშე კარგი მინისტრი იქნებოდა, რომ ბოკერია ნიჭიერი კაცია, რომ „ვერ გავუშვებ, მათაც ხომ შვილები ჰყავთ“ და სულაც ის, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენა ქართული დემოკრატიის ამოცანაა!

**თუ ისევ ასე განაგრძობს ხელისუფლება, მეორედ მოსული „ნაციონალები“ უცებ ჩაუტარებენ შურისძიების გაკვეთილს და კარგად დაანახვებენ, რა ამოცანები აქვს ქართულ დემოკრატიას. ოღონდ წაგებული აქაც რიგითი ქართველები დარჩებიან, პოლიტიკურ ლიდერებს ციხეებში არ გაამწესებენ. დაგროვებულს როგორ მიატანინებენ, ეს ხომ უკვე ნანახი გაქვთ და ვისაც არაფერი ებადა და აბადია, ისინი კვლავაც ციხის საკნებს გაავსებენ.**

ახლა იმ პოზიტივზე, რომელზეც დასაწყისში მოგახსენებდით. მთელი ამ „ნაციონალური ორომტრიალის“ ფონზე თითქმის შეუმჩნეველი დარჩა პრემიერ **ღარიბაშვილის** განცხადება იმის შესახებ, რომ **საქართველო არ აპირებს, შეუერთდეს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს:** „15 სანქციიდან, რომელიც ევროკავშირმა და, საზოგადოდ, მსოფლიომ დაუწესა რუსეთს, მხოლოდ ერთს შეუერთდა საქართველო შარშან და ისიც მხოლოდ შეეხებოდა ყირიმში და სევასტოპოლში წარმოებულ პროდუქციის ექსპორტზე დაწესებულ სანქციებს.

ჩვენ არ ვაპირებთ, შევუერთდეთ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს, ამისთვის ძალიან ბევრი მიზეზი არსებობს. პირველი არის ის, რომ ძალიან ვუფრთხილდებით იმ მონაპოვარს, იმ მიღწეულ შედეგს, რომელიც გვაქვს რუსეთ-საქართველოს შორის, ვგულისხმობ სავაჭრო ურთიერთოების აღდგენას.

მოგეხსენებათ, რომ მესამე წელია, წარმატებით მიმდინარეობს ეს დიალოგი და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მიმართულებით ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი წინსვლა. მოგეხსენებათ, რომ წლების წინათ სააკაშვილის გაუაზრებელი პოლიტიკის გამო, გაწყვეტილი იყო ყოველგვარი დიალოგი და ჩვენს პროდუქციას ედო ემბარგო. ჩვენ შევძელით, ჩვენი კონსტრუქციული, პრაგმატული პოლიტიკის გამო, მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით ამ ბაზრის ხელახლა გახსნა, ჩვენ ამას ვაფასებთ. ვფიქრობ, რაღაც გაუგებრობას ჰქონდა ადგილი“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

სამაგიეროდ, ეს განცხადება შეუმჩნეველი არ დარჩა „ახალი პოლიტიკური ცენტრის“ წარმომადგენელს, დეპუტატ **ზურაბ ჯაფარიძეს:** „აღნიშნული განცხადება, კარგ შემთხვევაში, სიბრიყვეა და, ცუდ შემთხვევაში, — მიზანმიმართული მავნებლობა.

„1. რუსეთის ბაზარი არის არასტაბილური; 2. ეკონომიკური კავშირები კრემლისთვის არის პოლიტიკური გავლენის ბერკეტი; 3. იდიოტი ხარ, თუ ეს ვერ ისწავლე თუნდაც ბოლო 25 წლის განმავლობაში.

ბოლო 3 წელი იმ ძალისხმევის, დროის, ენერგიისა და ფულის 50% რომ დახარჯულიყო ევროკავშირის ბაზრის ათვისებაზე, რაც დაიხარჯა რუსეთის ბაზრის ათვისებაზე („დაბრუნებაზე“), დღეს გაცილებით უკეთესად ვიქნებოდით“.

**ამის დამწერს არც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება აქვს წაკითხული და არც ის იცის, რომ სანქციებით, უპირველესად, ევროპელმა მწარმოებლებმა იზარალეს; ან, მისივე ტერმინოლოგიით, „აღნიშნული განცხადება, კარგ შემთხვევაში, სიბრიყვეა და, ცუდ შემთხვევაში, — მიზანმიმართული მავნებლობა“.**

ასეა, **გუშინდელ და დღევანდელ „ნაციონალებს“ ყველაზე მეტად საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან საღი აზრის გამოხატვა აშინებთ. ტერიტორიების მეოთხედის დაკარგვის იურიდიულად გამფორმებლები ყველანაირად შეუშლიან ხელს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დარეგულირებას, რომელიც ისედაც არ არის მარტივი საქმე. ისიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ სავაჭრო-ეკონომიკური საკითხები მხოლოდ დასაწყისია, რათა ყველაზე მწვავე პოლიტიკური საკითხების განხილვას მიუახლოვდე.**

თუმცა არა – მთავარი ეს კი არ არის, არამედ „კარბელას“ დაკავება და „რუსთავი 2“-ის ქონების დაყადაღება; იმ „რუსთავი 2“-ის, რომელსაც საქმეში ჩახედული ადამიანები R2-ს უწოდებენ, რაც ინგლისურად (error) შეცდომას ნიშნავს. არსებითად, **მთელი ეს კლასი — „ნაცმოძრაობით“ დაწყებული და მისი სატელიტი არასამთავრობოებით თუ ფსევდოჟურნალისტებით დასრულებული, ერთი დიდი შეცდომაა, შეცდომებს კი გასწორება სჭირდება.**

ნურც იმას დაივიწყებთ, რაც კარბელაშვილმა დაგვაგინათ: „არ დამჭერის დედაც“!



**„არც ღარიბაშვილი და არც უსუფაშვილი რეალურად არაფერს წყვეტენ. ერთიც და მეორეც ივანიშვილის თოჯინების თეატრის მარიონეტები არიან და იმეორებენ იმას, რასაც კარნახობენ“.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აკაკი ასათიანი: ეს ხელისუფლება არის მარიონეტების თეატრი და მისგან სერიოზულად არ უნდა აღვიქვათ არაფერი



**ბოლო ხანს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერი აკაკი ასათიანი.**

**— ბატონო აკაკი, „ქართულ ოცნებაში“ შემავალი გარკვეული პოლიტიკური სუბიექტები სულ უფრო ხშირად აცხადებენ, რომ საქართველო ერთმნიშვნელოვნად უნდა შეუერთდეს იმ ეკონომიკურ სანქციებს, რომლებსაც ამერიკა და ევროკავშირი უწესებს რუსეთს უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო. ამ საკითხზე სახელისუფლო გუნდში აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, საბოლოოდ „პროდასავლური“ ფრთა მაინც თავისას გაიტანს. გონივრული იქნება ჩვენი მხრიდან ამ ნაბიჯის გადადგმა და რას მოუტანს ეს ყველაფერი საქართველოს?**

— გონივრულობისა რა მოგახსენოთ, მსგავსი ამათ არაფერი ეტყობათ, მაგრამ **სანქციებზე საუბარი იმ დროს, როცა ქვეყანაში გაქანებული ეკონომიკური კრიზისია და ეროვნული ვალუტა დღითიდღე უფასურდება, ნამდვილად სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ვის რა სანქცია უნდა დავუწესოთ?! საქართველო მხოლოდ საკუთარ თავს თუ დაუწესებს სანქციას.** ან რომელ საერთო პოლიტიკურ თამაშზეა საუბარი უკრაინასა და დასავლეთთან ერთად, ელემენტარულად, ხომ უნდა დავფიქრდეთ, რას მოითხოვს ეს ყველაფერი ჩვენგან. ჯერ ერთი, **უკრაინის გვერდით დგომა თუ გინდა, დსთ-ში უნდა შეხვიდე, იმიტომ, რომ უკრაინა ამ გაერთიანების წევრია და დიპლომატიური ურთიერთობა უნდა აღვადგინოთ რუსეთთან, მიუხედავად ტერიტორიული პრობლემებისა**. გარდა ამისა, **„ნაციონალები“ რომ გაიძახიან, უკრაინაში საქართველოს ბედი წყდება და ჩვენც უნდა ვიბრძოლოთო, თვითონ უკრაინის პრეზიდენტი პოროშენკო შოკოლადს ყიდის რუსეთში და, ამასთანავე, უკრაინა საბაჟო კავშირში მეთვალყურედ რჩება. ახლა გეკითხებით: მე იმაზე მეტად გამოვიდო თავი, ვისაც დღეს ომი აქვს და მაინც არ წყვეტს დიპლომატიურ ურთიერთობას მოსკოვთან?** ამას ამბობს ის ხალხი, რომელსაც საერთოდ არ აქვს გააზრებული და არც აინტერესებს მისი სახელმწიფოს ინტერესები. მათი ერთადერთი ინტერესია, ზედმიწევნით შეასრულონ უცხო ძალების ინსტრუქცია და სანაცვლოდ მიიღონ პოლიტიკური დივიდენდები. ყველაფერი მარტივია — ეს არის მათი ძალაუფლების გარანტია, ეს მთელი მათი პოლიტიკური კეთილდღეობის საფასურია.

**— გასაგებია, მაგრამ, მეორე მხრივ, აღნიშნული სანქციები მნიშვნელოვნად დააზარალებს საქართველოს ეკონომიკას. ავიღოთ კახეთის რეგიონი, მას შემდეგ, რაც რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები აღდგა, ღვინისა და ყურძნის ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა, გაჩნდა ახალი პერსპექტივა, რომელმაც ბიძგი მისცა აგრარულ ბიზნესს. საინტერესოა, იმ ძალებისთვის, რომლებიც სახელმწიფო ინტერესებს გარე ძალის პოლიტიკურ დივიდენდებზე ცვლიან, ეს ფაქტორი არ არის მნიშვნელოვანი? თუკი ქვეყანაში ეკონომიკური ფონი დამძიმდება, ამას ხომ თავისთავად მოჰყვება პოლიტიკური კრიზისიც?**

— როგორც ჩანს, მათთვის მაკკეინის კომპლიმენტი გაცილებით მნიშვნელოვანია და ამაზე ცვლიან ყველაფერს. სხვა ახსნას ამას ვერ ვუძებნი.

**— ასე ძვირი ღირს ერთი ამერიკელი სენატორის საქებარი სიტყვები?**

— ღირს თუ არ ღირს, სხვა საკითხია, მაგრამ ფაქტია, ეს კაცი გამუდმებით გაიძახის, საქართველომ გადაუხვია აღებულ კურსს და რუსეთისკენ აიღო გეზიო. სად ან რაში ხედავს ამას, არ ვიცი, მისი ლოგიკა გაუგებარია. როგორც ჩანს, მათ სურთ, ასე იყოს, იმიტომ, რომ ხელის დაბანა უნდათ ჩვენზე; და ვიდრე დაუბანიათ, მოდი, ჩვენ თვითონ დავიბანოთ და სუფთა ხელებით ვიმოქმედოთ.

კიდევ ვიმეორებ: **ერთადერთი შედეგი, რომელიც რუსეთისთვის ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების შეერთებას მოჰყვება, იქნება ის, რომ მაკკეინმა შეიძლება შეგვაქოს. თავის დროზე ეს იყო „ნაცმოძრაობისთვის“ ძალაუფლების შენარჩუნების გარანტია, საუბედუროდ, იმავეს ვხედავთ „ქართული ოცნების“ შემთხვევაშიც...**

**— დავით უსუფაშვილმა ამას წინათ განაცხადა, რომ ნატო მომხრეა აბაშიძე-კარასინის შეხვედრისა. მეტიც, პარლამენტის თავმჯდომარემ ირიბად მიანიშნა, ვიდრე არ მოვაგვარებთ ურთიერთობას მოსკოვთან, ნატოსკენ არც უნდა გავიხედოთო. რა აზრის ხართ ამ განცხადებებზე?**

— მიიღე ამერიკის მოქალაქეობა, წადი იქ და ვნახავ, რისი პარლამენტის თავმჯდომარე თუ რომელიმე სოფლის მამასახლისი გახდები. ამ საწყალ ქვეყანაში ხარ პარლამენტის თავმჯდომარე, თორემ რის პოლიტიკოსია და რა პროგნოზების გამკეთებელიც არის ეს ადამიანი, კარგად ჩანს...

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— მე მას პიროვნულად არ ვეხები, მაგრამ პოლიტიკურ პროგნოზებს თავი დაანებოს. ყოველ შემთხვევაში, მათ არ გავიზიარებ. ყველამ აკეთოს თავისი საქმე და, რაც შენი საქმე არ არის, ცხვირი არ უნდა ჩაყო...

**— პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა: „პირადად მე ვიყავი და ვარ წინააღმდეგი, რომ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს შეუერთდეს“. როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი ხომ არ მიანიშნებს იმაზე, რომ სახელისუფლო ძალებს შორის გარკვეული დაპირისპირებაა?**

— არანაირი განხეთქილება კოალიციაში არ არის, ესენი გვეთამაშებიან რაღაც სპექტაკლს. საზოგადოდ, ეს ხელისუფლება არის თოჯინების თეატრი და მათგან სერიოზულად არ უნდა აღვიქვათ არაფერი. რაც შეეხება პრემიერის განცხადებას, ამ შემთხვევაში, ალბათ, უფრო ივანიშვილზე უნდა ვილაპარაკოთ, იმიტომ, რომ **არც ღარიბაშვილი და არც უსუფაშვილი რეალურად არაფერს წყვეტენ. ერთიც და მეორეც ივანიშვილის თოჯინების თეატრის მარიონეტები არიან და იმეორებენ იმას, რასაც კარნახობენ.** ისე, ივანიშვილი საკმაოდ ჭკვიანი კაცია იმისთვის, რომ მიხვდეს, ეს თამაში დიდხანს ვერ გაგრძელდება. ყველაფერს თუ თავის სახელი არ დაერქვა, ხელისუფლება ძალიან მალე ამოწურავს თავის რესურსს, მით უმეტეს, რომ მას ჰყავს კატასტროფულად წარუმატებელი ეკონომიკური გუნდი და სოციალური ფონი დღითიდღე უარესდება...

**— მოდი, დავაკონკრეტოთ: რას ნიშნავს, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება, რა შეიძლება მოხდეს?**

**— ტრაბახი იმით, რომ არ აწამებენ, არ კლავენ, არ აპატიმრებენ და არ ატერორებენ მოსახლეობას, დიდხანს ვერ გაჭრის, ყველას კარგად ახსოვს დაპირებები და ხალხმა რეალურად ამ დაპირებებს მისცა ხმა.** სააკაშვილის რეჟიმი მორჩა, გათავდა და ამით უდავოდ დიდი საქმე გაკეთდა, მაგრამ ეს ხომ ვინმეს თვითმიზანი არ იყო?! **სად არის დაპირებული სიკეთეები რომელიმე დარგში, რომელიმე სფეროში რამე მნიშვნელოვანი და ხელშესახები ცვლილება განხორციელდა?** — არა! ზუსტად ამიტომ ვერ გაგრძელდება ეს თამაში დიდხანს. რაც უნდა ლამაზად შეფუთონ თავიანთი უმოქმედობა და უნიათობა, ყველა ყველაფერს ხედავს, არაფერია დამალული და, მით უმეტეს, პოლიტიკა ვერ იქნება. ეს ჩანს ყოველდღიურობაში, ეს ჩანს ყველგან და ყველაფერში...

**— თქვით, რომ კოალიციაში განხეთქილება არ არის და ის განცხადებები, რომლებიც სწორედ განხეთქილებაზე მიანიშნებს, მხოლოდ პოლიტიკური თამაშია. უსუფაშვილის კიდევ ერთ კომენტარს გავიხსენებ: დროა, კოალიცია შეეგუოს იმ აზრს, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი ჩვენი გუნდის წევრი არ არისო. რას ნიშნავდა ეს განცხადება?**

— ჯერ, მოდი, ის ვთქვათ, რა გუნდი ეგენი არიან, სადაა გუნდი, რამე მსგავსი ეტყობათ?! „ბარსელონა“ და „რეალი“ რომ არ არიან, გასაგებია, მაგრამ თბილისის „დინამო“ არიან? მარგველაშვილს რაც შეეხება, სწორი თქვა უსუფაშვილმა, არ არის ის კოალიციის წევრი. რატომ არ არის, მოჰკითხონ ბიძინას, ევროპელი პრეზიდენტი გეყოლებათო, რომ გვპირდებოდა და მერე გაიძახოდა, ამაზე დიდი სისულელე არ ჩამიდენიაო.

**— არის საუბარი იმაზეც, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში რესპუბლიკელებმა, თავისუფალმა დემოკრატებმა, „ნაცმოძრაობის“ გარკვეულმა ჯგუფმა და მარგველაშვილის ფრთამ, რომელსაც, ალბათ, მომავალში ჩამოაყალიბებს, ერთობლივად მიიღონ მონაწილეობა.**

— თუ ასე მოხდება, მოხდეს, ბუნებრივი იქნება. მარგველაშვილიც და ალასანიაც „ნაცებს“ გამოყოფილი ხალხია და ერთი ჭკუისანი არიან. ცხადია, ასეთი პარტიებისთვის ერთად ყოფნაა მომგებიანი, თორემ, აბა, გაუყოფენ ერთმანეთს ხმებს და კაი ჩიტს დაიჭერენ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი რეალურია, მით უფრო, რომ „ნაციონალებს“ ჰყავთ დაახლოებით 10-პროცენტიანი ელექტორატი, რაც მათ მიმზიდველს ხდის თქვენ მიერ ზემოჩამოთვლილი პოლიტიკური სუბიექტებისთვის...

**— ხელისუფლების უნიათობა ახსენეთ და ეს საზოგადოებაში ნიჰილიზმს იწვევს. ხალხი, ფაქტობრივად, მოდუნებულია, არავინ არაფერზე რეაგირებს — არც კომუნალური გადასახადების გაზრდაზე, არც იმ ანტისახელმწიფოებრივი კანონების მიღებაზე, რომელსაც უსუფაშვილის პარლამენტი გრიალ-გრიალით ამტკიცებს ხოლმე; შეუსრულებელი დაპირებები, მგონი, უკვე აღარც კი ახსოვს ვინმეს... ალბათ, დამეთანხმებით, რომ სააკაშვილის რეჟიმის დროს უფრო იგრძნობოდა სამოქალაქო საზოგადოების არსებობა.**

— აბსოლუტურად სწორად შენიშნეთ, ჩვენი საზოგადოება ახლა მთლიანად მოდუნებულია. გახსოვთ, ალბათ, ივანიშვილი წინასაარჩევნო პერიოდში ამბობდა, ევროპული ტიპის სამოქალაქო საზოგადოებას ჩამოვაყალიბებთო. რაც ჩამოაყალიბა, ყველა ვხედავთ, ხალხს აღარაფრის სურვილი არ აქვს, ყველას ყველაფერზე ხელი აქვს ჩაქნეული.

**პარლამენტს და, საზოგადოდ, ხელისუფლებას რაც შეეხება, ყველას ერთი რამ აწერია სახეზე: ძლივს მოვეწყვე, ძლივს პარლამენტარი ვარ, თავი დამანებეთ!** ეს უნდა დამთავრდეს, ამას ბოლო უნდა მოეღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო ვერ შედგება, არათუ ვერ აშენდება.

**— ქართველ საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობა იზრდება და ამას თვით ენ-დი-აის კვლევაც ცხადყოფს. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? გარკვეული „პროდასავლური“ ძალები ამას რუსული პროპაგანდით ხსნიან და საქართველოში რუსული არხების აკრძალვის ინიციატივითაც გამოდიან.**

— დავიწყოთ იმით, რომ ეს ჩვენი ე.წ. დემოკრატები ძალიან უცნაური დემოკრატები არიან, ერთი მხრივ, იძახიან, ევროკავშირი და ნატო იმიტომ გვინდა, რომ ეს არის ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ოჯახიო და, მეორე მხრივ, ითხოვენ ინფორმაციული ვაკუუმის შექმნას. ვაკუუმია, აბა, რა არის, როცა ვიღაც მიწყვეტს, რას უნდა ვუყურო და რას — არა. **აკრძალული უნდა იყოს ინცესტი, ერთნაირსქესიანთა ქორწინება, პედოფილია და მსგავსი არაბუნებრივი, ღვთისსაწინააღმდეგო ქმედებები, თორემ ტელევიზიების აკრძალვას სად მოუტანია სიკეთე? აკრძალავენ და კაი შედეგსაც მიიღებენ.**

ახლა ანტიდასავლურ განწყობაზე რომ მკითხეთ, ეს განწყობა იმიტომ იზრდება, რომ **სწორედ დასავლეთი აფარებდა ხელს სააკაშვილის რეჟიმს, ისინი აფარებდნენ ხელს და ამართლებდნენ ქვეყანაში არჩევნების გაყალბებას, ძალადობას და ათასგვარ უბედურებას.** აი, ამაში უნდა ეძებონ მიზეზი და არა იმაში, რომ თურმე რუსული პროპაგანდა გამალებით მუშაობს. ეს არის აბსურდი და ყველანაირ საფუძველს მოკლებული რაღაც უაზრო რიტორიკა. თუმცა ეს მათ კარგად იციან, ყველაფერი დეტალებში აქვთ შესწავლილი და აწონ-დაწონილი.

**«აკრძალული უნდა იყოს ინცესტი, ერთნაირსქესიანთა ქორწინება, პედოფილია და მსგავსი არაბუნებრივი, ღვთისსაწინააღმდეგო ქმედებები, თორემ ტელევიზიების აკრძალვას სად მოუტანია სიკეთე? აკრძალავენ და კაი შედეგსაც მიიღებენ»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ადრე თუ გვიან მათ მობეზრდებათ სააკაშვილის დაცვა, მფარველობა და მას აუცილებლად მოუწევს გამოძიების შეკითხვებზე პასუხის გაცემა. ამის თქმის საფუძველს მაძლევს თუნდაც ის საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ჩამოსული იყო საქართველოში და რომელმაც კონკრეტული საქმეების შესწავლის შემდეგ დაასკვნა, რომ სააკაშვილმა პასუხი უნდა აგოს. მათ პირდაპირ განაცხადეს, რომ ამ ხალხს, მათ შორის კეზერაშვილსაც და სხვებსაც, ჩადენილი აქვთ სერიოზული დანაშაულები“.**



ირმა ჭკადუა:

# აჩვენეთ მსოფლიოს კადრები, როგორ აწამებენ, აუპატიურებენ და კლავენ ადამიანებს სააკაშვილის ჯალათები

**2004 წლის 24 მარტს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში აფრასიძეების ოჯახის წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაცია სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის მიერ სათავეში მოსვლიდან ზუსტად ოთხი თვის თავზე ჩადენილი პირველი სისხლიანი დანაშაული იყო. ამით „ნაცკრიმინალებმა“ მოსახლეობა მომავალი ცხრაწლიანი ტერორისთვის შეამზადეს და „ბელადის“ ერთპიროვნულ მმართველობას გარკვეული წინაპირობა შეუქმნეს. თავის მხრივ, პროპაგანდისტული მანქანაც აქტიურად ამუშავდა და სააკაშვილის ჯიბის ჟურნალისტები წელებზე ფეხს იდგამდნენ, რათა ევგენი აფრასიძე ნამდვილ კაციჭამია კრიმინალად გამოეყვანათ. მიუხედავად ამისა, „ნაცსექტის“ მიერ დატრიალებულმა უბედურებამ „პოსტრევოლუციური“ ქართველი საზოგადოება შეძრა.**

ხალხი დაშოკა და დაამუნჯა ენით აუწერელმა სისასტიკემ; ამბობდნენ, რომ იმჟამინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი გია ბარამიძე, რომელიც აღნიშნულ სპეცოპერაციამდე ზუსტად თორმეტი დღით ადრე (12 მარტს) გლდანში მამა ბასილი მკალავიშვილის დაპატიმრებასა და სპეცრაზმის მიერ მრევლის დარბევას პირადად ესწრებოდა, ევგენი და ომეხი აფრასიძეების ცეცხლმოკიდებულ ცხედრებზე ხელებს ითბობდა. შემდეგ გამოვიდა სააკაშვილი და პირდაპირ ეთერში ამაყად განაცხადა: მე გავეცი დაბომბვის ბრძანება და დიახაც, სწორად მოვიქეციო. ერთი სიტყვით, ეს ამბები ყველას გვახსოვს და ცხრა წლის განმავლობაში დიდი თუ პატარა იმას გაიძახოდა, დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონო. ზოგი იმასაც ამბობდა, სააკაშვილის ბრალეულობის დამტკიცება მარტივიაო (რადგან მისი სატელევიზიო აღიარება, ფაქტობრივად, მტკიცებულებაა), მაგრამ ეს უბედურება „ნაცებს“, რომ იტყვიან, ხახვივით შერჩათ. მეტიც, ამას წინათ გია ბარამიძემ ერთ-ერთ ინტერნეტგამოცემასთან განაცხადა, რა გახდა ეს საქმე ასეთი, ნამდვილ სვანებს ჰკითხეთ, ვინ იყვნენ აფრასიძეები და ათიდან ცხრა გეტყვით სიმართლესო. იმავე ინტერვიუში მან ჟურნალისტის შეკითხვაზე, რა საჭირო იყო სპეცოპერაციის ჩასატარებლად ავიაცია და ასეულობით სპეცრაზმელი, ცინიკურად უპასუხა: „მადლობა ღმერთს და სწორედ იმიტომ, რომ დიდი რაოდენობით იყო პოლიციელი, აბსოლუტურად მთელი სოფელი იყო გაკონტროლებული. მათ ვერ მოახერხეს გაღწევა და რა ამოცანაც ჰქონდა სპეცოპერაციას, რომ დაეპატიმრებინათ ეს ადამიანები, შესრულდა. სამი მათგანი იქნა დაპატიმრებული. სამწუხაროდ, ორი დაიღუპა იმის გამო, რომ თვითონ მიიღეს გადაწყვეტილება, პოლიციელებისთვის ავტომატებითა და ტყვიამფრქვევებით წინააღმდეგობა გაეწიათ...“

საქართველოში სამართალი რომ არ არსებობს და ბადაშვილის უსისხლძარღვო პროკურატურას დამნაშავეების დაპატიმრება არ შეუძლია, ყველა ვხედავთ, მაგრამ, მკვლელი ბარამიძე რომ ჰონორზეა და კიდევ აქეთ გვამუნათებს, ჩვენ რომ არა, სვანეთი დღესაც ბნელ წარსულში იქნებოდაო, ეს უკვე თავზე ლაფის დასხმაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ისევ „ნაცრეჟიმი“ ბოგინობს, სახელმწიფო კი იმდენად უსუსურია, რომ არ შეუძლია, საზოგადოების მთავარი დაკვეთის შესრულება, რაც, პირველ რიგში, სწორედ ბარამიძისნაირი დამნაშავეების გასამართლებაში გამოიხატება.

**რატომ არის დღემდე აფრასიძეების საქმე გამოუძიებელი და უნდა დადგეს თუ არა, აღნიშნული საქმიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის — გია ბარამიძის პასუხისმგებლობის საკითხი? ამ თემაზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო“ აფრასიძეების ადვოკატს — ირმა ჭკადუას დაუკავშირდა.**

**— ქალბატონო ირმა, ამას წინათ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გია ბარამიძემ განაცხადა, ჰკითხეთ ნამდვილ სვანებს და ათიდან ცხრა გეტყვით, ვინ იყვნენ აფრასიძეებიო. რას უპასუხებთ მას?**

— საქართველოს და **მსოფლიოს ნებისმიერ მოქალაქეს ჰკითხონ, ვინ იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები და ვინ იყო კონკრეტულად გია ბარამიძე. ეს კაცი პარლამენტში მხილებულია თავისი მეგობრის გაყიდვაში, მას ხელი აქვს სისხლში გასვრილი და ეს იცის მთელმა საქართველომ.** ის, რაც მან თქვა, არის ბინძური ცილისწამება და ამისთვის აუცილებლად მოუწევს პასუხისგება, თუ არადა, დაამტკიცოს, რომ ოდესლაც აფრასიძეებმა ვინმე მოკლეს, გაიტაცეს ან გააუპატიურეს. **ბარამიძე ვერ გამოძვრება ამ საქმიდან, მან კარგად იცის, რომ, ადრე თუ გვიან, საბრალდებო სკამზე აღმოჩნდება, ამიტომ უტიფრად ამბობს, აფრასიძეები კრიმინალები იყვნენო. კრიმინალები და კაცისმკვლელები რომ იყვნენ, იმიტომ გაისტუმრა ხალხმა მათი ხელისუფლება პოლიტიკურ სანაგვეზე და ჯერ სად არიან, მთავარი წინ ელოდებათ...**

**— რას გულისხმობთ?**

— აჩვენონ მსოფლიოს ის კადრები, სააკაშვილის ჯალათები როგორ აწამებდნენ, როგორ აუპატიურებდნენ და კლავდნენ ადამიანებს. ანახვონ ფართო საზოგადოებას და სრულიად მსოფლიოს, რა უბედურება ტრიალებდა აქ. ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ხელისუფლებამ ვერ შეძლო ეს და მით უფრო სამწუხაროა, რომ ის ფესვები, რომლებიც „ნაცმოძრაობას“ ღრმად ჰქონდა გადგმული, ჯერ კიდევ არ არის ამოძირკვული. ესენი კიდევ ბედავენ ლაპარაკს და იმის ნაცვლად, რომ ჩუმად იყვნენ, დიდ გულზე არიან. ეს არის ხელისუფლების სისუსტის შედეგი, თუმცა **დარწმუნებული ვარ, ოდესმე მოვა ისეთი ხელისუფალი, რომელიც ყველას მიუჩენს თავის ადგილს. აი, მაშინ ილაპარაკოს ბარამიძემ, ვინ არის მკვლელი და კრიმინალი.**

**— დღევანდელ ხელისუფლებას რატომ არ შეუძლია ეს ყველაფერი?**

— ამ შეკითხვით ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა მიმართოთ, მაგრამ ფაქტია, მათ ვერ გაბედეს იმ კადრების ჩვენება. მიმაჩნია, რომ ეს აუცილებელი იყო და არა მხოლოდ საქართველოში; მსოფლიოს უნდა ენახა, რა უბედურებასთან გვქონდა საქმე.

**— რატომ ვერ ხერხდება აფრასიძეების საქმის ხელახლა გამოძიება, რა უშლის ხელს პროკურატურას?**

— ამ საქმის გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს და ოჯახს არსად ეჩქარება. ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენ გვინდა, გამოძიება ჩატარდეს ხარისხიანად და არ გვინდა ორსამ დღეში გახსნილი საქმე. ეს ოჯახის პოზიციაა.

რაც შეეხება კონკრეტული ადამიანების პასუხისმგებლობას, დარწმუნებული იყავით, რომ არც ერთი პირი, რომელთა ბრალეულობაც გამოიკვეთება, დაუსჯელი არ დარჩება, ვერც ერთი მათგანი ვერ გაექცევა მართლმსაჯულებას.

**— როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს? მან თავის დროზე პირდაპირ განაცხადა, მე გავეცი აფრასიძეების ოჯახის დაბომბვის ბრძანებაო.**

— ეს განცხადება მან 2009 წელს სასტუმრო „რადისონის“ გახსნაზე გააკეთა და ამით საქართველოს და სრულიად მსოფლიოს აღიარებითი ჩვენება მისცა. როგორც ჩანს, ცოდვები არ ასვენებდა, თორემ არავის უკითხავს ამ საკითხზე მისთვის რამე. სხვათა შორის, ამ განცხადებით მან თავდაყირა დააყენა ვერსია, რომ თურმე დაბომბვა აუცილებელი გახდა მას შემდეგ, რაც აფრასიძეების სახლიდან გაიხსნა ცეცხლი. აი, ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, გახდება მისი პასუხისმგებლობის დაყენების საფუძველი და კიდევ ვიმეორებ: ადრე თუ გვიან აუცილებლად მოვა ისეთი ხელისუფალი, რომელიც ამათ საბოლოოდ ჩამოხსნის ნიღაბს. პირადად **სააკაშვილმა კი უნდა იცოდეს, რომ, სადაც უნდა წავიდეს, დედამიწის რომელ წერტილშიც უნდა დაიმალოს, საბრალდებო სკამი არ ასცდება, ის აუცილებლად დაისჯება და ყველა ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხს აგებს კანონის წინაშე.**

**— მაგრამ სააკაშვილს დღეს იმ დონეზე მფარველობენ, რომ თვით ინტერპოლმაც უარი თქვა ძებნის გამოცხადებაზე. ასეთ პირობებში როგორ წარმოგიდგენიათ ამ ადამიანის ჩამოყვანა და გასამართლება?**

— გასაგებია, რომ **მათ წაღებული აქვთ საქართველოდან მილიარდები და დღეს ამ მილიარდებს ისევ საქართველოს წინააღმდეგ იყენებენ; გასაგებია, რომ ჰყავთ სერიოზული ლობისტური ჯგუფები დასავლეთში და სერიოზული მხარდაჭერითაც სარგებლობენ გარკვეულ წრეებში, მაგრამ საბოლოოდ ეს ყველაფერი მაინც პოლიტიკური კონიუქტურაა; სჭირდებათ და იყენებენ, ამიტომ მფარველობენ, ამიტომ იცავენ კბილებით, მაგრამ კაცმა არ იცის, როდის ამოწურავს ეს კაცი თავის მისიას იმავე უკრაინაში და მაშინ კი ეტყვიან, აიბარგეო.** დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან მათ მობეზრდებათ სააკაშვილის დაცვა, მფარველობა და მას აუცილებლად მოუწევს გამოძიების შეკითხვებზე პასუხის გაცემა. **ამის თქმის საფუძველს მაძლევს თუნდაც ის საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ჩამოსული იყო საქართველოში და რომელმაც კონკრეტული საქმეების შესწავლის შემდეგ დაასკვნა, რომ სააკაშვილმა პასუხი უნდა აგოს. მათ პირდაპირ განაცხადეს, რომ ამ ხალხს, მათ შორის კეზერაშვილსაც და სხვებსაც, ჩადენილი აქვთ სერიოზული დანაშაულები.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ, რა დროც უნდა გავიდეს და რა პოლიტიკურმა ძალებმაც უნდა გაუწიონ ამ ადამიანებს მფარველობა, მათ დაცვას ვერავინ შეძლებს. კიდევ ვიმეორებ: მათ აუცილებლად მოუწევთ მართლმსაჯულების წინაშე წარდგომა და კონკრეტულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, ეს მხოლოდ დროის საკითხია.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**P.S. ძველთაძველი შეგონებაა: მკვდარზე ან კარგს ამბობენ, ან — არაფერსო. ბარამიძეს შეეძლო, კორექტული მაინც ყოფილიყო და უფრო მოზომილი განცხადება გაეკეთებინა, მაგრამ „მამალი ნაცი“ ბოლმის ნთხევას არ მოერიდა და ზემოაღნიშნულ ინტერვიუში ასეთი რამ თქვა: „ნებისმიერ მესტიელს ჰკითხეთ, თუ ვინ იყვნენ ეს ადამიანები, რას აკეთებდნენ, რა ხდებოდა გზაზე, სტუმრის აყვანა იყო თუ ტურისტების აყვანა, ყველას შიშის ზარს სცემდნენ; პერიოდულად ადამიანებს იტაცებდნენ, აყაჩაღებდნენ, კლავდნენ, აუპატიურებდნენ...“**

**ზუსტად ამაზეა ნათქვამი: „ჩემი შენ გითხარიო...“, ცხრა წლის განმავლობაში სააკაშვილმა და მისმა კრიმინალურმა ბანდამ იმდენი მოკლა, იმდენი აწამა, იმდენი დააყაჩაღა და გააუპატიურა, ვინ დათვლის; მაგრამ რა?! ყველა ეს მკვლელი, მწამებელი, ყაჩაღი და გამაუპატიურებელი გარეთ დადის, მეტიც, ბევრი მათგანი ისევ პოსტზე რჩება და იმ დროს ელოდება, როცა „ნაცები“ დაბრუნდებიან, ამიტომაც არის გია ბარამიძეც დიდ გულზე.**

მოკლედ

## მიშელ პლატინი: ფიფაში ატეხილი სკანდალი რუსეთში 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გამართვაზე გავლენას არ მოახდენს

**უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ განაცხადა, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში არსებული სკანდალი გავლენას არ მოახდენს რუსეთში 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გამართვაზე.** „მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაზე გადაწყვეტილება მიღებულია. რაც შეეხება რუსეთის საფეხბურთო კავშირში ცვლილებებს, ვერ ვხედავ მიზეზს, რა გავლენა უნდა მოახდინოს ამან მსოფლიო ჩემპიონატზე“, — განაცხადა პლატინიმ.

შეგახსენებთ, რომ ფიფას სკანდალი გამძაფრდა მაისში, როდესაც ციურიხში კორუფციაში ეჭვმიტანილი 7 მაღალჩინოსანი დააკავეს. 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატი რუსეთის 11 ქალაქში 14 ივნისიდან 15 ივლისის ჩათვლით ჩატარდება.



**აშკარაა, რომ ეს არის ამ ჩასვრილი ტელეკომპანიის მესვეურთა თავის გადასარჩენი ერთგვარი „ვა-ბანკი“! სინამდვილეში ეს ხელისუფლება იმას „გადაჰყვება,“ თუ მართლა ჩაერევა პროცესებში და სამართლიან პროცესს შეაჩერებს „რუსთავი 2“-ის სასარგებლოდ!**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნაგაავი გასატანია!

## ანუ ულტრათანამედროვე ანეკდოტი: «რუსთავი 2» სიტყვის თავისუფლებისთვის იბრძვის»

**კაცმა რომ თქვას, რა ხდება განსაკუთრებული? ვინმე იარაღით შევარდა რომელიმე მედიასაშუალების ოფისში თუ ტელეანძაზე ძალის გამოყენებით სიგნალი გაუთიშა რომელიმე მაუწყებელს? არა! უბრალოდ, ერთმა უსამართლოდ დაჩაგრულმა მეწილემ სასამართლოში შეიტანა სარჩელი სხვა, ანუ მჩაგვრელი მეწილეების წინააღმდეგ. გამოჩნდნენ კიდევ უფრო ადრე დაჩაგრული მეწილეებიც და მათაც განაცხადეს, — ჩვენც მივმართავთ სასამართლოსო.**

ნორმალური, ჩვეულებრივი ბიზნესდავაა, რასაც ნორმალურ საზოგადოებაში ხმამაღალი აჟიოტაჟი კი არა, შესაძლოა მცირე ყურადღებაც კი არ მოჰყოლოდა.

ბოლოს და ბოლოს, **თავისუფალი ჟურნალისტისთვის, საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება კომპანიის ბიზნესწილების მფლობელი? ანაც, რა ჟურნალსტის საქმეა ეს? ჟურნალისტის მაქსიმალური მოთხოვნა შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ არავინ ჩაერიოს მის საქმიანობასა და სარედაქციო პოლიტიკაში და მორჩა!**

ხმაური, წივილ-კივილი და გაიწი-გამატარეც მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება აიწიოს, როცა ვინმე მართლა უხეშად ჩაერევა ჟურნალისტების საქმიანობაში...

თუმცა, „რუსთავი 2“-ს რაც შეეხება, აქ საქმე ორმაგად კომიკურია.

ჯერ ერთი, მავანი **მოქალაქის მიერ სრულიად კანონიერად და ყველა სამართლებრივ-პროცესუალური ნორმის დაცვით სასამართლოსთვის მიმართვის გამო ტელევიზიამ ასეთი პანიკა ატეხოს, სასაცილოა და მეორეც — კიდევ უფრო სასაცილო და ჩასაბჟირებელია, ვინ ტეხს ამ პანიკას. ტელევიზია, რომლის საინფორმაციო-სარედაქციო პოლიტიკა პირდაპირ მთავრობის კანცელარიაში კეთდებოდა თითქმის 10 წლის განმავლობაში.**

ხოლო ჟურნალისტებს, რომლებიც ახლა თავს იკლავენ „ჟურნალისტის საქმიანობაში ჩარევის მცდელობის“ გამო, მაშინ არ ამოუღიათ ხმა და არ ჰქონიათ არავითარი პრეტენზია, როდესაც „მცდელობა“ კი არა პირდაპირ „ზევიდან“ ურეკავდნენ და ხშირად ყოველგვარი ეტიკეტის ნორმების გარეშეც კი, უცენზურო სიტყვების გამოყენებითაც კი უბრძანებდნენ, რა გაეკეთებინათ!

დიახ! შემიძლია თამამად ვთქვა — **ის, რაც „რუსთავი 2“-ს უქნეს „ნაციონალებმა“ იმ ათი წლის განმავლობაში, თვით საბჭოთა კომუნისტური რეჟიმის დროსაც კი არ უკადრებიათ ჟურნალისტებისთვის!**

კომუნისტებს ერთი ტელევიზია და რამდენიმე გაზეთი ჰქონდათ. მართალია, იქ მომუშავე ჟურნალისტები პარტიის ნება-სურვილს ასრულებდნენ, მაგრამ მათ მაინც ვერავინ გაუბედავდა ასე პირდაპირ და შეურაცხმყოფელად დაევალებინა, ეს დაწერე და ეს გადაიღეო.

ფორმალურად, მაგრამ მაინც „თხოვნის“, ზრდილობის ეტიკეტის დაცვის ფორმა ჰქონდა ამ ყველაფერს...

აი, რაც შეეხება „რუსთავი2“-სა და „ნაცმოძრაობის“ დამოკიდებულებას იმ ათიოდე წლის განმავლობაში, ეს იყო „აჯამი მებატონისა“ და „დაბეჩავებული ყმის“ დამოკიდებულება და ამას ნებისმიერი ამ სფეროში ნამუშევარი ადამიანი დაადასტურებს.

სწორედ იმ ჟურნალისტებს, რომლებიც, ახლა რომ ჰკითხო, „თავისუფლებისთვის მებრძოლები“ არიან, ყოფილი მთავრობის წარმომადგენლები, ჟარგონით რომ ვთქვათ, მართლაც „ჩმორებივით“ ხმარობდნენ. მაგრამ მათში თავმოყვარეობის ოდნავი „გაფაჩუნებაც“ კი არ იგრძნობოდა!

სხვათა შორის, იგივე ეხება არაერთ მათგანს, ვინც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ან არჩევნებამდე ორიოდე კვირით ადრე წამოვიდა სხვადასხვა სახელისუფლებო არხიდან და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა „შეუპოვარი“ და „პროფესიონალი“.

ჰოდა, სწორედ ასე შეიქმნა დღევანდელ საქართველოში **ულტრათანამედროვე ანეკდოტი:**

**„რუსთავი 2“ სიტყვის თავისუფლებისთვის იბრძვის!“**

დარწმუნებული ვარ, ნებისმიერ ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს ამ ფრაზის წაკითხვაზე ძალიან გაეცინება და გაახსენდება ამ ტელევიზიის საქციელი 2003-დან 2012-მდე, განსაკუთრებით — 2008-2012 წლებში.

მათთვის ასე სამარცხვინო ფურცლის საკუთარი წარსულიდან „წაშლას“ რომ ვერ შეძლებს „რუსთავი2“ და ამიტომ ცდილობს მის შეფერადებას და შელამაზებას, ეს კარგად გამოჩნდა შაბათის „კურიერი პი-ეს“-ის მიერ მომზადებული მრავალწუთიანი სიუჟეტიდანაც.

**ამ სიუჟეტში გარდა „რუსთავი 2“-ის იმ „გმირობების“ ჩამონათვალისა, როდესაც ამ ტელევიზიას დახურვას უპირებდა სხვადასხვა მთავრობა და ხალხის მხარდაჭერის გამო ვერ დახურა, რაღა თქმა უნდა, ვერ აუარეს გვერდი 2003-2012 წლების პერიოდს და აი, სწორედ აქ იყო ისეთი სასაცილო უსუსურობა, რომ მაყურებელი ან ცოდვით მოკვდებოდა, ან სიცილით.**

„მართალია, „რუსთავი 2“-ის მეწილეთა მთავრობის წევრებთან სიახლოვის გამო, ბოლომდე თავისუფლად ვერ გამოვხატავდით ჩვენს პოზიციას, მაგრამ... რამეთუ... ვინაიდან... თუმცა...“-ტიპის ფრაზები, მართლაც რომ „ღვთის გლახის“ საცოდავ თავის მართლებას მოაგონებდა ნებისმიერს...

მოგვიანებით, „რუსთავი 2“-მა 2007 წლის 7 ნოემბერს „იმედის“ დარბევის დროს საკუთარი საქციელის გამართლებაც სცადა. შეეცადნენ დაემტკიცებინათ, კოლეგების მიმართ სოლიდარულნი ვიყავითო და აჩვენეს კადრები, სადაც ეს ტელევიზია მხოლოდ 4-წამიან განცხადებას ავრცელებს და იმჟამინდელ მთავრობას მოკრძალებულად „სთხოვს განმარტებებს“. აქვეა კადრები, როგორ გადაადგილდება მწვანე საწვიმარ-მოსასხამებში ჩაცმული პოლიცია „იმედის“ შენობასთან, სადაც „რუსთავი 2“-ის გადამღებ ჯგუფს საკმაოდ უხეშად მიუთითებენ, რომ „დატოვონ ტერიტორია!“.

აბა, ვის გახსოვთ შევარდნაძისდროინდელ პოლიციასთან შეჭიდებულ-დატაკებული „რუსთავი 2“? როდესაც პოლიცია მათ სთხოვს, მოშორდნენ, რომელიმე შემთხვევის ადგილს?

ამ „შეუპოვარ“ ჟურნალისტებს მუდამ მზად ჰქონდათ ფრაზა: „ჩვენ უფლება გვაქვს, გადავიღოთ! თქვენ ხელს გვიშლით ჟურნალისტურ საქმიანობაში!“ და შესაბამისი წივილ-კივილი.

ზუსტად ასევე იქცევიან ისინი დღესაც პოლიციასთან რაიმე უთანხმოების შემთხვევაში.

და, როგორ ფიქრობთ, **რა უპასუხა „მიშას პოლიციას“ ამ „გაბედულმა“ ტელევიზიამ, როდესაც მათ 2007-ის 7 ნოემბერს პირდაპირ და უხეშად მოსთხოვეს — აბა, დროზე აუდეთ აქედანო? კადრში გარკვევით ისმის „რუსთავი 2“-ის „შეუპოვარი“ ჟურნალისტის ხმა — „ახლავე! ახლავე! მივდივართ! რა თქმა უნდა!“**

აი, ასეთი „სოლიდარობა, შეუპოვრობა და თანადგომა“ გამოიჩინა იმხანად „რუსთავი 2“-მა კოლეგების მიმართ და განა ახლა ნამუსიანობაა, რომ მას ასევე შეუპოვრად არ დაუდგნენ გვერდით კოლეგები?

კოლეგებზე გამასხენდა და, სხვათა შორის, „რუსთავი 2“ იმ დონეზეა გათავხედებული, რომ სწორედ იმ კოლეგებს, ვისგანაც თანადგომასა და მხარდაჭერას ითხოვს, იქვე შეურაცხყოფს და, ასე ვთქვათ, „ტექნიკურად“ ლანძღავს:

***„რუსთავი 2” დღესდღეობით ერთადერთი ტელევიზიაა, რომელიც სიმართლეს ამბობს!“**

***„რუსთავი 2” ერთადერთი ობიექტური ინფორმაციის გამშუქებელია დღეს საქართველოში“**

***„რუსთავი 2”-ის დახურვით, საქართველო საბოლოოდ დაემშვიდობება თავისუფალ სიტყვას!“**

***„რუსთავი 2” -ის დახურვა უნდათ იმიტომ, რომ მხოლოდ მას ვერ აკონტროლებენ!“**

აი, მხარდაჭერისა და თანადგომის თხოვნის პარალელურად, ასეთი ფრაზებიც უხვად ისმოდა ამ „დაჩაგრული“ ტელევიზიის ეთერიდან და რატომღაც ტვინიც არავის დაუყოლებია იმისთვის, რომ ეს, ფაქტობრივად, კოლეგების მძიმე შეურაცხყოფაა.

გამოდის, „რუსთავი2“-ის გარდა, არც ერთი სხვა მედიასაშუალება არ ლაპარაკობს სიმართლეს, არც ერთი ობიექტურად არ აშუქებს მოვლენებს, არც ერთი მათგანი არ არის თავისუფალი და ყველა მათგანს აკონტროლებს ხელისუფლება!

აი, ზემონახსენები ფრაზები სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ ამ შინაარსს მივიღებთ!

მაინტერესებს, ნუთუ ეთანხმებიან ამ ყოველივეს „რუსთავი2“-ის კოლეგები?

ან **რატომ ბედავს ეს მართლაც „ნაცების“ ჯიბის ტელევიზია ამდენს?**

ან **რა ნამუსით ითხოვენ კოლეგების ასეთი უტიფარი ლანძღვის და ცილისწამების შემდეგ მათგანვე მხარდაჭერას?**

თუმცა რა, **ვისიმე დაუსაბუთებელი და უარგუმენტო ლანძღვა, ჭორები, ცილისწამება, ჩირქის მოცხება და სხვა ათასგვარი სიბინძურე ხომ ამ ტელეკომპანიის „სავიზიტო ბარათია“ მისი დაარსების დღიდან.**

დიახ, დიახ! **არათუ 2003 ან 2008 წლიდან, როდესაც „ნაცებმა“ ჯერ მოიპოვეს და მერე საბოლოოდ განამტკიცეს სრული გავლენა ამ ვითომ ტელევიზიაზე, არამედ 90-ანი წლების ბოლოს, დაარსების დღიდანვე, „რუსთავი 2“ შემჩნეულია ე.წ. შავი ფულისკენ მიდრეკილებაში და კონკრეტული პოლიტიკოსების დაკვეთების შესრულებაში.**

სხვათა შორის, იმავე სიუჟეტში „რუსთავი 2“-ის ისტორიაზე საუბრისას იყო ასეთი ფარაზა - „1997 წლიდან რუსთავი 2”-მა მთელი საქართველო დაფარა“...

აი ასე — თურმე, აიღო და „დაფარა“...

საუბარია ანალოგური სიხშირის სატელევიზიო სიგნალის გავრცელებაზე სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე, რადგან მანამდე ეს ტელევიზია მხოლოდ თბილისსა და რუსთავში მაუწყებლობდა.

**1997 წლიდან კი თითქმის მთელი წლით მაუწყებლობაშეჩერებულმა ღარიბმა ტელევიზიამ, აი, ასე უცებ და მარტივად შეიძინა უძვირესი გადამცემები, სხვა საჭირო ტექნიკა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სიგნალი გაავრცელა!** სიუჟეტში არ უთქვამთ, რომ იმავე წლიდან ამ ტელეკომპანიის თანამშრომლებს ყველაზე მაღალი ანაზღაურება ჰქონდათ საქართველოში და მათ ხელფასებზე არაკები დადიოდა! არც ის უკითხავს ვინმეს სიუჟეტში, ამხელა „შავი ფულის“ მობილიზება ამ ტელეკომპანიაში ხომ არ იყო ერთ-ერთი კონკრეტული პოლიტიკური ძალის კონკრეტყულ ფრთასთან გარიგების შედეგი?

იქნებ, გარდა იმ დროისთვის წარმოუდგენლად დიდი თანხის მიღებისა, სწორედ ამ გარიგების ფასად მოხდა ის, რომ სასამრთლო პროცესიც ტელეკომპანიის სწორედ იმ მფლობელებმა მოიგეს, ვინც ამ გარიგებაზე წავიდა და წააგო დამფუძნებელთა იმ ჯგუფმა, რომელმაც გარიგებაზე უარი თქვა?

იქნებ ბევრმა არც იცის, რომ „რუსთავი2“-ის პირველ დამფუძნებელთა შორის – სასამართლო პროცესის წამგები მხარე იყო ქალბატონი **ფიქრია ჩხრაძე** და ბატონი **თედო ისაკაძე...**

ტელეკომპანიის მაუწყებლობის შეჩერება ხომ მაშინაც სწორედ მეწილეთა და დაფუძნებელთა შორის წარმოქმნილ სასამართლო დავას უკავშირდებოდა. ხოლო შემდეგ, უკვე „გათავისუფლებული“ კერძო მაუწყებელი „რუსთავი 2“ მჭიდროდ და საეჭვოდ დაუკავშირდა აწ გარდაცვლილი პრემიერის — **ზურაბ ჟვანიას** სახელს...

მოკლედ, ამ ტელევიზიას დაებედა დავა მეწილეთა შორის და კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის პირდაპირი დაკვეთების შესრულება.

გაუთვითცნობერებელი საზოგადოების შეცდომაში შეყვანისა და „თავისუფალი მედიის“ თემით მოხერხებულად სპეკულირების შედეგად, „ხალხის დახმარებით“ ყოველთვის გაიმარჯვა იმ ჯგუფმა, რომელიც იმ კონკრეტულ მომენტში მართავდა ტელევიზიას...

დღეს კი უკვე სხვა ვითარებაა.

**ძალიან სათუოა, ხალხის ანგარიშგასაწევი რაოდენობა გამოვიდეს ქუჩაში და ამ მძიმედ სახელგატეხილი ტელეკომპანიის დაცვა მოინდომოს. სწორედ ამას ხვდებიან ამ ტელევიზის მესვეურებიც და ყველანაირად ცდილობენ, „შეაშინონ“ ხელისუფლება. ისინი ცდილობენ, სასამართლო დავა ხელისუფლების დაკვეთად გაასაღონ და ატარებენ პროპაგანდას, რომ, თუკი ხელისუფლება შეეცდება დახუროს „რუსთავი 2“ ეს ხელისუფლება ამ ამბავს „გადაყვება“**

არადა, **აშკარაა, რომ ეს არის ამ ჩასვრილი ტელეკომპანიის მესვეურთა თავის გადასარჩენი ერთგვარი „ვა-ბანკი“! სინამდვილეში ეს ხელისუფლება იმას „გადაყვება,“ თუ მართლა ჩაერევა პროცესებში და სამართლიან პროცესს შეაჩერებს „რუსთავი2“-ის სასარგებლოდ!**

**თუკი ამ დანაშაულებრივ ორგანიზაციას არ მოეღო ბოლო სამართლებრივად და მისი სასტიკად არაპროფესიონალი და შერცხვენილი გუნდი არ გაიწმინდა, აი, ამას მართლა გადაჰყვება ეს ხელისუფლება.**

რაც დაწყებულია ის ბოლომდე უნდა მივიდეს!

თორემ, თუკი „ნაცებს“ კიდევ ერთხელ გავუჩენთ „გამარჯვების“ განცდას, ისინი ბოლომდე გადაუვლიან დღევანდელ ხელისუფლებასაც და მერე — ხალხსაც!

**სწორედ ამიტომ ხელისუფლების წამორმადგენლებსაც და ხალხსაც, ვთხოვ კიდევ ერთხელ წაიკითხონ ამ სტატიის სათაური...**

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სინამდვილეში ამ ახალგაზრდების მკვლელები არიან ედუარდ შევარდნაძე და მიხეილ გორბაჩოვი, რომლებმაც არ მიიღეს არანაირი ზომები, როცა მათ მოსკოვში მიმართეს საქართველოს ხელმძღვანელობამ და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელმა გენერალმა იგორ როდიონოვმა“.**

**რამდენიმე ხნის წინათ „ლიტერატურნაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორის პირველმა მოადგილემ 1980-1990 წლებში, შემდეგ გაზეთ „გლასნოსტის“ მთავარმა რედაქტორმა, რამდენიმე წიგნისა და უამრავი სტატიის ავტორმა იური იზიუმოვმა გაიხსენა 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების ამსახველი ფოტოების ისტორია. მან, აგრეთვე, გაიხსენა, როგორ ინგრეოდა საბჭოთა კავშირი და რა იწინასწარმეტყველა სტალინმა 1939 წლის ნოემბერში, როდესაც შვედეთში სსრკ-ის ელჩს — ალექსანდრა კოლონტაის შეხვდა.**
**აი სტალინის ნათქვამის მცირე ფრაგმენტი:**



# იური იზიუმოვი:
# 9 აპრილი ედუარდ შევარდნაძისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მოწყობილია

**„ჩვენი პარტიისა და ხალხის ბევრ საქმეს შერყვნიან და მიაფურთხებენ, უწინარესად — უცხოეთში და ჩვენს ქვეყანაშიც... შეეცდებიან, მკაცრად დაგვსაჯონ ჩვენი წარმატებებისა და მიღწევებისთვის. ჩემს სახელს ლაფში ამოთხვრიან, ცილს დამწამებენ. მომაწერენ უამრავ ბოროტმოქმედებას. მთელი ძალით შეეცდებიან ჩვენი კავშირის განადგურებას, იმისათვის, რომ რუსეთი ველარასოდეს წამოიმართოს. საბჭოთა კავშირის ძალა ხალხთა მეგობრობაშია. ბრძოლა მიმართული იქნება, პირველ რიგში, ამ მეგობრობის რღვევისკენ, რუსეთისთვის განაპირა მხარეების ჩამოსაცილებლად... თავს წამოყოფს ნაციონალიზმი. ის რაღაც პერიოდში შეავიწროებს ინტერნაციონალიზმსა და პატრიოტიზმს, ოღონდ რაღაც დროის განმავლობაში. ერთა შიგნით აღმოცენდება ნაციონალური ჯგუფები და კონფლიქტები. გამოჩნდებიან ბევრი ბელადი-პიგმეები, თავიანთი ერების გამყიდველები. საერთოდ კი, მომავალი განვითარება უფრო რთულად და გააფთრებულად წარიმართება, ამ გზაზე მოსახვევები იქნება ძალიან მკვეთრი, საქმე იქით მიდის, რომ განსაკუთრებით აფორიაქდება აღმოსავლეთი“.**

**იზიუმოვის მონათხრობიდან ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შეფასება და იმ ადამიანების სახელების სააშკარაოზე გამოტანა, რომელთა ხელითაც ეს ყველაფერი მზადდებოდა. ერთი შეხედვით, თითქოს ახალი და უცნობი არავისთვის არაფერია, მაგრამ წლების შემდეგ ამის გახსენება მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება.**

**დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გზაზე საქართველოს ძალიან ბევრი მძიმე დღე ჰქონდა, მაგრამ 9 აპრილს, ღამით ჩვენ თვალწინ მომხდარი მოვლენები დღემდე შემზარავად გვახსენდება და თითქოს ამაზე საუბარს ვერიდებით კიდეც.**

**გადის დრო და ხანდახან მოკრძალებულად ვმსჯელობთ, ვინ იყო დამნაშავე იმ ახალგაზრდების დაღუპვაში — გარეშე თუ შინაური მტრები? მაშინდელ ცენტრალურ კომიტეტს არაჩვეულებრივი ადამიანი ჯუმბერ პატიაშვილი ხელმძღვანელობდა, ხოლო ეროვნულ მოძრაობას — ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა უდგნენ სათავეში, ადამიანები, რომელთა სახელებსაც დიდი რუდუნებით ინახავს ქართველი ერი.**

**გთავაზობთ ამონარიდს იური იზიუმოვის ვრცელი წერილიდან:**

„ყველაზე დრამატული ჩემთვისაც და რედაქციისთვის თბილისის ცნობილი მოვლენები გახდა. 1989 წლის 1 თუ 2 აპრილს ჩემთან თხოვნით მოვიდა **იური როსტი** (ცნობილი რუსი ჟურნალისტი და ფოტოკორესპონდენტი — რედ.) – სასწრაფოდ გამეგზავნა თბილისში მივლინებით. **მისი ქართველი მეგობრები მოელაპარაკნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან ჯუმბერ პატიაშვილს „ლიტგაზეთისთვის“ ინტერვიუს მიცემაზე. დრო არ ითმენდა, სასწრაფოდ გაფრენა იყო საჭირო, რადგან შემდეგ ჯუმბერ პატიაშვილი იქ აღარ იქნებოდა (თითქოს წინასწარ იცოდა!).** მოკავშირე რესპუბლიკის პირველი პირის გამოსვლა ნებისმიერ გაზეთს დაამშვენებდა, მით უფრო ჩვენსას, რომელშიც მნიშვნელოვანი პარტიული მუშაკების გამოსვლები იშვიათი იყო. მივლინება გააფორმეს.

იური როსტი რედაქციაში განსაკუთრებული ფიგურა იყო. ის მუშაობდა ვასილი პესკოვის მიერ დამკვიდრებულ ჟანრში: „ორიგინალური ფოტო“, რომელიც გაზეთისთვის დამახასიათებელ ფოტოებს არ ჰგავდა, თანმხლები ტექსტით. „როსტის ფანჯარა“, როგორც შემდგომ მონათლეს, მისი პუბლიკაციები მოგვითხრობდა ჩვენი ხალხის სულიერ სილამაზეზე, მათ მდიდარ, ყოველთვის განსაკუთრებულ შინაგან ცხოვრებაზე. ეს პუბლიკაციები დაახლოებით თვეში ერთხელ გამოჩნდებოდა და ამშვენებდა ნომერს. იური როსტი თავისი ტალანტისა და იშვიათი პიროვნული თვისებების წყალობით რედაქციის ნებიერა იყო. მას შეუქმნეს ყველა პირობა შემოქმედებითი მუშაობისთვის და მისცეს სრული თავისუფლება თემისა და სიუჟეტის არჩევაში. 9 აპრილის წინ თბილისიდან მოდიოდა და მოდიოდა ერთი მეორეზე საგანგაშო შეტყობინებები. „ტასის“ კორესპონდენტები, რადიო და ტელევიზია იუწყებოდნენ, რომ ცენტრალური კომიტეტის შენობისკენ უზარმაზარი პროცესია მიემართებოდა. ხალხს მოჰქონდა ყვავილები, მღეროდა. საღამოს ტელევიზიამ გამოაცხადა, რომ ხალხს გზა გადაუღობეს სამხედროებმა, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ ნიჩბებით. ისინი თავს დაესხნენ მშვიდობიან მანიფესტანტებს, ურტყამდნენ ნიჩბებს, გაუშვეს გაზი „ჩერიომუხა“, რასაც უამრავი მსხვერპლი მოჰყვა. ასეთი შინაარსის მოკლე კორესპონდენცია მოვიდა თბილისიდან. მთელი რედაქცია, რა თქმა უნდა, საქმის კურსში იყო და საქართველოში მიმდინარე პროცესის ცხარე განხილვაში მონაწილეობდა.

საკითხავი იყო: **რატომ მოეწყო მშვიდობიანი მსვლელობა ყვავილებით ცენტრალური კომიტეტის შენობისკენ? და თუ ეს მსვლელობა მშვიდობიანი იყო, მაშინ რატომ გამოიყვანეს მის წინააღმდეგ ჯარები? იმიტომ, რომ ჯარისკაცებს ქალები ნიჩბებით დაეკეპათ?**

უამრავი კითხვა გაჩნდა, მაგრამ მათზე პასუხს მოსკოვში ვერ იპოვიდი.

ვრეკავ საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში, ვიცი, რომ იქ მივლინებით იმყოფება ჩვენი კურატორი **სერგეი სლობოდიანიუკი.** ის ყვება, რომ ქალაქში, მეორე დღეა, არეულობაა. სიტუაცია მწვავდება. რა მოხდება შედგომ, ძნელი სათქმელია. რა უნდა ვქნა? თვითონ ვწერ შენიშვნას სლობოდიანიუკის მონათხრობის მიხედვით და ვდებ ნომერში, მეორე სვეტში, რათა შემდეგ ნომერში, როცა ყველაფერი გაირკვევა, მივცე უფრო სრული მასალა. გარშემო ჩვენი „დემოკრატები“ ბობოქრობენ, რომლებსაც, როგორც ჩანს, უკვე აქვთ წარმოდგენილი, როგორ უნდა გააშუქონ თბილისის მოვლენები. ჩემით უკმაყოფილონი არიან: „აი პარტიული დიქტატორი, აი, ასე ახშობენ თავისუფალ სიტყვას“.

მეორე დღეს ჩამოფრინდა როსტი, ყვება: მიმდინარეობდა მრავალათასიანი, მშვიდობიანი დემონსტრაცია. ხალხი ანთებდა სანთლებს, მღეროდა, ცეკვავდა, არავითარი აგრესია. და გვიჩვენა ტრაგედიის შემდგომ დილით გამოსული ქართული ახალგაზრდული გაზეთი, რომელშიც როსტის მიერ გადაღებული დაღუპული ქალების ფოტოები იყო. ვიდრე ამ ფოტოებს ვათვალიერებდით, ლაბორანტმა მოგვიტანა გამჟღავნებული ფირები იმ კადრებისა, რომლებიც როსტმა გადაიღო თბილისში. აღმოჩნდა, კადრები იგივეა, რაც ქართულ გაზეთში დაიბეჭდა, მაგრამ ერთი განსხვავებით: ამ ფირებზე გარდაცვლილებს სახეზე არანაირი ნაიარევი არ ეტყობათ. ნებისმიერი პროფესიონალი მიხვდებოდა, რომ თბილისის გაზეთისთვის ეს ნაიარევები რეტუშით, ხელოვნურად გააკეთეს. როსტმა ეს ვერაფრით ახსნა; გვითხრა, რომ თბილისში ფირები მის გარეშე დაამუშავეს.

საღამოს როსტი უკვე ტელეეკრანიდან იმეორებს თავის ვერსიას და აცხადებს, რომ რცხვენია „ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამოქვეყნებული მასალის გამო. გადაცემის სხვა მონაწილეები ცდილობენ, აღაშფოთონ აუდიტორია იმის მოთხრობით, თუ როგორ მისდევდა ქუჩაში რუსი ჯარისკაცი ხანდაზმულ ქალბატონს, როგორ დაეწია, ნიჩაბი თავში ჩაარტყა და სული გააფრთხობინა. ერთმა საღამომ როსტი ცნობილი ადამიანი გახადა.

რა მოხდა სინამდვილეში?

როსტთან ამის გარკვევას აზრი არ ჰქონდა. იური როსტი ერთხანს დამადანაშაულებელი ტელეშოუების გმირად იქცა. ბევრი გაზეთის თვალში ის იყო სიმართლისთვის შეუდრეკელი მებრძოლი, რადგან, როცა ყველა მხრიდან სიცრუის ნიაღვარი მოედინება, მასთან დაპირისპირება ბევრს როდი შეუძლია. ვერც როსტმა შეძლო. როგორ უნდა მოსთხოვო ადამიანს ის, რაც არ შეუძლია?! აი, ასეთი გამართლება მოვუძებნე მე მას: რეპორტიორი და არა სიმართლისთვის მებრძოლი, როგორც მაგალითად, რუბინოვია, ხედავს მხოლოდ იმას, რასაც აჩვენებენ. სანთლები და ყვავილები აჩვენეს, მაგრამ **როგორ ვერ უნდა შეამჩნიო პატრიარქ ილია მეორის მიმართვა, დაეტოვებინათ მოედანი, რათა თავიდან აეცილებინათ სისხლისღვრა?** იმის წარმოდგენაც კი, რომ როსტი, ისევე, როგორც ანატოლი სობჩაკი, ელემენტარულად, მოისყიდეს, არ შემეძლო. **წინდახედულმა ქართველებმა ის მომენტი, როცა ანატოლი სობჩაკს ფულს გადასცემდნენ, ვიდეოზე გადაიღეს, ფირი დღემდე შენახულია.** მაგრამ ჩვენი მომხიბვლელი გაიძვერა როსტი... ღმერთმა განსაჯოს. ხომ გამოქვეყნდა დოკუმენტები, მოვლენების მონაწილეთა ჩვენებები, მედიკოსთა დასკვნები იმის თაობაზე, რომ უბედური ქალბატონები იმ საბედისწერო დღეს ჭყლეტაში დაიღუპნენ, ისევე, როგორც წლების წინათ სტალინის დასაფლავებაზე, და არა, პროვოკატორების მიერ გამოგონილი გაზითა და ნიჩბებით? **სინამდვილეში ამ ახალგაზრდების მკვლელები არიან ედუარდ შევარდნაძე და მიხეილ გორბაჩოვი, რომლებმაც არ მიიღეს არანაირი ზომები, როცა მათ მოსკოვში მიმართა საქართველოს ხელმძღვანელობამ და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელმა, გენერალმა იგორ როდიონოვმა.** მაგრამ როსტი, აგერ უკვე 20 წელიწადია, ყოველ ხელსაყრელ სიტუაციაში ატრიალებს იმავე ფირფიტას, რომელსაც 1989 წელს ატრიალებდა.

საქართველოს უშიშროების სამსახურის უფროსი **გუმბარიძე** ნაბიჯს არ დგამდა შევარდნაძის გარეშე, ყველაზე დამპალი ის აღმოჩნდა. მომხდარის შემდეგ მას ესაუბრა **ევგენი პრიმაკოვი,** გააფრთხილა, შევარდნაძე გაიძვერაა და შენც დაგღუპავს და საქართველოსაცო. და რა ქნა გივი გუმბარიძემ? — ყველაფერი შევარდნაძეს უამბო.

**გორბაჩოვმა შევარდნაძე დაუყოვნებლივ გაგზავნა თბილისში წესრიგის დასამყარებლად. შევარდნაძემ გაბედა და მაშინვე არ გამოემგზავრა, რათა შეთქმულთათვის ხელი არ შეეშალა. ის თბილისში დილის 9 საათზე ჩამოფრინდა, პროვოკაცია კი დილის 4 საათზე დაიწყო.**

**ყველაფერი, რაც 9 აპრილის დილას მოხდა, შევარდნაძისა და აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მოწყობილია.**

მზადება ნახევარი წლის განმავლობაში მომდინარეობდა. ეს ყველაფერი ბოლო ხანს დაწყებულ „პერესტროიკას“ მოჰყვა.

შევარდნაძის მეთოდები ჩვენთან კარგად არის ცნობილი. ერთ დროს ბი-ბი-სი გადასცემდა მისი აგენტის წიგნიდან ცალკეულ თავებს, რომლებიც შინაგან საქმეთა მინისტრად მის მუშაობას შეეხებოდა. იგი აღწერდა, როგორ აწამებდნენ და ხოცავდნენ ადამიანებს მისი ბრძანებით. მთელი რესპუბლიკა ყურს უგდებდა და უცებ ბი-ბი-სიმ ეს გადაცემები შეწყვიტა“.

**რა უსწრებდა წინ 9 აპრილის მოვლენებს ან იყო თუ არა იმის წინაპირობა, რომ თბილისში ახალგაზრდები ასე უმოწყალოდ დახოცილიყვნენ? ბევრი შეკითხვა დღემდე პასუხგაუცემელია. ადამიანები, რომლებსაც პასუხი აქვთ ამ კითხვებზე, ზოგი აღარც არის ცოცხალი, ზოგი ხელისუფლებაშია, ზოგი კი უკვე პოლიტიკური გვამია, თუმცა არც ერთი მათგანი იმ წლების გახსენებას და სიმართლის თქმას არ აპირებს, რადგან მისი გამოყენება საჭირო დროს არის შესაძლებელი...**



# ჯუმბერ პატიაშვილი:
# რაც ვიცი, ნეტავ, ისიც არ ვიცოდე

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იმჟამინდელი პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი თავის მოგონებებში წერს: „9 აპრილს არავითარი წინაპირობა იმისა, რაც მოხდა, არ ყოფილა. ყველაფერი ერთი კაცის დაგეგმილი იყო.

ეროვნულ მოძრაობას ერთი ადამიანი აძლევდა მითითებებს, ის სვამდა ციხეშიც და იქ ვინ რა მოვალეობას ასრულებდა, არავინ იცის. არავინ იცის, რატომ ისხდნენ ციხეში რესპუბლიკელები? ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი გია ჭანტურია? ან, ციხიდან რომ გამოვიდნენ, სად წავიდნენ და რას საქმიანობდნენ? საქმე ის არის, რომ ყველა მათი ქმედება განპირობებული იყო იმით, ვინ რას უბრძანებდა.

# „ძნელია იმჟამინდელი ამბების გახსენება, იზიუმოვის ეს წერილი რომ წავიკითხე, მოსვენება დავკარგე, ღამეები არ მძინავს. 25 წლის განმავლობაში ჩადენილ დანაშაულებზე, ადამიანთა სიბინძურეზე ერმა აგო პასუხი“.

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**«წლები გადის და შევარდნაძის დაგეგმილ, გაკვალულ გზაზე ვდგავართ. სულ მინდოდა მასთან საჯარო შეხვედრა... დაგეგმილი იყო აფხაზეთისა და ოსეთის დაკარგვაც, რომელსაც ხელს უწყობდნენ რუსეთში არსებული გარკვეული ძალები და, რაც მთავარია, აქ სულ იყო საყრდენი ძალა, რომელიც დაკვეთას შეასრულებდა, არის დღესაც»**





**«ყველა ახლომდებარე შენობის თავზე სნაიპერები ისხდნენ, ეს იმ შემთხვევისთვის, თუ პატიაშვილი ხალხთან ჩავიდოდა, სნაიპერი მას აუცილებლად ესროდა და საშინელება მოხდებოდა. პატიაშვილი იმ ღამეს მომიტინგეებთან არ ჩავიდა, მოსკოვიდან ჩამოსულმა სპეცრაზმმა თბილისი იმ ღამესვე დატოვა. პატიაშვილის მკვლელობა მიზეზი გახდებოდა სასტიკი დარბევისა და მაგალითი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის»**

◀ არეულობები 1988 წლიდან დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში ურთიერთობა და კომუნიკაცია მიხეილ გორბაჩოვთან, საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან, სულ მქონდა. თბილისში საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა, მე მოსკოვში ვიყავი. საღამოს საათები იყო და გორბაჩოვმა დამირეკა, მითხრა, რომ თბილისში დეპეშა უნდა გამოეგზავნა. გორბაჩოვის გაგზავნილ დეპეშებს რა ამბავი მოჰყვებოდა ხოლმე სხვადასხვა რესპუბლიკაში, ეს უკვე ცნობილი იყო. დეპეშა რომ ჩამოვიდა, თბილისში მიტინგი დაიშალა, ეს ასეც იყო დაგეგმილი. **მომიტინგეებმა ხმამაღლა დაიყვირეს — კრემლმა უკან დაიხიაო და დაიშალნენ. ყველანი დაკვეთას ასრულებდნენ. ამ ყველაფერს სათავეში ერთი კაცი — ედუარდ შევარდნაძე ედგა.**

ამდენი წლის გადასახედიდან, ვფიქრობ, არაფრის შეცვლა არ შემეძლო მაშინ.

საბჭოთა კავშირი იმ სისტემამ დაანგრია, რომელიც დღემდე მუშაობს, შევარდნაძე პატარა ჭანჭიკი და კარგი შემსრულებელი იყო. მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში არავის ჰყავდა ისეთი ადამიანები, როგორებიც ჩვენ გვყავდა ეროვნული მოძრაობის წევრების სახით, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ედუარდ შევარდნაძესთან. ამ მოსაზრებას გივი გუმბარიძის დანიშვნა ამყარებს. გუმბარიძე შევარდნაძის კაცი იყო.

და მაინც, რა მოხდა 9 აპრილს?

ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ იქ მაშინ ვინმე იარაღს გამოიყენებდა. ორი სახანძრო მანქანა იდგა, წყლის ჭავლით უნდოდათ ხალხის დაშლა და ნება არ მივეცი, იმიტომ კი არა, რომ ჩემებიც იდგნენ იქ, არა, **აფხაზეთის გამოყოფის საკითხი იდგა და ამის წინააღმდეგი მეც ვიყავი, მომიტინგეებს მხარს ვუჭერდი. აქციის მონაწილეებს ვერ წარმოედგინათ, რომ აფხაზეთის საკითხი ისე გადაწყდებოდა, როგორც გვსურდა, ამიტომ უცბად, ვიღაცის ბრძანებით, სულელ ირაკლი წერეთელს შემოაგდებინეს თემა — საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოვიდესო.** აქ უკვე არაფრის გაკეთება აღარ შეიძლებოდა, ძალიან გულუბრყვილო უნდა ყოფილიყავი, რომ ჩარეულიყავი, თუმცა **იმას, რაც მოხდა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ნამდვილად არავინ ელოდა.** იგორ როდიონოვს ველაპარაკე დარბევამდე ნახევარი საათით ადრე, მსგავსი არაფერი უთქვამს. მე კი გული ცუდს მიგრძნობდა, მე რომ წინასწარ მცოდნოდა, რაც მოხდებოდა, აუცილებლად ხალხის გვერდით დავდგებოდი“.

აქ პატიაშვილის მოგონებას შევწყვეტთ და **ნოდარ მელაძის**, ბატონი ჯუმბერის მეგობრის, მოგონებიდან ამონარიდს შემოგთავაზებთ: **„ყველა ახლომდებარე შენობის თავზე სნაიპერები ისხდნენ, ეს იმ შემთხვევისთვის, თუ პატიაშვილი ხალხთან ჩავიდოდა, სნაიპერი მას აუცილებლად ესროდა და საშინელება მოხდებოდა. პატიაშვილი იმ ღამეს მომიტინგეებ-**



**თან არ ჩავიდა, მოსკოვიდან ჩამოსულმა სპეცრაზმმა თბილისი იმ ღამესვე დატოვა. პატიაშვილის მკვლელობა მიზეზი გახდებოდა სასტიკი დარბევისა და მაგალითი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის“.**

ნოდარ მელაძის ეს სიტყვები იძლევა იმის საშუალებას, რომ ვიფიქროთ, იური როსტმა იცოდა, ჯუმბერ პატიშვილის ლიკვიდაცია რომ იგეგმებოდა, რადგან მან გაზეთის ხელმძღვანელს უთხრა: — თუ ახლა არ გამიშვებთ თბილისში, მერე შეიძლება ჯუმბერ პატიაშვილი არ იყოს. თავად ჯუმბერ პატიაშვილი ამბობს, რომ იმხანად თბილისიდან გასვლას არ გეგმავდა...

**ჯუმბერ პატიაშვილი:**

„9 აპრილის მოვლენების ამსახველი ფოტოები მხოლოდ იური როსტმა და გოგა ხაინდრავამ გადაიღეს, თუმცა საბოლოოდ როსტის გადაღებული ფოტოები გახდა ცნობილი, რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ ესეც დაგეგმილი იყო.

შევარდნაძე ცოცხალი აღარ არის, თუმცა მაშინვე მქონდა შეკითხვები და პასუხს სულ ველოდი...

სწორედ ის შეკითხვები მქონდა, რომლებსაც ხალხი ახლა სვამს: **როგორ მოხდა ეს ყველაფერი? როგორ და რატომ განვითარდა მოვლენები ასე ტრაგიკულად, მაშინ, როდესაც ამის წინაპირობა არ არსებობდა?**

**წლები გადის და შევარდნაძის დაგეგმილ, გაკვალულ გზაზე ვდგავართ. სულ მინდოდა მასთან საჯარო შეხვედრა... დაგეგმილი იყო აფხაზეთისა და ოსეთის დაკარგვაც, რომელსაც ხელს გარკვეული გარე ძალებიც უწყობდნენ და, რაც მთავარია, აქ სულ იყო საყრდენი ძალა, რომელიც დაკვეთას შეასრულებდა, არის დღესაც.**

საბჭოთა კავშირის ქვეყნებს ეგონათ, რომ 1988 წელს დაწყებული მიტინგების მთავრობის სასახლის წინ ჩატარებას ხელს მე ვუწყობდი და მეკითხებოდნენ კიდეც, რატომ ვიყავი ამის მომხრე. **ის, რაც საქართველოში მოხდა, არსად, არც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში არ მომხდარა.**

არსებობს დოკუმენტები, რომლებითაც დასტურდება, რომ მე, ჯუმბერ პატიაშვილს, ჯარი არ მომითხოვია და ხელი არაფერზე მომიწერია.

„წითელმა ჯვარმა“ გარდაცვლილთა ექსპერტიზის დასკვნას ხელი არ მოაწერა, რადგან ის, რაც დასკვნაში ეწერა, არ ემთხვეოდა რეალობას. რუსეთიდან ჩამოსულმა პროკურორმა პროფესორ **თამარ დეკანოსიძეზე** თქვა, რომ არასწორად მოიქცა, როდესაც მოსკოვში ჩასულა, თავის კოლეგა ექიმებს უკითხავთ, ამ დოკუმენტებს, ამ დასკვნებს ხელი როგორ მოაწერეო. მისი პასუხი ყოფილა — „მაიძულეს“. **პროკურორი ამბობდა, დეკანოსიძე აუცილებლად დასაჭერი იყოო. თბილისში რომ ჩამოვიდა ეს ქალბატონი, ტელევიზიით საწინააღმდეგო რამ თქვა. თქვა, რომ იქ დააშინეს. რამდენიმეჯერ შევხვდი, მაგრამ თვალებში შემოხედვა უჭირდა.**

იმ წლების ვიდეოჩანაწერები რომ არსებობდეს, სალაპარაკო აღარაფერი მექნებოდა, ყველასთვის ყველაფერი ცნობილი შეიქნებოდა — ვინ რა ჩაიდინა და რა მოიმოქმედა, თუმცა მჯერა, ისტორია ყველაფერს ფარდას ახდის, თავის სახელს დაარქმევს, მაგრამ ამასობაში ქვეყანა ინგრევა, დაინგრა“.

ჯუმბერ პატიაშვილს იური იზიუმოვის წერილზე კომენტარი ვთხოვეთ. მისი პასუხი მოკლე იყო: **„ძნელია იმჟამინდელი ამბების გახსენება, იზიუმოვის ეს წერილი რომ წავიკითხე, მოსვენება დავკარგე, ღამეები არ მძინავს. 25 წლის განმავლობაში ჩადენილ დანაშაულებზე, ადამიანთა სიბინძურეზე ერმა აგო პასუხი.**

რა უნდა გითხრათ იმ დღეებზე? არ ვიცი, რაც ვიცი, ნეტავ, ისიც არ ვიცოდე“.

**მოამზადა**
**ეკა ნასყიდაშვილმა**



## 5 მილიონ დოლარამდე ზარალი — აფეთქება ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენზე

**5 მილიონ დოლარამდე ზარალი მიადგა თურქეთს ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენზე მომხდარი აფეთქების შედეგად. გაზსადენზე აღდგენითი სამუშაოები უკვე დაწყებულია.**

ადგილობრივმა ხელისუფლებამ მომხდარს ტერაქტის კვალიფიკაცია მისცა და მის მოწყობაში ქურთი სეპარატისტები დაადანაშაულა.




## აშშ-ში 8 ადამიანის მკვლელობის ბრალდებით მამაკაცი დააკავეს

**ტეხასის შტატის პოლიციამ დააკავა მამაკაცი, რომელმაც 8 აგვისტოს რვა ადამიანი მოკლა.**

ადგილობრივი სამართალდამცავების ინფორმაციით, დამნაშავემ ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში სროლა შუაღამისას დაიწყო, რასაც ხუთი ბავშვისა და სამი ხანდაზმული ადამიანის სიკვდილი მოჰყვა.



## სტამბოლში აშშ-ის საკონსულოს ცეცხლი გაუხსნეს

**10 აგვისტოს, დილით, სტამბოლში ქალმა და მამაკაცმა აშშ-ის საკონსულოს ცეცხლი გაუხსნეს.**

შემთხვევის ადგილას მისულმა პოლიციელებმა ცეცხლით უპასუხეს თავდამსხმელებს, მაგრამ მათ მოახერხეს მიმალვა. მოგვიანებით თურქმა სამართალდამცველებმა დააკავეს ქალი, რომელიც აშშ-ის საკონსულოზე თავდასხმაშია ეჭვმიტანილი.

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არავის უნახავს იმის დამადასტურებელი ფოტო ან რაიმე დოკუმენტი, სტალინი ლოცულობდა თუ არა, ანუ ღმერთი სწამდა თუ არა, მაგრამ რა ვუყოთ იმ უეჭველ ფაქტს, როცა 1941 წლის ზამთარში, დაცემის პირას მდგომი მოსკოვის თავზე სტალინის ბრძანებით ყაზანის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი შემოატარეს თვითმფრინავით? ან რას მივაწეროთ ის ფაქტი, რომ 1943 წელს სტალინმა რუსეთს პატრიარქის ინსტიტუტი აღუდგინა, რომელიც პეტრე დიდის შემდეგ არ ჰქონია, და საქართველოს — ავტოკეფალია?**

# ნეოლიბერალების ყელში გაჩხერილი ძვალი და გლობალისტების მორიგი «იაღლიში»

**ახლახან ვნახე შესანიშნავი დოკუმენტური ფილმი — „სტალინ — ბიჩ ბოჟიი“. და მართლაც, იოსებ ბესარიონის ძე ბევრისთვის, განსაკუთრებით კი, XX საუკუნის დასაწყისში მომძლავრებული ჩვენი თანამედროვე ნეოლიბერალების კოსმოპოლიტი წინაპრებისთვის ღვთის რისხვა იყო. მან არათუ ალაგმა „მსოფლიო მთავრობის“ პარპაში, არამედ კონტრრევოლუციაც კი მოუწყო 1917 წლის რევოლუციის შედეგად რუსეთის სათავეში აღმოჩენილ სიონისტებს და ჩაუშალა მართლმადიდებელი მონარქიის — რუსეთის დაშლა-დანგრევის თითქმის სისრულეში მოყვანილი გეგმა.**

ყურადღებით რომ გადავავლოთ თვალი რუსეთის ისტორიას, მის წინააღმდეგ გაჩაღებულ ომებსა და კონფლიქტებში, გეოპოლიტიკური ინტერესების გარდა, ისტორიულად იკითხებოდა „კულტუროსან“ ევროპელ, მოგვიანებით კი ამერიკელ „მსოფლიო მთავართა“ ინტერესი — როგორმე დაემხოთ ზემძლავრი მართლმადიდებელი მონარქია!

**მართლმადიდებელი რუსეთის არსებობა მასონი ძალღების ყელში გაჩხერილი ისეთივე ძვალი იყო, როგორც დღეს მართლმადიდებლობა არის უკანასკნელი აუღებელი ბასტიონი ნეოლიბერალი ხლისტებისთვის.**

რუსეთი, როგორც წესი, მარტოდმარტო იგერიებდა მსოფლიო მასონთა შემოტევებს და ამიტომაც ბრძანა ალექსანდრე მესამემ: „რუსეთს მხოლოდ ორი მოკავშირე ჰყავს — არმია და ფლოტი“.

**წერილის დასაწყისში ნახსენებ დოკუმენტურ ფილმს თუ დავეყრდნობით, სასულიერო სემინარიის ბოლო კურსელ სოსო ჯუღაშვილისთვის ახალ ათონზე (აფხაზეთი) მოღვაწე ერთ მეუფეს უთქვამს, რომ მალე რუსეთს, როგორც ჭეშმარიტი სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ერთადერთ დასაყრდენს, მსოფლიო მასონები შემოუტევენ და შენი მისია რუსეთის, იმავე მართლმადიდებლობის გადარჩენააო...**

კიდევ ვიმეორებ: არავინ იცის, ეს გადმოცემა „ზღაპარია თუ ნამდვილი“, მაგრამ ის კი უდავო ფაქტია, რომ სემინარიის წარჩინებულმა სტუდენტმა უარი თქვა ბოლო გამოცდის ჩაბარებაზე, მღვდლის ანაფორაზე და რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება.

ისიც ნამდვილია და არა ზღაპარი, რომ გერმანიაში დალუქული ვაგონების იმ 170 მგზავრიდან, რომლებიც ლენინის მეთაურობით 1917 წელს პეტროგრადში ჩამოვიდნენ, 128 იყო ტომით ებრაელი და მოწოდებით სიონისტი.

ისიც სიმართლეა, რომ მთავარი სიონისტი, **ლევ ტროცკი**, ამერიკიდან, უშუალოდ ამერიკის პრეზიდენტის, მასონი **ვუდრო ვილსონის**, ფინანსურ-პოლიტიკური ხელშეწყობით ჩამოვიდა პეტროგრადში;

1919 წელს მასონმა **უინსტონ ჩერჩილმა** ლორდთა პალატაში გამოსვლისას გერმანიაში დალუქული ის ვაგონი ქოლერის, ტიფისა და შავი ჭირის ბაცილებით სავსე ქილას შეადარა, რომელიც რუსეთს უნდა მოსდებოდა და აკი მოედო კიდეც ტროცკის თამადობით, იმ 128 სიონისტმა ბოლშევიკურ რუსეთში საკვანძო თანამდებობები დაიკავა და რუსული სახელმწიფოებრიობის საფუძვლის, მართლმადიდებელი ეკლესიებისა და სარწმუნოების, მიზანმიმართული ნგრევა დაიწყო;

უდავო ფაქტია, რომ ეს ტროცკისტი სიონისტები სემინარიის ნასტუდენტარმა სოსელომ, იოსებ სტალინმა, ალაგმა;

**არავის უნახავს იმის დამადასტურებელი ფოტო ან რაიმე დოკუმენტი, სტალინი ლოცულობდა თუ არა, ანუ ღმერთი სწამდა თუ არა, მაგრამ რა ვუყოთ იმ უეჭველ ფაქტს, როცა 1941 წლის ზამთარში, დაცემის პირას მდგომი მოსკოვის თავზე სტალინის ბრძანებით ყაზანის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი შემოატარეს თვითმფრინავით? ან რას მივაწეროთ ის ფაქტი, რომ 1943 წელს სტალინმა რუსეთს პატრიარქის ინსტიტუტი აღუდგინა, რომელიც პეტრე დიდის შემდეგ არ ჰქონია, და საქართველოს — ავტოკეფალია?**

სტალინის მესიანობის დამადასტურებელი მაგალითების მოყვანა თუ რიტორიკული შეკითხვების დასმა კიდევ ბევრის შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, ნათქვამიც საკმარისია საიმისოდ, რომ განვაცხადოთ:

**სტალინი იყო „ბიჩ ბოჟიი“ — რუსთა და ყველა საბჭოთა ხალხის მესიის მახვილი და მასონთა ღვთის რისხვა;**

**სტალინმა დაამარცხა საბჭოეთზე შემოსეული ფაშისტური გერმანია და არა მხოლოდ ყავისფერი ჭირისგან იხსნა მსოფლიო, არამედ 60-70 წლით შეაჩერა ის პროცესები, რომლებიც ალენ დალესის დოქტრინის მიხედვით დღეს მიმდინარეობს.**

**მართალია, თანამედროვე სიონისტები ეკლესიებს აღარ ანგრევენ, მაგრამ სამაგიეროდ ე.წ. ადამიანის უფლებების დაცვის კომუფლაჟით, რაც, პირველ რიგში, ლგბტ-თა უფლებების დაცვას, ერთნაირსქესიანთა ქორწინებების დაკანონებას გულისხმობს მსოფლიოს მასშტაბით, თითოეული ინდივიდის სულში არსებულ ეკლესიას, სულიერებას უნგრევენ ადამის მოდგმას!**



**რუსეთის ორბიტა (გნებავთ, ევრაზიული კავშირი დაარქვით) საქართველოსთვის დაცული სივრცეა, სადაც სულის წამწყმედი ლგბტ-ჭირი ვერ გავრცელდება, ერთნაირსქესიანთა ქორწინებები ვერასოდეს დაკანონდება, ანუ გადაგვარების საფრთხე შეიძლება ავიცილოთ და ყოველგვარი ზნეობისგან თავისუფალი საზოგადოების ნაწილი არ გავხდეთ**

ისტორია ჩვენ თვალწინ მეორდება — აშშ-ის გავლენის აგენტების დახმარებით, საბჭოთა კავშირი ჯერ დაშალეს, მერე კი რუსეთი კუდის რიკამდე გაძარცვეს გასული საუკუნის 90-იან წლებში.

და, როდესაც რუსეთის დაშლა-დაქუცმაცების მორიგ ცრუ მოლოდინში მსოფლიო მასონ-ხლისტები (აშშ) სიამოვნებით იფშვნეტდნენ ხელებს, რუსეთს განგებამ კიდევ ერთი „ბიჩ ბოჟიი“ — რუსთა მესიის მახვილი და სიონისტთა ღვთის რისხვა მოუვლინა **ვლადიმერ პუტინის** სახით. პრეზიდენტი, რომელმაც ნაბიჯ-ნაბიჯ, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ჯერ სამოქალაქო ომის ქაოსიდან გამოიყვანა ქვეყანა, შემდეგ კი ნელ-ნელა აღადგინა რუსეთის სამხედრო ძლიერება, რომელიც, საბჭოეთის დარად, შიშის ზარს სცემს ლიბერალობაში ნამეტნავად „პრადვინუტ“ ამერიკას!

და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ყირიმის მორალურად სრულიად ლეგიტიმური „ანექსიით“ ვლადიმერ პუტინმა რუს ხალხს დაუბრუნა სიამაყის, ღირსების განცდა, რომელიც გამრავლებული რუსეთის მძლავრ სამხედრო პოტენციალზე, მართლაც, უძლეველობის განცდას ბადებს!

რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც კანონის ძალით აკრძალა გეიაღლუმების გამართვა, მას შემდეგ, რაც აშშ-მა ქვეყნის მაშტაბით ყველგან დააკანონა ერთნაირსქესიანთა ქორწინება და უფრო მეტიც, სახელმწიფო მდივნის, **ჯონ კერის**, პირით მსოფლიოს დაემუქრა ამ „ჰუმანური“ აქტის გავრცელებით. ამ დროს პუტინის რუსეთის ხისტი პოზიცია ამ უზნეო სიბინძურისადმი კიდევ უფრო აქტუალური და მისასალმებელია.

ახლა მავანი შემედავება — ამერიკამდე მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში იყო დაკანონებული ერთნაირსქესიანთა ქორწინებები და რაღა აშშ დაგვესო გულზე ეკლადო?!

საქმეც ისაა, რომ ლგბტ-თა სამოთხედ მიჩნეული ჰოლანდია, დანია, ნორვეგია თუ შვედეთი, მიუხედავად ძლიერი ეკონომიკებისა, პოლიტიკური გავლენის თვალსაზრისით, ევროპის რიგითი სახელმწიფოებია.

**სულ სხვა დატვირთვა და ძალა აქვს, როცა ლგბტ-თა ბელადობაზე განაცხადს ზესახელმწიფო — აშშ აკეთებს, რადგან მის მაგალითს, როგორც დემოკრატიის ეტალონს, ბევრი შესცქერის წაბაძვის თვალით, ასეთ მაგალითს მეტი გადამდები ძალა აქვს.**

**ერთნაირსქესიანთა ქორწინებები მხოლოდ იმას არ ნიშნავს, ქალი ქალთან დაწვება თუ კაცი კაცთან. ეს სწორედაც რომ პოლიტიკური საკითხია; პოლიტიკა, რომლის მიზანია ყოველგვარი მორალის, ეთიკის, ტრადიციებისა და ა.შ. დაცლილი საზოგადოების, მე ვიტყოდი, ჰომო ნეოლიბერალის მენტალიტეტის, ცხოველის მსგავსი ადამიანის შექმნა.**

აქედან გამომდინარე, ვიმეორებ, რომ რუსეთის სახელმწიფოს ხისტი პოზიციის მნიშვნელობა მსოფლიოს ლგბტზაციის მიმართ მართლაც იმედის მომცემია და არა მხოლოდ ჩვენთვის — ქართველებისთვის.

დიახ, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, შეიძლება ითქვას, რომ **ლგბტ უმცირესობებისგან ჩაგრული (და არა პირიქით) დასავლეთის ნორმალური საზოგადოებები, რომლებიც ხმის ამოღებას ვერ ბედავენ (ან, თუ ბედავენ, უშედეგოდ — პარიზში მილიონიანი მარში), იმედის თვალით უმზერენ რუსეთის პრეზიდენტს, რომლის, შეიძლება ითქვას, სტალინის სტილში, სადა, გასაგებმა, ლაკონურმა, ვაჟკაცურმა კითხვა-პასუხებმა, შეუძლებელია, არ აღგაფრთოვანოს.**

პუტინის შემთხვევაში მასონ ნეოლიბერალებს კიდევ ერთი „იაღლიში“ მოუვიდათ — არნახულად გაძლიერდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ლგბტ-თა დაუძინებელი მტერია და გადაულახავი ზღუდე ნეოლიბერალური იდეოლოგიის პროპაგანდისთვის.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ **რუსეთის ორბიტა (გნებავთ, ევრაზიული კავშირი დაარქვით) საქართველოსთვის დაცული სივრცეა, სადაც სულის წამწყმედი ლგბტ-ჭირი ვერ გავრცელდება, ერთნაირსქესიანთა ქორწინებები ვერასოდეს დაკანონდება, ანუ გადაგვარების საფრთხე შეიძლება ავიცილოთ და ყოველგვარი ზნეობისგან თავისუფალი საზოგადოების ნაწილი არ გავხდეთ.**

**აღარაფერს ვიტყვი რუსეთთან ახლოს ყოფნის ეკონომიკურ ფაქტორებზე და ხმას არ ამოვიღებ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსის ალბათობაზე, რაც რუსეთის კეთილი ნების გარეშე წარმოუდგენელია!**

**დავით მხეიძე**

მოკლედ

## მსოფლიოს ახალი რუკა – «ისლამური სახელმწიფო» 2020 წლისთვის ტერიტორიების გაფართოებას გეგმავს

**„ისლამურმა სახელმწიფომ“ ახალი რუკა გამოაქვეყნა, რომელზეც ე. წ. სახელმწიფოს ახალი ტერიტორიებია ნაჩვენები. რადიკალური დაჯგუფება 2020 წლისთვის კონტროლის დამყარებას შუა აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკასა და ევროპის ნაწილში აპირებს.** ამ რუკის მიხედვით, ხალიფატმა ესპანეთიდან ჩინეთამდე ტერიტორია უნდა დაიკავოს. ახალ ტერიტორიებს შეცვლილი აქვს სახელებიც. მაგალითად, ესპანეთსა და პორტუგალიას ანდალუზია დაარქვეს, როგორც ეს იყო VIII-დან XV საუკუნის ჩათვლით მავრების პერიოდში. „ისლამურ სახელმწიფოს“ ჰყავს 50 000-მდე წევრი და ფლობს დაახლოებით 2 მილიარდ აქტივსა და ნაღდ ფულს. რადიკალები ერაყსა და სირიაში ბუნებრივი აირისა და ნავთობის ნაწილს აკონტროლებენ. მათ თავიანთი ბარბაროსობითა და ხოცვა-ჟლეტით, რომელიც მიმდინარე წლის ივნისში ტუნისში მოაწყვეს, მსოფლიო შოკში ჩააგდეს — 38 უცხოელი დამსვენებელი მოკლეს. ისინი სიამაყით აცხადებენ, რომ არაჯანსაღი ორიენტაციის ადამიანებს მაღალსართულიანი შენობებიდან აგდებენ. ადვილი შესაძლებელია, რომ მათ ბიოლოგიური და ქიმიური იარაღი შექმნან და მასობრივი განადგურების იარაღი გამოიყენონ.



**„2008 წლის 14 აგვისტოს ჩემი მეგობრისგან თეთრი სახლიდან „ეს-ემ-ესი“ მივიღე: მეხუთე ფლოტი გზაშია. ოპერაციას გეითსი გაუძღვება. იორდანიიდან „ჰერკულესები“ აფრინდნენ და ჰაერში არიან“, — დაწერა შაშკინმა სოციალურ ქსელში. აი, ეს მძიმე სისულელე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რა „ბავშვურ თამაშად“ წარმოედგინათ ომი სააკაშვილის თანამოაზრეებს და როგორ აგოიმებდნენ და ეკაიფებოდნენ მათ ამერიკელები.**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჰოლივუდური (შაშ)კინო აგვისტოს ომის შესახებ

**არ ვაპირებ, ნოდარ დუმბაძის რომანის გმირი ფოსტალიონივით ტრაგიკულად შევყვირო: „მე დავიწყე ომი!“, მაგრამ მინდა, დანამდვილებით ვთქვა, რომ ქვეყანა მხოლოდ მაშინ ჩამოყალიბდება სახელმწიფოდ და მხოლოდ მაშინ დადგება სწორ გზაზე, როდესაც ვილაპარაკებთ სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა!**



## რა დონეზე იყო დარწმუნებული სააკაშვილი და მისი გარემოცვა, რომ «ამერიკელთა შიშით» რუსეთი «კრინტს» ვერ დაძრავდა, ეს ამ დღეებში ნამინისტრალი დიმიტრი შაშკინის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციითაც დადასტურდა

ნებისმიერ ქვეყანას განვითარებისა და ჩამოყალიბების პერსპექტივა მხოლოდ მაშინ ექნება, როდესაც ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს.

თავის მოტყუების რეჟიმს არასოდეს არც ერთი ქვეყნისთვის არ მოუტანია კარგი და, ბუნებრივია, არც ჩვენთვის მოაქვს.

ვსაუბრობ 7 წლის განმავლობაში საქართველოში ყველაზე აქტუალურ და ამასთანავე, ყველაზე მგრძნობიარე საკითხზე — **„ვინ დაიწყო 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი?“**

ეს კითხვა ხშირად გამხდარა მოკამათე მხარეთა შორის ურთიერთშეურაცხყოფის მიზეზიც, რადგან იგი ერთი პოლიტიკური ძალის მიერ „პრივატიზებული“ ერთგვარი კოზირია და მოწინააღმდეგისთვის ამ კითხვის დასმის შემთხვევაში, ერთადერთი პირდაპირი პასუხის გარდა, ნებისმიერი სხვა ოდნავი ინტერპრეტაცია ფასდება, როგორც „ქვეყნის ღალატი“.

ალბათ, მიხვდით, ეს პოლიტიკური ძალა „ნაციონალური მოძრაობაა“, ხოლო მათთვის მისაღები და ერთადერთი პირდაპირი პასუხი ამ კითხვაზე არის „რუსეთმა დაიწყო ომი“.

**თუნდაც სიტყვა „მაგრამ“ რომ წამოსცდეს ვინმეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას, ის უკვე „მოღალატე“, „გამყიდველი“, „ლაჩარი“, „მშიშარა“ და ათასი სხვა უბედურებაა!**

ეს ფსიქოლოგიური წნეხი განაპირობებს იმას, რომ ჩრდილოელ მეზობელთან რაიმე საერთო ენის გამონახვის მცდელობის მომხრენი (რომლებსაც ასევე მძიმე ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ ამყოფებენ და „რუსეთუმეს“ ეპითეტით მოიხსენიებენ) ცდილობენ, რაღაც ფორმა იპოვონ, ამ კითხვასაც სწორი პასუხი მოუძებნონ და თანაც „სამშობლოს გამყიდველის“ იარლიყიც აირიდონ თავიდან.

ეს იწვევს ერთგვარ შეცდომებსაც, რომლებიც ჩემთვის მეტად პატივსაცემი მედიასაშუალების პატივცემულ ავტორებსაც კი მოსდით.

მაგალითად, ფორმულირება — **„ომი საქართველოს არ დაუწყია, ომი სააკაშვილმა დაიწყო!“** — სწორედ ასეთ შეცდომათა კატეგორიას განეკუთვნება. ასეთი მიდგომის მომხრენი ცდილობენ, „ძლიერი მეზობლის“ თვალში „დანაშაული“ საქართველოს იმჟამინდელ ხელისუფალს მთლიანად გადააბრალონ, ჩვენი ქვეყანა არააგრესიულ ქვეყნად წარმოაჩინონ და ამ გზით მიიღონ ქვეყნისთვის რაიმე დადებითი შედეგი.

თუმცა, ასეთი „რევერანსები“ რომ გაუმართლებელია და არავითარი შედეგი არ მოაქვს, ესეც ფაქტია.

თავისთავად ზოგადი ფორმულა, რომ რაღაც გააკეთა რომელიმე ქვეყნის პირველმა პირმა და არა თვითონ ამ ქვეყანამ, საერთაშორისო სამართლებრივ და დიპლომატიურ ენაზე დიდი ნონსენსია.

„გამოცდილ პოლიტიკოსად“ მონათლულმა ზოგიერთმა „მოღვაწემ“ ერთხელ ისიც კი განაცხადა გარკვეულ კონკრეტულ საქმეზე — ეგ ჯარიმა სტრასბურგის სასამართლომ წინა ხელისუფლებას დააკისრა და ჩვენ რატომ უნდა გადავიხადოთო?

აი, ზუსტად ასეთივე შეცდომაა, ვამტკიცოთ, რომ ომი დაიწყო საქართველოს პრეზიდენტმა და არა საქართველომ.

**პრეზიდენტი მოსახლეობის, ანუ ქვეყნის ნების განმახორციელებელია და მის მიერ გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯზე პასუხს მთელი ქვეყანა აგებს!**

ასე რომ, **თუ ჩვენ ვამბობთ, რომ ომი დაიწყო პრეზიდენტმა, ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ ომი დაიწყო საქართველომ.**

**და აქ ვერანაირი ბავშვური გაბუტვა — ეს პრეზიდენტი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ იყო არჩეულიო — არგუმენტად ვერ გამოდგება!**

ახლა მთავარი:

**ომი არც პრეზიდენტ სააკაშვილს დაუწყია და არც საქართველოს.**

**ომი ნიშნავს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრას სამხედრო ძალით.**

ამიტომ მინდა, ვკითხო ყველას, ვინც ცდილობს, რომ საქართველოს „ნამუსი მოსწმინდოს“:

რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე დაიწყო სააკაშვილმა ომი?

სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისოდ და იურიდიულად, თვით რუსეთის მიერაც კი, იმ მომენტისთვის აღიარებულ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე!

რუსეთს „სამხრეთ ოსეთისა“ და „აფხაზეთის“ აღიარებაც სწორედ იმიტომ დასჭირდა, რათა იქ თავისი სამხედრო ძალის ყოფნა გაემართლოს — აქაოდა, ეს, საქართველოს ტერიტორიები კი არა, დამოუკიდებელი, ცალკე ქვეყნებიაო.

ეს ყოველივე აქსიომაა და ამაზე საუბარიც კი ზედმეტია!

**მაშ, საქართველოს იმჟამინდელ ხელისუფლებას არაფერი დაუშავებია?** — ლოგიკურ კითხვას დასვამს მავანი.

**რა თქმა უნდა, დააშავა და თანაც მძიმედ! ოღონდ არ არის აუცილებელი, ქვეყნის ხელისუფლების დანაშაული მაინცდამაინც „ომის დაწყებაში“ გამოიხატებოდეს.**

**როდესაც ქვეყანას ერთპიროვნულად მართავ, ბევრი რამის დაშავება შეიძლება და, მათ შორის, ყველაზე უფრო იმისა, რომ წამოიწყო სამხედრო ავანტიურა, რომელსაც შენზე სამხედრო ძალით გაცილებით ალმატებული მეზობელი მოუთმენლად ელის, რათა თავისი სტრატეგიული ინტერესების უხეში ძალით განსახორციელებლად რაიმე საბაბი მიეცეს.**

**აი, სწორედ ეს მოხდა 2008 წლის 8 აგვისტოს.**

ომი დაიწყო სწორედ იმ მომენტში, როდესაც უცხო ქვეყნის, ამ შემთხვევაში საქართველოს, საზღვარი მისმა პირველმა ჯარისკაცმა თუ სამხედრო ტექნიკამ გადმოკვეთა.

ეს უდავოა, მაგრამ ის, **თუ რის იმედზე წამოიწყო ასეთი მძიმე რისკის შემცველი სამხედრო ავანტიურა საქართველოს იმჟამინდელმა მთავრობამ და პირადად პრეზიდენტმა სააკაშვილმა, უკვე საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს.**

არის ვერსიები სააკაშვილის რუსეთთან გარიგებისა და ტერიტორიების წინასწარ შეთანხმებით ჩაბარების თაობაზე, მაგრამ ასეთი „შეთქმულების თეორიების“ ნაცვლად უპირატესობას უფრო **სააკაშვილისა და მისი გარემოცვის მძიმე სიდებილის ვერსიას ვანიჭებ.**

**ეს სულელები ამერიკელებმა დაარწმუნეს, რომ რუსეთი ვერ გაბედავდა სამხედრო ძალით ღიად დახმარებოდა ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებას. მახსოვს, როცა ამ მოვლენებამდე რამდენიმე თვით ადრე ვთქვი, თუკი ეს ავანტიურა განხორციელდა, რუსეთი არა მხოლოდ ცხინვალს, არამედ თბილისსაც დაბომბავს-მეთქი, როგორ უცხოპლანეტელივით შემომხედეს მოკამათეებმა — „მიშისტებიც“ და „არამიშისტებიც“ ზუსტად ერთნაირად დამცინოდნენ — მაგას როგორ გაბედავენ, შენ მეცხრამეტე საუკუნეში ხომ არ ჩარჩიო?!**

რომელ „საუკუნეში“ რა „გაბედა“ რუსეთმა, ეს ყველამ კარგად ვნახეთ!

ხოლო **რა დონეზე იყო დარწმუნებული სააკაშვილი და მისი გარემოცვა, რომ „ამერიკელთა შიშით“ რუსეთი „კრინტს“ ვერ დაძრავდა, ეს ამ დღეებში ნამინისტრალ დიმიტრი შაშკინის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციითაც დადასტურდა.**

„2008 წლის 14 აგვისტოს ჩემი მეგობრისგან თეთრი სახლიდან „ეს-ემ-ესი“ მივიღე: მეხუთე ფლოტი გზაშია. ოპერაციას გეითსი გაუძღვება. იორდანიიდან „ჰერკულესები“ აფრინდნენ და ჰაერში არიან“, — დაწერა შაშკინმა სოციალურ ქსელში.

**აი, ეს მძიმე სისულელე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რა „ბავშვურ თამაშად“ წარმოედგინათ ომი სააკაშვილის თანამოაზრეებს და როგორ აგოიმებდნენ და ეკაიფებოდნენ მათ ამერიკელები.**

თუმცა შაშკინს, კეზერასა და მათნაირებს თავში ტვინი იმ უდიდესი ტრაგედიისა და საშინელი კრახის შემდეგაც რომ არ მომატებიათ, იქიდანაც ჩანს, რომ, როდესაც შაშკინის ამ განცხადებას სოციალური ქსელის მომხმარებლებმა მწარედ დაცინეს, დიმამ მეტი „დამაჯერებლობა“ შესძინა თავის ნათქვამს და მომდევნო განცხადებაში უკვე უფრო დიდი სიდებილე დაამატა:

**„იცით, რატომ არ დაბომბა რუსეთმა თბილისი? აეროპორტში ასაფრენ ბილიკებზე იდგნენ ამერიკული „ჰერკულესები“. ბევრმა არ იცის, რომ შავ ზღვაში შემოსულმა ამერიკულმა მეხუთე ფლოტმა გააკონტროლა საჰაერო სივრცე სამკუთხედით — თბილისი-ვოლგოგრადი-მოსკოვი. მის მიერ კონტროლირებადი სამხედრო პოტენციალი 8-ჯერ აღემატებოდა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის პოტენციალს.**

**ბევრმა არ იცის, რომ 14 აგვისტოს იორდანიიდან აფრენილ „ჰერკულესებს“ უკან მოჰყვებოდა ავიაგამანადგურებლები და მათი მეთაურის ფრაზამ, რომ რუსული სამხედრო თვითმფრინავების ნებისმიერი აქტიურობა საქართველოს საჰაერო სივრცეში აღქმული იქნებოდა, როგორც იერიში ამერიკის შეერთებულ შტატებზე, ჩაკეტა საქართველოს საჰაერო სივრცე რუსული თვითმფრინავებისთვის“.**

მოკლედ, **ბატონ შაშკინს თუ დავუჯერებთ, ამერიკელებს მაგრად „მიუჩმორებიათ“ რუსები და ეგაა!**

ოღონდ, გაურკვეველი რჩება რამდენიმე საკითხი:

*** ასეთი „მკაცრი მიჩმორების“ სეანსი ამერიკელებმა რატომ ჩაატარეს მაინცდამაინც 14 აგვისტოს და არა თუნდაც ორიოდე დღით ადრე, როდესაც განადგურებული ქართული ჯარი ჯერაც არ იყო მთლიანად ყაზარმებში შებრუნებული და რუსულ არმიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაპყრობილი დამატებით ქართული ტერიტორიები — კოდორი და ახალგორი?**

*** ეს დალოცვილი ამერიკული ფლოტი რაღა მოსკოვ-ვოლგოგრადს აკონტროლებდა თავისი 8-ჯერ აღმატებული სამხედრო ძალებით, აგერ სოხუმ-ცხინვალი გაეკონტროლებინა და ჩვენთვის დაებრუნებინა!**

*** იმ ამერიკელი გამანადგურებლების მეთაურის სიტყვას ამხელა ფასი და ძალა თუ ჰქონდა, საქართველოს საჰაერო სივრცე არ გადმოკვეთოთო, რომ უბრძანა რუსებს და აუკანკალა მუხლები, ნუთუ არ იცოდა, 14 აგვისტოსთვის საქართველოს არათუ მხოლოდ საჰაერო, არამედ სახმელეთო სივრცის ერთ მესამედს უკვე აკონტროლებდა რუსეთის სამხედრო ძალები და, ნეტავ, მხოლოდ დანარჩენ სამ მეოთხედზე გადმოსვლა რატომ ჩაითვლებოდა „ამერიკაზე იერიშად“? ბარემ იმ ერთ მესამედზეც ამოეღო ხმა?!**

რა თქმა უნდა, ასეთ უმარტივეს კითხვებზე პასუხი არავის აქვს და არც ექნებათ.

ამიტომ ვფიქრობ, როგორც **შეფასება — „ომი, საქართველომ კი არა, სააკაშვილმა დაიწყო“, ასევე, აი, ეს მიშა-შაშკინისეული „ამერიკული ბოევიკები,“ უბრალოდ, ორი დაპირისპირებული პოზიციის უაზრო რახარუხია და სხვა არაფერი.**

გამოსავალი მხოლოდ სწორ აზროვნებაში, მოვლენების ზუსტ შეფასებასა და სამომავლო სტრატეგიის სწორად განსაზღვრაშია.

ოღონდ ისიც უნდა იცოდეს ყველამ, რომ სტრატეგიულად გამართლებული პოზიციის მქონე ადამიანებისთვის „რუსეთუმეს“, „მოღალატის“, „ლაჩრის“ ძახილით არანაირად არ მიიღეწევა რამე დადებითი შედეგი და ეს ისევ მხოლოდ იმას გამოიწვევს, რომ ბევრი ჭკვიანი ადამიანი, უბრალოდ, პირში წყალს ჩაიგუბებს.

ხმამაღლა მყვირალ „პატრიოტ“ ტუტუცთა „რემბოობანას“ თამაში კი ქვეყანას რადაც დაუჯდა, ყველამ კარგად დავინახეთ...

**ბაკურ სვანიძე**

დასტაქარი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ცხინვალიდან და აფხაზეთიდან პაციენტების ჩამოსვლას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ, რადგან ამ მოძრაობაში გამოჩნდა რეალური კონტურები ურთიერთობის აღდგენის ახალი გზის, გნებავთ, ამას „სახალხო დიპლომატია“ დაარქვით; გნებავთ, „ექიმები საზღვრების გარეშე“; გნებავთ, „სიცოცხლის წყურვილი“



ფრიდონ თოდუა:

# რუსეთთან დაპირისპირების პოლიტიკამ, რომელიც ამდენი ხანია, გრძელდება, უბედურებისა და ტრაგედიის მეტი, არაფერი მოგვიტანა

**თუ რეალურად არსებობს საერთაშორისო ჰუმანიტარული მოძრაობა „ექიმები საზღვრების გარეშე“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის — ფრიდონ თოდუასა და მისი კოლეგების საქმიანობაზეა ზედგამოჭრილი. სახელი კაცის წინ მიდისო, უთქვამთ...**
**კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი და სულისჩამდგმელი, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა უდავოდ ავტორიტეტული ადამიანია არა მხოლოდ სამედიცინო წრეებში, არამედ აღიარებულია, როგორც პიროვნება, რომელსაც საზოგადოების ცხოვრებაზე აქტიური გავლენა აქვს. ამ სახელგანთქმული მკურნალისა და მეცნიერის სახელი, შეიძლება ითქვას, ის ვიზაა, რომელიც საქართველოს ნებისმიერი საზღვრის გადმოკვეთის უფლებას იძლევა.**
**მოჰყვებიან ამ ორიენტირს პაციენტები მეზობელი ქვეყნებიდან — აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან, ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებიდან, ასევე — აფხაზეთიდან, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან, მოდიან თოდუას კლინიკაში სამკურნალოდ. სიცოცხლის სურვილის ძალას მოჰყვებიან, რომელიც ნებისმიერი პოლიტიკური გაუცხოების გადამლახავია.**

— სოხუმიდან და ცხინვალიდან პაციენტები ჩვენთან რომ ჩამოდიან დიაგნოზის დასადგენად და სამკურნალოდ, ეს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი მთავრობისა და ჯანდაცვის სამინისტროს დამსახურებაა, — **ამბობს ბატონი ფრიდონი,** — ამ პაციენტებს ისევე ვემსახურებით, როგორც ნებისმიერ ჩვენს მოქალაქეს. ისიც სათქმელია, რომ მათ არ დავიწყებიათ წარსულში ჩვენი მეგობრობა, რაც ტრადიციულად გვაკავშირებდა. ეს აიოლებს მათთან ურთიერთობას. თუმცა გასაიოლებელიც არაფერია, ისინი ჩვეულებრივი პაციენტები არიან და ჩვენც მათი მკურნალი ექიმები ვართ.

ჩვენი კლინიკისკენ მოძრაობა ბოლო წელიწად-ნახევარში განსაკუთრებით გააქტიურდა: მრავალმა ადამიანმა მიიღო კვალიფიციური სამედიცინო დახმარება.

პირადი ურთიერთობაც სერიოზული სტიმულია. მე კარგად ვიცნობდი და საქმიანი ურთიერთობა მქონდა აფხაზეთის მრავალ ცნობილ პიროვნებასთან, სხვადასხვა დონის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელებთან, მეცნიერებთან, განსაკუთრებით, მედიკოსებთან.

**არაერთხელ ვყოფილვარ სტუმრად სოხუმსა და ცხინვალში იქაურების მიწვევით. სამწუხაროდ, პოლიტიკური ვითარება დღეს შეცვლილია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შესაძლებელია, აღვადგინოთ ადრინდელი მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება.**

ომი ყველა მხარისთვის დიდი ტრაგედიაა, ძალიან მტკივნეულია, მაგრამ მუდმივი ურთიერთდაპირისპირების პირობებში არსებობის გაგრძელება არანორმალურია, ვერ თავსდება ისტორიული განვითარების ლოგიკაში.

რა უნდა გავაკეთოთ?

პასუხი ერთადერთია: უნდა ვეძებოთ ამ ურთულესი მდგომარეობიდან გამოსავალი გზები. ეს აქსიომაა. ერთ-ერთი ასეთი გზის კონტურები ისახება სწორედ ამ მოძრაობაში ჩვენკენ, რომელიც, ჩემი აზრით, ცალკეული ფაქტების მექანიკური რიგი კი არ არის, არამედ უკვე ტენდენციაა, ჩემი აზრით, ტენდენცია, რომელიც აუცილებლად მიგვიყვანს ურთიერთდაახლოებასთან, ძველი მეგობრული, ადამიანური ურთიერთობების აღდგენასთან.

**შესაძლოა, რამდენადმე ვუსწრებ მოვლენებს, მაგრამ შინაგანი ალღო იშვიათად მღალატობს და მჯერა, რომ ამ კარგ წამოწყებას, რომელიც ახლა ვითარდება, ყველასთვის კარგი შედეგი მოჰყვება.**

მოხარული ვარ, ბედნიერად ვგრძნობ თავს, როცა ჩვენი ძმები და დები ჩამოდიან აფხაზეთიდან, ცხინვალიდან და დახმარებას ვუწევთ, ვმკურნალობთ, თანაც უანგაროდ.

## ფაქტი თემაში

**დერეფანში ვიდექით ცნობილი ქართველი ფერმწერის — რადიშ თორდიას ტილოებთან (კლინიკის კედლებზე თვალსაჩინო ქართველი მხატვრების ნამუშევრებია გამოფენილი). ბატონი ფრიდონი მედიცინაში ესთეტიკის მნიშვნელობაზე, პაციენტებზე და, საერთოდ, ადამიანზე ხელოვნების დადებით გავლენაზე ლაპარაკობდა.**

**ორი ქალბატონი მოგვიახლოვდა.**

**ეტყობოდა, პირველად იყვნენ ამ სამკურნალო დაწესებულებაში.**

**— სად შეიძლება თქვენი სახელგანთქმული თოდუას ნახვა? — მიმართეს ბატონ ფრიდონს.**

**ვერ გეტყვით, დაიბნამეთქი ასეთი მოულოდნელი კომპლიმენტისგან ბატონი ფრიდონი, მაგრამ, ცოტა რომ ეუხერხულა, აშკარად შეეტყო.**

**პაუზა...**

**უნდა გენახათ იმ ქალბატონების შეცბუნებული, გაოცებული, გახარებული სახეები, პასუხი რომ მოისმინეს...**

**აფხაზები აღმოჩნდნენ, სოხუმიდან ჩამოსულები.**

**— ბატონო ფრიდონ, აფხაზეთიდან ჩამოსულებს პრობლემები ხომ არ უჩნდებათ იქ, ადგილზე?**

— მგონი, არა. ვისთან, რა დონეზე ათანხმებენ თბილისში ჩამოსვლის საკითხს, არ ვიცი და არც არასოდეს მიკითხავს პაციენტებისთვის. იქნებ, არც სჭირდებათ ნებართვა, მაგრამ თავისთავად ჩამოსვლა, როგორც მოვლენა, ჩვენი ურთიერთობის აღდგენის ერთ-ერთი ოპტიმალური ვარიანტია.

ხალხის დაახლოებაზე ვლაპარაკობ, რომელიც დამნაშავე არ არის მომხდარ ტრაგედიაში.

2008 წლის ომმა ერთბაშად შეწყვიტა დაახლოების ის პროცესები, რომლებიც 90-იანი წლების გაუცხოების შემდეგ მაინც ამოქმედდა და ძალას იკრეფდა. გვქონდა სისტემატური პროფესიული კონტაქტები, შეხვედრები, რომლებიც არცთუ იშვიათად მეგობრული სუფრით მთავრდებოდა.

ახლა თავიდან უნდა დავიწყოთ, უკეთესის იმედი ყოველთვის არის. მჯერა, რომ უბრალო ხალხს არ სურს ასეთ დაპირისპირებაში ყოფნა, 100 პროცენტით მართალი ან 100 პროცენტით მტყუანი არავინაა. ყველას თავისი სიმართლე აქვს, რომელსაც ურთიერთობით გავარკვევთ და მოვაგვარებთ. მე ასე მჯერა.

მახსოვს, როგორ ჩავედი ერთხელ ცხინვალში. სრულიად მოულოდნელად აღმოვჩნდი საავადმყოფოს საკონფერენციო დარბაზში, სადაც საგანგებოდ ჩემთან და ჩემს თანამშრომლებთან შესახვედრად შეკრებილი იყვნენ იქაური მედიკოსები. შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების ლიდერები.

ბევრი თბილი სიტყვა ითქვა მაშინ ჩვენი მისამართით. დღემდე მადლობელი ვარ მათი.

**შემთხვევა მომეცა, შევხვედროდი ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის წევრს — ნაფი ჯუსოითის. ვისაუბრეთ. ამ საუბრის დროს მან გულდაწყვეტით მითხრა, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრობიდან ამომრიცხეს. ვუპასუხე, რომ თქვენ იყავით და ხართ ჩვენი აკადემიის წევრი, რომ აკადემია ვერ შეელევა ასეთი დამსახურების მქონე ადამიანს-მეთქი, და ჩემი სიტყვების დასტურად ვაჩვენე აკადემიის ნამდვილ წევრთა სია, რომელშიც შავით თეთრზე მისი სახელი და გვარი ეწერა.**

ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაუხარდა...

**ცხინვალიდან და აფხაზეთიდან პაციენტების ჩამოსვლას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ, რადგან ამ მოძრაობაში გამოჩნდა რეალური კონტურები ურთიერთობის აღდგენის ახალი გზის, გნებავთ, ამას „სახალხო დიპლომატია“ დაარქვით, გნებავთ, „ექიმები საზღვრების გარეშე“, გნებავთ, „სიცოცხლის წყურვილი“...**

**— აფხაზეთიდან ჩამომსვლელების კონტინგენტი გალის რაიონით ხომ არ შემოიფარგლება?**

— არა! ჩამოდიან ოჩამჩირის, გულრიფშის რაიონებიდან, გაგრიდან, სოხუმიდან — აფხაზეთის ყველა რეგიონიდან.

მძიმე ავადმყოფებიც ▶



თოდუას კლინიკის მთავარი კორპუსი

## ნიკოლოზ მჟავანაძე გიორგი კარბელაშვილისა და გიორგი ბარამიძის დასჯას ითხოვს



**„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე დეპუტატ გიორგი კარბელაშვილისთვის სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნას მოითხოვს, ხოლო გიორგი ბარამიძისთვის — ადმინისტრაციულ ჯარიმას.** „გიორგი კარბელაშვილის ქმედებებზე უკვე დაიწყო გამოძიება 353-ე მუხლის პირველი ნაწილით — „წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ“, — რისთვისაც გათვალისწინებულია სასჯელი — თავისუფლების აღკვეთა ორიდან ხუთ წლამდე ვადით. აუცილებელია, გამოძიება მივიდეს ლოგიკურ დასასრულამდე და პასუხისგებაში მიეცეს „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი გიორგი კარბელაშვილი, რომელიც მიზანმიმართულად მუშაობდა სახელმწიფო ინსტიტუციის სახელის შებღალვაზე. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც თავდასხმა ხორციელდება ძალოვან სტრუქტურებზე „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან. არც ერთ ქვეყანაში მსგავსი ინციდენტების შემდეგ დაუსჯელი არ დარჩებოდა არც ერთი პიროვნება. ის კამპანია, რომელიც დაწყებულია პოლიციის წინააღმდეგ მხოლოდ ერთ მიზანს ისახავს, მოხდეს სახელმწიფო გადატრიალებისთვის ფონის შექმნა. ყველაფერ ამას კი დირიჟორობს მიხეილ სააკაშვილი“, — ნათქვამია „უფლებადამცველთა გაერთიანების“ განცხადებაში.

**„ისტორიას მივანდოთ იმის გარკვევის უფლება, ვინ, სად, როდის რა შეცდომა დაუშვა; ჩვენ კი — ხელისუფლებამ, პროფესიულმა გაერთიანებებმა, შემოქმედებითმა კავშირებმა — ვცადოთ, აღვადგინოთ იმ შეცდომების გამო ჩატეხილი ჩვენი ერთობის ხიდი. სახალხო დიპლომატია დიდი ძალაა...“**

დასტაქარი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მხოლოდ მაშინ, როცა რუსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა და ურთიერთგაგების ატმოსფერო დამყარდება, გადაწყდება საქართველოს გამთლიანების პრობლემა»

ჩამოჰყავთ. გადაუდებელ ოპერაციებს დაუყოვნებლივ ვაკეთებთ, ონკოპაციენტებს ვუტარებთ ქიმიოთერაპიას, სხივურ თერაპიას. საუკეთესო, თანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი ჩვენი კლინიკა, დიდი ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც ჩვენთან არის, ამის საშუალებას იძლევა.

ჩამოდიან სხვა სამედიცინო დაწესებულებებშიც, რაც, ასევე, სასიხარულოა.

მიმაჩნია, რომ ამ მოძრაობის გაფართოება ფრიად პერსპექტიულია პოლიტიკური პრობლემების გადასაწყვეტად.

**— არაერთხელ გითქვამთ, რომ პოლიტიკისგან შორს დგახართ...**

— პოლიტიკაში ვიყავი, პოლიტიკურ თანამდებობაზეც — საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერი გახლდით, მაგრამ პოლიტიკოსი არასოდეს ვყოფილვარ. დაკისრებულ მოვალეობას ვასრულებდი; იმ ეტაპზე ვთვლიდი, რომ შემეძლო, ხალხისთვის, საზოგადოებისთვის იმ გზით, იმ ადგილზე მეტი სარგებლობა მომეტანა, მაგრამ ჩემთვის უმთავრესი ყოველთვის იყო და არის მედიცინა, ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

**— თქვენი ნებართვით, მაინც „პოლიტიკურ შეკითხვას“ დაგისვამთ. უფრო ზუსტად, მინდა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე გთხოვოთ კომენტარი.**

— თითქმის 25 წელიწადი ვიცხოვრე და ვიმუშავე მოსკოვში და ეს პრობლემა ჩემთვის სასხვათაშორისო არ არის. საქართველოსა და რუსეთს შორის კონფრონტაცია, არ მგონია, კარგის მომტანი იყოს. ბევრი რამ გვაქვს საერთო ჩვენს ამ დიდ მეზობელთან, რომლის იგნორირება არ შეიძლება. რუსეთს ჩვენ ვჭირდებით, რუსეთი გვჭირდება ჩვენც, მაგრამ, ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ზურგი უნდა ვაქციოთ ევროპას — რუსეთთან ურთიერთობის დალაგება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ჩვენს ევროინტეგრაციის კურსს.

80-იან წლებში საკმაოდ პოპულარული კაცი ვიყავი მოსკოვში, როცა ავითვისე და ავამუშავე საბჭოთა კავშირში პირველი კომპიუტერული ტომოგრაფი. ახლა რას ნიშნავს ტომოგრაფია, ხომ წარმოგიდგენიათ და მაშინ ფანტასტიკის სფეროდან იყო, მაგრამ არანაკლებ ფანტასტიკად წარმომიდგება ის, თუ როგორი დიდებული ადამიანები ყოფილან ჩემი პაციენტები — მსოფლიოში სახელგანთქმული კომპოზიტორები, მწერლები, კინოსა და თეატრის ვარსკვლავები, მომღერლები და ზესახელმწიფოს ხელმძღვანელები, პოლიტიკოსები, რომელთა გარეშე მსოფლიოს ვერც ერთი პრობლემა ვერ გადაწყდებოდა.

ამის თაობაზე ჩემს შვილიშვილს როცა ვუყვები, ვხედავ, რომ მისთვის მაინცდამაინც არაფერს ნიშნავს, რადგან წარსულია.

მაგრამ მომავალი წარსულიდან არის აღმოცენებული. ეს ხომ აღიარებულია? წარსულს ვერ გადავშლით!

**— რა თქმა უნდა: „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“, — ილია მართლის ფორმულაა.**

— დიახ. სამწუხაროა, რომ ახალგაზრდობა ბევრ რამეს ივიწყებს. ჩვენს ინსტიტუტში მუშაობენ ახალგაზრდები, რომლებიც ორ-სამ ენას ფლობენ, მაგრამ რუსული არ იციან. ეს, ჩემი აზრით, ძალიან ცუდია. ჩვენ რუსეთთან მეზობლურ ურთიერთობას ვერ გავექცევით.

მე, როგორც ექიმი, მეცნიერი, თუ გნებავთ, საზოგადო მოღვაწე, ვისურვებდი, მომეძებნა კომპრომისული წინადადება, იდეა, აზრი ჩვენი ხელისუფლებისთვის შესათავაზებლად, რათა გამოვიდეთ ამ ჩიხიდან. რუსეთთან დაპირისპირების პოლიტიკამ, რომელიც ამდენი ხანია, გრძელდება, უბედურებისა და ტრაგედიის მეტი, არაფერი მოგვიტანა. არც რუსეთისთვის იყო ეს წლები მაინცდამაინც სახარბიელო.

**გულწრფელად მივმართავ ორი ქვეყნის ხელმძღვანელებს, მონახონ კეთილმეზობლური ურთიერთობის ოპტიმალური ვარიანტი და შევიდნენ ისტორიაში, როგორც კონფრონტაციის დამძლევი მოღვაწენი, მამულიშვილები, რომლებმაც გადალახეს წლების განმავლობაში დაგროვებული წინააღმდეგობანი და თავიანთ ხალხებს მშვიდობისა და აღმავლობის რწმენა დაუბრუნეს.**

**ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მხოლოდ მაშინ, როცა რუსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა და ურთიერთგაგების ატმოსფერო დამყარდება, გადაწყდება საქართველოს გამთლიანების პრობლემა,** რა ფორმით, მომავალი გვაჩვენებს. ერთი რამ კი ცხადია: საქართველო უნდა იყოს გამთლიანებული, შემდგარი სახელმწიფო და, უწინარეს ყოვლისა, აღიარებული მეზობელი სახელმწიფოების მიერ.

ხომ არის ამის მაგალითები მსოფლიოში! გამოვიყენოთ თუნდაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გამოცდილება. ყველამ იცის, რომ დამარცხებული მხარე, გერმანია, დღეს ევროპული ქვეყნების ლიდერია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, განა ჩვენი თაობის თვალწინ არ მოხდა იმავე გერმანიის გაერთიანება?! ხომ მოინახა კომპრომისი დაპირისპირებულ მხარეებს შორის!

უნდა შევძლოთ წარსულის მძიმე მემკვიდრეობის დაძლევა. ცხოვრება გრძელდება და არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ჩვენი უმოქმედობით ვფლანგოთ დრო.

**— მედიცინას დავუბრუნდეთ, ბატონო ფრიდონ.**

— უწინარეს ყოვლისა, მინდა, ვთქვა, რომ **ჩვენი კლინიკა, რომელიც უახლესი სამედიცინო აპარატურითაა აღჭურვილი (თამამად შემიძლია, ნებისმიერ ევროპულ კლინიკას დავუდგეთ გვერდით), უნდა მოემსახუროს ყველას, ვისაც ამის სურვილი აქვს. რატომ უნდა იყვნენ გამონაკლისი ჩვენი აფხაზი და ოსი ძმები და დები და არამხოლოდ ისინი?! ჩვენთან ჩამოდიან პაციენტები მეზობელი ქვეყნებიდან, ბევრი — რუსეთის სამხრეთ რეგიონებიდანაც.**

გულწრფელად მახარებს, როცა ჩვენი კლინიკის ეზოში ვხედავ ავტომანქანებს რუსული სანომრე ნიშნებით: ასეთი ურთიერთობა შლის საზღვრებს და პრაქტიკული მაგალითია იმისა, რომ მედიცინა მართლაც საზღვრების გარეშე არსებობს.

არა მგონია, გამინაწყენდნენ ჩვენი თანამემამულენი, თუ ვიტყვი, რომ ჩამოსულ პაციენტებს ჩვენი ექიმები მაქსიმალური ყურადღებით ეპყრობიან.

ბევრი პაციენტი გვყავს აზერბაიჯანიდან, ბოლო დროს იმატა სომხეთიდან ჩამოსულთა რაოდენობამ. ახლახან გვესტუმრა სომხეთის ჯანდაცვის მინისტრი, მოეწონა ჩვენი კლინიკა და მიესალმა ორ ქვეყანას შორის პროფესიული ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადასვლას: ახლა ის დრო დადგა, როცა პაციენტი თვითონ ირჩევს ექიმს და სამკურნალო დაწესებულებას.

**— იქნებ, მიაქციეთ ყურადღება, რომ ჩამოსულების აფხაზური პასპორტების გრაფაში „ეროვნება“ ქართველებს უწერიათ, „ქართველი“...**

— თითქოს ფორმალური დეტალია, მაგრამ იმაზე მეტყველებს, რომ აფხაზეთში არ სურთ ყველა ხიდის დაწვა, რომელიც საქართველოსთან აკავშირებთ. რადიკალიზმი ყველა ქვეყანაშია, მაგრამ ასეთ რადიკალებთანაც უნდა მოვნახოთ მისასვლელი გზები, მათ შორის, მედიცინის საშუალებითაც.

შეუძლებელია, არ მივესალმოთ თუნდაც ისეთ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ გალის რაიონის სიახლოვეს, ენგურის ნაპირზე, შენდება დიდი კლინიკური საავადმყოფო. ამას წინათ მინისტრს ვუთხარი, რომ მეც და ჩემი კოლეგებიც რეგულარულად ჩავალთ ამ კლინიკაში პრაქტიკული სამედიცინო დახმარების გასაწევად.

**მინდა, შევთავაზო კოლეგებს: ჩავიდეთ აფხაზეთში, თუნდაც ეგიდით „ექიმები საზღვრების გარეშე“; შევხვდეთ აფხაზებს, იქ დარჩენილ ქართველებს, პაციენტებსაც და არა მხოლოდ მათ. ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება მიკარნახებს, რომ ეს შეხვედრა თბილი და, რაც მთავარია, ურთიერთსასარგებლო იქნება.**

დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზეთში ახსოვთ ქართულ-აფხაზური შეხვედრები, რომლებიც ყოველწლიურად იმართებოდა რუხის ციხესთან, არაერთხელ ჩამოვსულვარ მოსკოვიდან ამ ზეიმზე და პირადად მიგრძვნია ის ამაღლებული განწყობილება, რომელიც აქ სუფევდა.

მოდით, ისტორიას მივანდოთ იმის გარკვევის უფლება, ვინ, სად, როდის რა შეცდომა დაუშვა; ჩვენ კი — ხელისუფლებამ, პროფესიულმა გაერთიანებებმა, შემოქმედებითმა კავშირებმა — ვცადოთ, აღვადგინოთ იმ შეცდომების გამო ჩატეხილი ჩვენი ერთობის ხიდი. სახალხო დიპლომატია დიდი ძალაა...

ოპტიმალური პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება კი ხელისუფლების მოვალეობაა, მისი საქმეა.

ყველამ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## «მინდა, შევთავაზო კოლეგებს: ჩავიდეთ აფხაზეთში, თუნდაც ეგიდით «ექიმები საზღვრების გარეშე»; შევხვდეთ აფხაზებს, იქ დარჩენილ ქართველებს, პაციენტებსაც და არა მხოლოდ მათ. ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება მიკარნახებს, რომ ეს შეხვედრა თბილი და, რაც მთავარია, ურთიერთსასარგებლო იქნება»



## სასამართლომ ქიბარ ხალვაშის სარჩელი «რუსთავი 2»-ის წინააღმდეგ წარმოებაში მიიღო

**ბიზნესმენმა ქიბარ ხალვაშმა „რუსთავი 2“-ის წილის დასაბრუნებლად სასამართლოში სარჩელი შეიტანა და, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, „რუსთავი 2“-ის პარტნიორთა წილების დაყადაღება მოითხოვა. ტელეკომპანიის დაბრუნების შემთხვევაში, ქიბარ ხალვაში პირობას დებს, რომ ჟურნალისტებს, შემოქმედებით გუნდს, გარანტირებული ექნებათ საქმიანობის საუკეთესო პირობები, სრული ჟურნალისტური თავისუფლება და სარედაქციო ჩაურევლობა.**

ქიბარ ხალვაშის ადვოკატების განმარტებით, სასწრაფო ზომების მიღება აუცილებელი მას შემდეგ გახდა, როცა შეიტყვეს, რომ კიდევ ერთხელ იგეგმება „რუსთავის 2“-ის წილების გადაფორმება, რათა წილების კანონიერი მესაკუთრისთვის დაბრუნება გართულდეს. ადვოკატ პაატა სალიას განცხადებით, „რუსთავის 2“-ის წილების დაყადაღება მათ საშუალებას მისცემს, აღიკვეთოს პოტენციური თვალთმაქცური გარიგება და შენარჩუნდეს ქონების დაბრუნების შანსი. სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლა ქიბარ ხალვაშმა 2008 წელს დაიწყო, როდესაც საქართველოს პროკურატურას „რუსთავის 2“-ის იძულებით ჩამორთმევის გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით მიმართა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, „რუსთავი 2“-ის პარტნიორების წილებსა და ტელეკომპანიის ქონებას ყადაღა დაედო. არხის მეწილეებს აეკრძალათ ტელეკომპანიის სახელით ვალდებულებების აღება, რეორგანიზაცია, წესდებაში ცვლილებების შეტანა, საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა. ასევე, დაყადაღებულია „რუსთავი 2“-ის სახელზე გაფორმებული ქონება, კერძოდ, ნაკვეთი სანდრო ეულის ქუჩაზე და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობები.

სასამართლომ არ განიხილა არხის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების საკითხი.

## მირიან მირიანაშვილი: აგვისტოში სააკაშვილს ჭიტლაყი ამოვცხე და უზენაესი საბჭოს შენობიდან გავაგდე

**საქართველოს ეროვნული ხელისუფლების უზენაესი საბჭოს ყოფილმა დეპუტატმა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამაარსებელმა და ყოფილმა თავმჯდომარემ მირიან მირიანაშვილმა გაზეთ „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ 1991 წლის, აგვისტოში უზენაესი საბჭოს შენობიდან ჭიტლაყით გამოაგდო მიხელ სააკაშვილი.**

„1991 წლის აგვისტოში, ე.წ. აგვისტოს პუტჩის მეორე დღესვე, ბატონ ზვიად გამსახურდიას დავალებით, მე და კიდევ სამი კაცი სანქტ-პეტერბურგში გავფინდით ჩუბაისთან შესახვედრად. თბილისში რომ დავბრუნდი, უზენაესი საბჭოს შენობაში, მესამე სართულზე ჩემს კაბინეტში ვიჯექი და მითხრეს, — ვიღაც ტიპი დაბორიალობს, მხარზე ჩანთა აქვს გადაკიდებული და დეკლარაციებს არიგებსო. დერეფანში რომ გამოვედი, მართლაც დავინახე მაღალი, გამხდარი ბიჭი, რომელიც ცოტა უცნაურად დადიოდა, მივედი და საშვი მოვთხოვე. მაჩვენა საშვი, რომელიც ყალბი იყო, ჩანთაში დეკლარაციები ეწყო, რომელშიც ზვიადი გამოყვანილი ჰყავდა კაცობრიობისა და დემოკრატიის მტრად. ჩავიყვანე პირველ სართულზე და ჩანთის წართმევა დავუპირე, რასაც გაწევ-გამოწევა მოჰყვა. სააკაშვილმა ფეხი მომიქნია, მაგრამ ავიცილე და, როცა ინერციით მოტრიალდა, კარგი გვარიანი ჭიტლაყი ამოვცხე, შემდეგ კი შენობიდან გავაგდე!“



რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დიდი ხანია, საინფორმაციო საშუალებების, ფილმების, სერიალებისა თუ სპეციალური გადაცემების მეშვეობით საქართველოშიც მიმდინარეობს ხალხის ფსიქიკაზე ზემოქმედება, რათა მოხდეს მსგავსი ტიპის ურთიერთობების ჩვეულებრივ მოვლენად, ანუ ნორმად გასაღება, რაც, პირველ რიგში, ბავშვებისა და მოზარდების, ასევე, საზოგადოდ, ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი ადამიანების ცნობიერების დამახინჯებაზეა გათვლილი.**

# ამერიკასა და ევროპაში ოჯახის ინსტიტუტზე მორიგი, კარგად ორგანიზებული შეტევა დაიწყო

**2015 წლის 26 ივნისს ამერიკის ტერიტორიაზე, სქესობრივი გარყვნილების ლეგალიზაციასთან ერთად, აშშ-სა და ევროპაში ოჯახის ინსტიტუტზე მორიგი, ამჯერად უკვე კარგად ორგანიზებული და ძლიერი შეტევა დაიწყო.**



დასავლური საინფორმაციო სააგენტოები, მათ შორის, Fox News-ი, იუწყებიან, რომ, აშშ-ის ჯანდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლის განმარტებით, აშშ-ში, შესაძლოა, აიკრძალოს ცნებები — „ცოლი“ და „ქმარი“ და ისინი, საქორწინო ცერემონიებში ჩაანაცვლოს ცნებებმა — „მეუღლეAA“-მ და „მეუღლე BB“-მ.

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის წევრმა **ლოის კაპსმა,** 23 კოლეგასთან ერთად, შესაბამისი კანონპროექტი განსახილველად კონგრესში წარადგინა, — აღნიშნავს Huffington Post.

„ჩვენმა „ფასეულობებმა“ ასახვა უნდა ჰპოვოს კანონებში“, — ასე ხსნის თავის ნაბიჯს კაპსი.

Human Rights Campaign-ის (ლგბტ პირების უფლებების დამცველი, არაკომერციული ორგანიზაცია) ოფიციალურმა წარმომადგენელმა **ჯეისონ რაპლანმა** მადლობა გადაუხადა კაპსს ამ წინადადებისთვის, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს ივნისის გადაწყვეტილებას ერთნაირსქესიანთა ქორწინებების ლეგალიზაციის შესახებ აშშ-ის ტერიტორიაზე.

აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ წლეულს, 9 ივლისს გამოაცხადა, რომ ტრადიციული ოჯახებისთვის განკუთვნილი ყველა შეღავათი გავრცელდება ერთნაირსქესიან წყვილებზეც, რომლითაც ასეთი ქორწინება საბოლოოდ გაუთანაბრა ტრადიციულ ქორწინებას ქალსა და მამაკაცს შორის.

აღნიშნული ცვლილება უკვე განხორციელდა კალიფორნიის შტატში, სადაც ცნებები — „ცოლი“ და „ქმარი“ უკვე ამოღებულია საქორწინო სამართლის კოდექსიდან. შესაბამის დადგენილებას ხელი შტატის გუბერნატორმა ჯერი ბრაუნმა მოაწერა. აკრძალვა შეეხო, ასევე, ცნებებს — „საქმრო“ და „საპატარძალო“.

შეგახსენებთ, 2011 წლიდან აშშ-ის ოფიციალურ დოკუმენტაციაში აღარ გამოყენება ცნებები „დედა“ და „მამა“.

ამ ცვლილებას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი თავის დროზე ხსნიდა იმით, რომ აშშ-ში სულ უფრო მეტი ერთნაირსქესიანთა ოჯახი იქმნება, რომლებიც ზრდიან ბავშვებს. და ეს ცვლილებები ხორციელდება იმისთვის, რომ არ მოხდეს ლგბტ-თა დისკრიმინაცია და ერთნაირსქესიანთა ქორწინებისას მოიხსნას კითხვა — ვინ არის ქმარი და ვინ — ცოლი?

მსგავსი პრაქტიკა უკვე გამოიყენება დიდ ბრიტანეთშიც: ფინანსურმა კონგლომერატმა The Royal of Scotland-მა გადაწყვიტა, უარი ეთქვა კლიენტების მისალმებაზე გენდერული კუთვნილების მიხედვით; კერძოდ, ცნებების — „მისტერ“, „მისის“ და „მის“ — ნაცვლად გამოიყენება ნეიტრალური **„Mx“** (Mixter).



**პედერასტული ღირებულებების ირგვლივ ამტყდარ ბრძოლას შეიძლება ეწოდოს პოლიტიკური ექსპანსიის სტრატეგია. მცდელობა, მასების გონებაში ჩაინერგოს ცნება «გეი», წარმოადგენს სოციუმის დამოკიდებულების გარდაქმნის ინსტრუმენტს ამ მოვლენის მიმართ**

ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ამ ყველაფერს ოფიციალურად ეწინააღმდეგება, არის რუსეთი, მისთვის ასეთი პოლიტიკა მიუღებელია და, გამოკითხვების მიხედვით, რუსეთის მოსახლეობის 80%-ზე მეტი ერთნაირსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ გამოდის; ამას გარდა, 15%, მიუხედავად გეების მიმართ ნეიტრალური განწყობისა, არ მიიჩნევს სასურველად მათთან ახლო ურთიერთობებს. ერთნაირსქესიანთა ქორწინების საწინააღმდეგო განცხადებები არაერთხელ გაუკეთებია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს — ვლადიმერ პუტინსაც.

თუმცა ეს არ ცვლის იმ ფონს, რომელიც ამერიკის გათვლილი და ზუსტი „ჩაწოდებით“ შეიქმნა ევროპაში.

ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა პოლიტიკური გავლენის მექანიზმი შეიქნა — გარკვეული ძალები ძალ-ღონეს არ იშურებენ, „ჩააკვეხონ“ ჰომოსექსუალიზმი ეროვნულ მენტალიტეტში.

**პედერასტული ღირებულებების ირგვლივ ამტყდარ ბრძოლას შეიძლება ეწოდოს პოლიტიკური ექსპანსიის სტრატეგია.**

**მცდელობა, მასების გონებაში ჩაინერგოს ცნება „გეი“, წარმოადგენს სოციუმის დამოკიდებულების გარდაქმნის ინსტრუმენტს ამ მოვლენის მიმართ.**

ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება, რაც ამ ადამიანების მიმართ ლოიალური დამოკიდებულების საფარველით არის შეფუთული, ოჯახის სიმტკიცის, ტრადიციული ურთიერთობების რღვევასა და არატრადიციული სექსუალური ურთიერთობების რეკლამირებას ემსახურება. მით უმეტეს, როდესაც ამას აკანონებს ისეთი ძლიერი და გავლენიანი ქვეყანა, როგორც არის აშშ, რეკლამირება უკვე, ფაქტობრივად, იძულების ხასიათს იღებს.

**დიდი ხანია, საინფორმაციო საშუალებების, ფილმების, სერიალებისა თუ სპეციალური გადაცემების მეშვეობით საქართველოშიც მიმდინარეობს ხალხის ფსიქიკაზე ზემოქმედება, რათა მოხდეს მსგავსი ტიპის ურთიერთობების ჩვეულებრივ მოვლენად, ანუ ნორმად გასაღება, რაც, პირველ რიგში, ბავშვებისა და მოზარდების, ასევე, საზოგადოდ, ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი ადამიანების ცნობიერების დამახინჯებაზეა გათვლილი.**

დათმობების ის პრაქტიკა, რომელსაც ცხოვრებაში ატარებენ ევროკავშირის ქვეყნები და აშშ, ნათლად აჩვენებს, რომ პედერასტები სულაც არ აპირებენ მცირედით დაკმაყოფილებას.

ყველაფერი იწყება ეგრეთ წოდებული გეიპარადებით, ამას მოჰყვება მოთხოვნა, დაუშვან ერთნაირსქესიანთა ქორწინებები, შემდეგი საფეხურია უკვე ერთნაირსქესიანი წყვილების მიერ შვილების აყვანა.

ამის შემდეგ იწყება პოლიტიკური მწვერვალების შტურმი — ევროპის პოლიტიკურ სისტემაში არატრადიციული ორიენტაციის პირები სულ უფრო მეტ საკვანძო პოლიტიკურ თანამდებობას იკავებენ.

ამ გარყვნილების დანერგვის აპოთეოზს კი წარმოადგენს განზრახვა, ააშენონ ქალაქი, რომელშიც მხოლოდ არატრადიციული ორიენტაციის ადამიანები იცხოვრებენ, ასეთი პროექტი უკვე ხორციელდება აშშ-ში. დააკვირდით, აშშ-ში პედერასტები თავს ძალიან კომფორტულად გრძნობენ, ანუ სექსუალური ორიენტაციის მიხედვით გამოყოფის სურვილი მოდის თვითონ ლგბტ აქტივისტებისგან და არა საზოგადოებისგან. მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ საზოგადოებიდან მისი ცალკეული ჯგუფების გამოყოფა დესტრუქციულ ქმედებად უნდა განვიხილოთ.

ვინ არიან პედერასტები და რამდენი არიან ისინი სინამდვილეში?

სექსუალური უმცირესობის მნიშვნელოვანი ნაწილის ქმედებები არ შეიძლება განვიხილოთ სხვანაირად, თუ არა საკუთარი ცხოვრების წესის პროპაგანდად — თავს მოახვიონ ამ ტიპის ურთიერთობები რაც შეიძლება მეტ ადამიანს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ პედერასტების რაოდენობა ევროპაში მნიშვნელოვნად აღემატება ბუნებაში არსებული მსგავსი ანომალიის საშუალო პროცენტს, დასკვნა მარტივია: პედერასტებმა საკუთარ გაუკულმართებულ ცხოვრების წესში ჩაითრიეს ბისექსუალთა გარკვეული ნაწილიც. ამ ადამიანებს შეუძლიათ, ჩვეულებრივ ოჯახებში იცხოვრონ, ჰყავდეთ მეუღლე, მისგან კი — საკუთარი შვილები და შესაძლოა, ვერც კი ხვდებოდნენ, რომ აქვთ განსხვავებული სექსუალური უნარი.

სამაგიეროდ, პედერასტების გავლენის ქვეშ მოხვედრისთანავე ბისექსუალების მნიშვნელოვანი ნაწილი ტრადიციული საზოგადოებისთვის იკარგება.

ევროპელი ჰომოსექსუალების მონაპოვრების მიჩნევა „დემოკრატიისა და კულტურის ტრიუმფად“, როგორც ამას აშშ გვთავაზობს, სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს.

ერთადერთი სწორი არჩევანი, რომელიც ქართულმა საზოგადოებამ უნდა დაუპირისპიროს ფსევდოღირებულებებს, ეს არის მათზე პრინციპულად უარის თქმა.

**კონსტანტინე ჩიკვილაძე**

---

მოკლედ



## «ისლამურმა სახელმწიფომ» ერაყში 300-ზე მეტი ადამიანი სიკვდილით დასაჯა

**რადიკალური დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ „ბოევიკებმა“ სიკვდილით დასაჯეს სულ ცოტა 300 ადამიანი, რომლებიც ერაყის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრები იყვნენ.** ტერორისტებმა ეს ადამიანიები სამხედრო ბანკ “ალ-გაზლანში”დაცხრილეს. მათგან 50 ქალი იყო. „ბოევიკებმა“ მოკლულთა ოჯახის წევრებს აცნობეს, რომ დახოცილებს სასამართლო გაუმართეს და ისინი ღალატსა და ურწმუნოებაში დაადანაშაულეს, რის შემდეგაც მათი დახოცვის გადაწყვეტილება მიიღეს.



ბოლო 25 წლის განმავლობაში ჯერ შევარდნაძემ, შემდეგ სააკაშვილმა და ეს 3 წელიწადია თქვენ, ბატონო ბიძინა, ვაიმეოცნებეებით საქართველო ისეთ მონურ, გათახსირებულ, გარყვნილ, ზნეობადაკარგულ კონდიციამდე მიიყვანეთ, ილია მართალი რომ გაცოცხლდეს, ლექსს „ბედნიერი ერი“ არ გვაკმარებდა და მოზრდილი პოემით გაგვამათრახებდა, ხოლო დიდი მგოსანი აკაკი ასჯერ მაინც შესძახებდა: „ფურთხის ღირსი ხარ...“

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბიძინა ივანიშვილი — «წამოცდენათა» დიდოსტატი


გივი გურეშიძე

**ბიძინა ივანიშვილმა ახლახან სენსაციური თვითმხილება გააკეთა: „როდესაც ვთქვი, მესამე წელიწადს მატერიალურ კეთილდღეობას ყველა საკუთარ ჯიბეზე იგრძნობს, ეს იყო წამოცდენა...“ თავიც იმართლა, რა მოხდა მერე, ყველას შეიძლება წამოცდეს რაღაცო.**

ლექსიკონები გადავქექე, მაგრამ ცნება „წამოცდენა“ ვერ ვიპოვე. მიახლოებული აღმოჩნდა ცნება „დემაგოგი“. იგი ბერძნულია და ქართულად ხალხის მოზიდვას, ხალხის ნდობის მოპოვების ხელოვნებას, გნებავთ, ეშმაკობას გამოხატავს. თავდაპირველად ძველ ათენში, პერიკლეს მმართველობის ჟამს, დემაგოგობა პოზიტიური, დადებითი შინარსის მქონე იყო; შემდეგში მან თანდათანობით შეიძინა უარყოფითი თვისებები და სალანძღავ საქმედ იქცა; ასეა დღესაც. ბატონი ბიძინას უდიდესი დამსახურებაა, რომ მან დაამკვიდრა პოლიტიკური ცხოვრებისთვის დღემდე უცნობი ქართული ცნება „წამოცდენა“, რითაც ცნება „დემაგოგია,“ მგონი, გამოყენებიდანაც გააგდოს კიდეც. ვისაც ჯერ არს, ვთხოვ: ამიერიდან კატეგორიათა ლექსიკონებში ბიძინასეული ცნება „წამოცდენა“ აუცილებლად შეიტანონ.

ბატონი ბიძინა თვითონაა მრავალ „წამოცდენათა“ შემოქმედი, მაგრამ ამჯერად ყველაზე ვერ შევჩერდები და მხოლოდ რამდენიმეს გაგახსენებთ, პატივცემულო მკითხველო! მაგალითად, **ბატონ ბიძინას „წამოსცდა“, როცა თავის რაღაც გაერთიანებას „ქართული ოცნება“ უწოდა; სინამდვილეში მისთვის „ბიძინას ოცნება“ უნდა დაერქმია.** უდავოდ ნიჭიერმა ისტორიკოსმა, ასოცირებულმა პროფესორმა, პარლამენტარმა **ომარ ნიშნიანიძემ** ეს ჭეშმარიტება იმთავითვე იყნოსა და გაერთიანება „ქართული ოცნება“ ნამდვილად ქართულ ოცნებას რომ მომსახურებოდა და არა მხოლოდ ერთი პიროვნების ინტერესებს, ბატონ ბიძინას ურჩია: გაერთიანებისათვის კლასიკური პოლიტიკური პარტიის სახე და შინაარსი მიეცა, თავისი სოლიდური პროგრამით, ორგანიზაციულ-საწესდებო სტრუქტურითა და მასმედიის საშუალებებით ცენტრში და ადგილზე. ბატონმა ბიძინამ ეს მართლაც სასარგებლო რჩევა ყურადაც არ იღო, უპასუხოდ დატოვა. გაირკვა, რომ **ბიძინას სჭირდებოდა არა კლასიკური სტილის პოლიტიკური პარტია, არამედ ერთჯერადი გაერთიანება, რომელიც არა ქართულ ოცნებას, რომელიც „წამოცდენა“ იყო, არამედ ბიძინას ოცნებას შეასხამდა ფრთებს.**

ასევე ერთჯერადი გამოყენების ფუნქცია მიეცა მის მიერ გამოშვებულ **გაზეთსაც, რომლისთვისაც, „ქართული ოცნების“ ნაცვლად, უკეთესი იქნებოდა, „ბიძინას ოცნება“ ეწოდებინათ.** თვითონ ბატონმა ბიძინამ საკუთარი თავი ერთჯერადი გამოყენების პერსონად წარმოგვიდგინა. აისრულა რა საწადელი და გაახარა საკუთარი ჭია, ერთი წლის შემდეგ პრემიერობა დატოვა და თავი თამაშგარე მდგომარეობაში ჩაიყენა. როგორც ფეხბურთელს არ უთვლიან ოფსაიდიდან გატანილ ბურთს, ბიძინასაც არ უნდა ჩაეთვალოს რაიმე, რადგან კონსტიტუციური სივრციდანაა გასული, ანუ თამაშგარე მდგომარეობაშია.

არც „ქართულ ოცნებას“ და არც ამავე სახელწოდების გაზეთს ქართველებისთვის საოცნებო მიზნებისა და ამოცანების აღსრულებისთვის დიდი არაფერი გაუკეთებიათ, მაგრამ ბიძინას პირადი მიზნები და შურისძიების ვნებანი წარმატებით განახორციელეს. არ ვიქნები მართალი, რომ არ გამოვხატო დიდი კმაყოფილება „ნაციონალების“ ხელისუფლებიდან ჩამოშორებისთვის, რაც ბიძინას შურისძიებამ მოგვიტანა.

2012 წლის სექტემბერში საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას ბატონმა ბიძინამ ერთი დიდი „წამოცდენა“ აახლა გორელ ამომრჩევლებს: ხმა მოგვეცით და სტალინის ძეგლს ძველ ადგილას აღვადგენო.

**გორელებმა ბიძინას „წამოცდენა“ სიმართლედ იწამეს და მხარი აქტიურად დაუჭირეს. 3 წელი გავიდა და ძეგლი არ ჩანს, დღეს ყველა ხედავს, თუ რა ცბიერება, სიბილწე და ვერაგობა ყოფილა ჩადებული ბიძინასეულ გორულ „წამოცდენაში“.**

კიდევ ერთი „წამოცდენა“ ბატონმა ბიძინამ სომხეთში ვიზიტისას გააკეთა: **„რუსეთთან ადრე არსებულ სარკინიგზო მიმოსვლას აღვადგენ“-ო.**



**საქართველოს გადასარჩენად, გასამთლიანებლად, ენის, მამულის, სარწმუნოების შესანარჩუნებლად ობიექტურ აუცილებლობად იქცა გაფორმება რუსეთთან გეორგიევსკის ახალი ტრაქტატისა ახალი შინაარსით, საქართველოს სუვერენიტეტის პატივისცემის გათვალისწინებით**

საქართველოსთვის ამ მეტად სასარგებლო, მრავალმხრივ მომგებიან წამოწყებას ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა, მაგრამ საქმის წამოწყება არა და არ ჩანს და ამ ხელისუფლების ხელში არც იქნება. **სინდისი რომ აწუხებდეს, ბიძინამ უნდა თქვას: რა ვქნა, „წამომცდა“ და მაპატიეთო. სინამდვილეში ამ საკითხზე ფიქრიც კი ბიძინას აშშ-ის ელჩმა ნორლანდმა კატეგორიულად აუკრძალა, რადგან რკინიგზა, თავისი შედეგებით, აშშ-ის ინტერესებს ძირეულად ეწინააღმდეგება.**

რკინიგზის წინააღმდეგ სააკაშვილიც აიფოფრა; არ გაგიკვირდეთ, იგი ხომ აშშ-ის „ძაღლიშვილია“. ბოლო არ უჩანს ბატონი ბიძინას „წამოცდენათა“ შედევრებს, მაგრამ ერთს კიდევ გაახლებთ, რადგან იგი სხვებისგან განსხვავებულია.

2011 წლის ბოლოს ერთ ინტერვიუში ბატონ ბიძინას ჭეშმარიტება „წამოსცდა“, როცა განაცხადა: აგვისტოს ომი ცხინვალში პირველმა ქართულმა მხარემ წამოიწყო და სააკაშვილი მართებულად დაადანაშაულა; ირიბად ომის მაპროვოცირებელ ძალებზეც მიანიშნა. მაგრამ ბიძინას ეს მართალი „წამოცდენა“ სწრაფად ალაგმა აშშ-ის ელჩმა და საწყალი ბიძინაც დადუმდა. საწყის ეტაპზე ბატონი ბიძინას „წამოცდენები“ ხალხმა სიმართლედ იწამა და მათ მხარი აქტიურად დაუჭირა. ხალხის მიზიდვით ბიძინამ საწადელს მიაღწია — სააკაშვილის „ნაციონალებს“ ხერხემალი ჩაუნგრია; იცის, რომ ისინი ხელისუფლების სათავეში ველარ მოვლენ, ხოლო რა ბედი ეწევა ე.წ. ქართულ ოცნებას 2016 წლის არჩევნებში, ბიძინას ნაკლებად აინტერესებს.

**„ოცნების“ პარლამენტარებმა, მთავრობის წარმომადგენლებმა კარგად იციან, რომ მომავალი წლის არჩევნებში ბატონი ბიძინას „წამოცდენები“ ხალხს უკვე ველარ მოიზიდავს, ამიტომ, როგორც იტყვიან, მოსწრებაზე არიან: უსირცხვილოდ იჯიბავენ არა მხოლოდ მომატებულ ხელფასებს, არამედ კიდევ უფრო მომატებულ დანამატებსა და მსუყე პრემიებსაც. მოკლედ, პარლამენტი დღეს ბიზნესასპარეზია და არა ხალხის მსახური ხელისუფლების განშტოება.**

**ბატონ ბიძინას ვეკითხები: ვინ ხართ თქვენ, თუ არა ხალხის უსირცხვილოდ გამბრიყვებელი, ცბიერი მატყუარა?** ბოლო 25 წლის განმავლობაში ჯერ შევარდნაძემ, შემდეგ სააკაშვილმა და ეს 3 წელიწადია თქვენ, ბატონო ბიძინა, ვაიმეოცნებეებით საქართველო ისეთ მონურ, გათახსირებულ, გარყვნილ, ზნეობადაკარგულ კონდიციამდე მიიყვანეთ, ილია მართალი რომ გაცოცხლდეს, ლექსს „ბედნიერი ერი“ არ გვაკმარებდა და მოზრდილი პოემით გაგვამათრახებდა, ხოლო დიდი მგოსანი აკაკი ასჯერ მაინც შესძახებდა: „ფურთხის ღირსი ხარ...“

აშშ-დასავლეთის ზემოქმედებისა და მათ მიერ მოსყიდული შინაური მოღალატეების მიერ საქართველო ეროვნული გაქრობის მიჯნამდეა მიყვანილი. ასეთ დროს ობიექტურად ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური კანონზომიერება ითხოვს კავშირსა და მეგობრობას დიდ მეზობელ რუსეთთან, მაგრამ ეს მეგობრობა არ იქნება აშშ-ნატოსგან ჩამოშორების გარეშე, რადგან ვაინაციონალებსა და ვაიმეოცნეებს არ ძალუძთ აშშ-ნატოზე უარის თქმა, იმედი 2016 წლის არჩევნების შედეგებზე უნდა გადავიტანოთ.

გადაჭრით ვაცხადებ: **საქართველოს გადასარჩენად, გასამთლიანებლად, ენის, მამულის, სარწმუნოების შესანარჩუნებლად ობიექტურ აუცილებლობად იქცა გაფორმება რუსეთთან გეორგიევსკის ახალი ტრაქტატისა ახალი შინაარსით, საქართველოს სუვერენიტეტის პატივისცემის გათვალისწინებით.**

**სინდისი რომ აწუხებდეს, ბიძინამ უნდა თქვას: რა ვქნა, «წამომცდა» და მაპატიეთო. სინამდვილეში ამ საკითხზე ფიქრიც კი აშშ-ის ელჩმა ნორლანდმა ბიძინას კატეგორიულად აუკრძალა**

**გივი გურეშიძე,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი




## შოტლანდია გენმოდიფიცირებულ პროდუქტს კრძალავს

**შოტლანდიის სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებით, იგი ეცდება, რომ შოტლანდიაში აიკრძალოს გენმოდიფიცირებული პროდუქტების გამოყენება და რომ შოტლანდია გამოვიდეს იმ ევროპული შეთანხმებებიდან, რომლებიც გენმოდიფიცირებული კულტურების დანერგვის საკითხებს არეგულირებს.** „შოტლანდიამ მსოფლიოში სახელი გაითქვა, როგორც შესანიშნავი ბუნების მქონე, ეკოლოგიურად სუფთა მხარემ, შესაბამისად, ეს იქნება კარგი სიგნალი იმ ტურისტებისთვის, რომლებიც ასეთი გარემოთი ინტერესდებიან, მათ შორის, საკვების მხრივ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შოტლანდიის მოსახლეობაში გენმოდიფიცირებული პროდუქცია პოპულარული არ არის“, — განაცხადა მინისტრმა.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„როგორია თქვენი ხალხისა და ალბანური ენის წარმომშობის ისტორია? — მკითხა სტალინმა, — თქვენს ხალხს, გარკვეულწილად, ბასკებთან ხომ არ აქვს რაიმე სიახლოვე? არ მჯერა, რომ ალბანელები წარმოშობით შორეული აზიიდან იყვნენ. ისინი არც თურქული წარმომავლობისანი არიან, რადგან ალბანელები თურქებზე უფრო ძველი ხალხია. შესაძლოა, თქვენს ხალხს საერთო ფესვები ჰქონდეს ეტრუსკებთან, თქვენს მთებში რომ შემორჩნენ, იმიტომ, რომ სხვები, რომლებიც იტალიაში გაემგზავრნენ, რომაელებს შეერწყნენ, მათთან ასიმილაცია განიცადეს. ნაწილი ალბანელებისა კი იბერიის ნახევარკუნძულზე გადავიდა“.

# სტალინი და ენვერ ხოჯა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №29 (311)

## ნაწილი II

**1947 წლის 14 ივლისი დაუვიწყარი თარიღი იყო არა მხოლოდ ენვერ ხოჯასთვის, არამედ სრულიად ალბანელი ხალხისთვის. ამ დღეს ოფიციალური ვიზიტით მოსკოვს ეწვია ალბანეთის ოფიციალური დელეგაცია, რომელიც სტალინს უნდა შეხვედროდა. დელეგაციას ახალგაზრდა ქვეყნის ახალგაზრდა მეთაური ენვერ ხოჯა მეთაურობდა. 12 დღის განმავლობაში დელეგაცია რუსეთის დედაქალაქში ეცნობოდა აღმშენებლობას დედამიწაზე პირველი სოციალისტური ქვეყნისა, რომელმაც თავისივე ბუნაგში მოსპო მსოფლიო ცივილიზაციის ყველაზე საშიში მხეცი — ფაშიზმი. ალბანეთის დელეგაცია სამი დღის განმავლობაში ეცნობოდა ქვეყნის მიღწევებსა და გამარჯვებებს. ყველაზე ამაღლებული და საინტერესო კი დელეგაციას წინ ელოდა. 16 ივლისს ენვერ ხოჯა და მისი თანმხლები პირები სტალინის კაბინეტის მისაღებში საყელოებსა და ვარცხნილობებს ისწორებდნენ, როცა მათ პოსკრებიშჩევმა კარისკენ მიუთითა.**



სტალინი და ენვერ ხოჯა

### შეხვედრები

ვეებერთელა სამუშაო კაბინეტში სტალინი ისე მოჩანდა, როგორც გოლიათი. მასთან მიახლოება და დალაპარაკება თითქმის ყველასთვის წარმოუდგენელი იყო. ძალიან ღელავდა ენვერ ხოჯა. სტალინი სტუმრებისკენ გაემართა, ყველას ხელი მსუბუქად ჩამოართვა და დაუღიმა. შემდეგ სტუმრები სათათბირო მაგიდასთან მიიხმო და მიმართა:

— უდიდეს მოწიწებას განვიცდი ბალკანეთის მხარის უძველესი ხალხისადმი, რომელსაც უაღრესად ძველი და ღირსეული ისტორია აქვს, — განსაკუთრებით ბევრი მსმენია იმ გმირობის შესახებ, რომელიც ალბანელმა ხალხმა გამოამჟღავნა ანტიფაშისტურ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, — მაგრამ ეს ჩემი ცოდნა, ბუნებრივია, კიდევ უფრო გაფართოვდება და გამიღრმავდება, თუ თვითონაც მიამბობთ საკუთარ ქვეყანაზე, თქვენს ხალხზე და, აგრეთვე, იმ პრობლემებზე, რომლებიც ახლა დგას ალბანელი ხალხის წინაშე.

ატმოსფერო ისე დათბა, რომ დელეგაციის ყველა მონაწილე თავს შინაურ გარემოში გრძნობდა, ენვერ ხოჯა კი მწყობრად უყვებოდა სტალინს თავისი ქვეყნის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე თუ რევოლუციურ შემართებაზე.

სტალინმა მოსაუბრე შეაჩერა და ჰკითხა, როგორ მიმდინარეობდა კლასთა ბრძოლა მის ქვეყანაში.

ენვერ ხოჯამ განუმარტა, რომ ალბანეთში ძირითად კლასს გლეხობა წარმოადგენს. რა თქმა უნდა, არიან მცირე რაოდენობით წვრილი მეწარმეეები, მაგრამ მათ ძალა არ აქვთ და კლასთა ბრძოლა მწვავე ხასიათს არ ატარებს.

— თქვენს პარტიას კომუნისტური პარტია ეწოდება, არა? — ჰკითხა სტალინმა

— დიახ, ამხანაგო სტალინ.

— როგორია მისი შემადგენლობა, ვინ არის მისი ძირითადი ბირთვი?

— გლეხობა, მცირე რაოდენობით მუშათა ფენა და ძალზე მცირე — ინტელიგენცია.

— თუ თქვენს კომუნისტურ პარტიაში ძირითადი ბირთვი გლეხობაა, იქნებ მას არა კომუნისტური, არამედ შრომის პარტია უწოდოთ? რა თქმა უნდა ეს ჩემი აზრია, თქვენ კი თქვენი აზრი გამოხატეთ პარტიის ყრილობაზე და შეაჯერეთ. იქნებ შრომის პარტიის სახელმწოდებამ აჯობოს.

**მალე ალბანეთში გამართულ კომპარტიის ყრილობაზე ერთხმად გადაწყდა, რომ ალბანეთის კომუნისტური პარტია გარდაქმნილიყო ალბანეთის შრომის პარტიად.**

სტალინი დაინტერესდა, ხდებოდა თუ არა ქვეყანაში შინაურ მტერთა გამოხდომები და, თუ ხდებოდა, როგორი იყო დამოკიდებულება მათ მიმართ.

— შინაურ მტრებს, რა თქმა უნდა, ვებრძვით, მაგრამ, შეიძლება ითქვას, ისინი კვლავ მოქმედებენ. მათ გარკვეულ დახმარებას გარეშე მტრები უწევენ, როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და ჰაერით. ხშირად ვიჭერთ მათ და გადავცემთ სახალხო სასამართლოს. ცალკე აღნიშვნის ღირსია ტრუმენის დოქტრინა საბერძნეთის საკითხზე და „მარშლის“ იმ ყბადაღებულ გეგმაზე, რომელსაც ჩვენ, რა თქმა უნდა, არ მივიღებთ.

**«რელიგიის საკითხი მეტად სათუთი საკითხია და იგი ყოველთვის მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, ძალიან წინდახედულად უნდა ვიმოქმედოთ, რადგან ყოვლად დაუშვებელია, რომ დაუდევრად მოვეპყროთ ხალხის რელიგიურ გრძნობებს. ეს გრძნობები საუკუნეთა განმავლობაში ინერგებოდა ადამიანთა სულებში და ამიტომ ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა მივუდგეთ, რელიგიის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთან საერთო ენის გამონახვის, მასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარების თვალსაზრისით»**

— მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები და ინგლისელები დიდ სიძნელეებსა და დაბრკოლებებს გიქმნიან, ამჟამინდელ სიტუაციაში ისინი თქვენს ქვეყანაზე თავდასხმას ვერ გაბედავენ, თქვენს მიწაზე ჯარს ვერ გადმოსხამენ, თუმცა ამისთვისაც მზად უნდა იყოთ, ჩვენ კი ყველაფრით დაგეხმარებით, — დააიმედა სტალინმა ენვერ ხოჯა და განაგრძო:

— ბერძენი მონარქი ამერიკელებისა და ინგლისელების წაქეზებით კვლავაც განაგრძობს თქვენ პროვოცირებას იმისათვის, რომ ათასგვარ ხათაბალაში გაგხვიონ და მოსვენება არ მოგცენ. ათენელებს კი დღეს თვითონ ჩაუსახლდათ შინ ბოროტება და უბედურება იმიტომ, რომ იქ გაჩაღებული სამოქალაქო ომი მათ და მათ ბრძანებელთა — ინგლისელთა და ამერიკელთა — წინააღმდეგ არის მიმართული (როგორც დღეს — გრ. ონიანი).

— შემდეგ სტალინი ალბანეთში სოფლის მეურნეობის განვითარებით დაინტერესდა, — იგონებს ენვერ ხოჯა, — შემეკითხა, როგორი ეკონომიკიური მდგომარეობა არის ამჟამად თქვენს ქვეყანაში, რა სასოფლო-სამეურნეო კულტურები მოგყავთ, ამ კულტურებიდან, ტრადიციულად, რომლის მოვლა-მოყვანას მისდევს ალბანელი გლეხობაო; იმითაც დაინტერესდა, რომელ მარცვლეულს ვთესავდით უმეტესად — სიმინდს თუ ხორბალს და ასე შემდეგ.

— უმთავრესად, ჩვენთან სიმინდს თესავენ, — ვუპასუხე, — შემდეგ — ხორბალსა და ჭვავს.

— სიმინდს გვალვის არ ეშინია?

— დიახ, ეშინია, სიმინდი გვალვას ნაკლებად იტანს, — ვუპასუხე მე, — და, სამწუხაროდ, გვალვა საკმაოდ ხშირად გვაწუხებს კიდეც და გვაზარალებს, მაგრამ იმ შესაძლებლობების ფარგლებში, რომელიც ჩვენს ჩამორჩენილ სოფლის მეურნეობას აქვს, მით უმეტეს, რომ ქვეყანა პურის ნაკლებობას განიცდის, ჩვენმა გლეხებმა ისწავლეს, როგორ უნდა მოიწიონ რაც შეიძლება მეტი სიმინდი, ამასთანავე, ვცდილობთ, შევქმნათ სარწყავი სისტემა, ჭაობების ამოშრობასაც შევუდექით.

სტალინი დაინტერესდა, გვაქვს თუ არა შექმნილი მანქანა-ტრაქტორთა სადგურები:

— მანქანა-ტრაქტორთა სადგურები აუცილებლად უნდა შექმნათ და, რაც შეიძლება, ინტენსიური გახადოთ მათი საქმიანობა, რადგან სწორედ მათ უნდა დაამუშავონ სანიმუშოდ როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერატიული მიწები; აგრეთვე, მიწები, რომლებიც გლეხთა საკუთრებაში ირიცხება. ტრაქტორისტები ყოველთვის გლეხთა სამსახურში უნდა იდგნენ, სოფლის მეურნეობაში უნდა იყვნენ დასაქმებული, კარგად უნდა ერკვეოდნენ კულტურებში, ნიადაგებში; იცოდნენ, სად, როგორ დაამუშაონ მიწა, სად რა დათესონ, რათა მიღწეულ იქნას უხვი მოსავალი. სწორედ ამას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, სხვაგვარად დიდ დანაკარგებს თავიდან ვერ ავიცილებთ. როდესაც მანქანა-ტრაქტორთა პირველ სადგურებს ვქმნიდით, ხშირად ხდებოდა, რომ ვამუშავებდით გლეხების მიწებს, მაგრამ ამით სასოფლო-სამეურნეო პროგრამების წარმოება არ იზრდებოდა. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ტრაქტორისტმა მხოლოდ ტრაქტორის მართვა იცოდა და სხვა — არაფერი. ტრაქტორისტი კარგი მიწათმოქმედიც უნდა იყოს, მან უნდა იცოდეს, როდის და როგორ დაამუშაოს მიწა.

ტრანსპორტის საკითხებზე საუბრისას სტალინმა მკითხა:

— აშენებთ თუ არა ალბანეთში მცირე ზომის გემებს?

— არა, — ვუპასუხე.

— ფიჭვი თუ ხარობს თქვენთან?

— ფიჭვის მთელი მასივებია.

— მაშინ თქვენ შესანიშნავი ბაზა გქონიათ საზღვაო ტრანსპორტის გასავითარებლად და ეს სამომავლოდ, შეგიძლიათ, გაითვალისწინოთ.

სტალინმა ენვერ ხოჯა სპორტულ სანახაობაზე დაპატიჟა.

— ორ საათზე მეტ ხანს გულისყურით უმზერდა სპორტულ არენას, — იგონებს ენვერ ხოჯა, — შეჯიბრების დასასრულს წვიმა წამოვიდა. მოლოტოვმა რამდენჯერმე სთხოვა, სანახაობა დაეტოვებინა, მაგრამ სტალინმა იუარა, ის ხალისიანად ესალმებოდა სპორტსმენებს და, მიუხედავად ავდრისა, შესანიშნავ გუნება-განწყობაზე იყო.

**მორბენლები სტადიონს წრეს უვლიდნენ, სირბილში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. შეჯიბრების დამთავრებისას გამოჩნდა ერთი ყველასგან ჩამორჩენილი აწოწილი სპორტსმენი, საწყალი ფეხებს ძლივს მიათრევდა, ხელებს სასაცილოდ იქნევდა და ძლივს მილასლასებდა, მაგრამ მაინც ცდილობდა, ერბინა. წვიმით ისე იყო გა-** ▶

ეკონომიკა



## ნავთობის ფასი 50 აშშ დოლარს ჩამოსცდა

**საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასი უკვე 50 აშშ დოლარს ჩამოსცდა. ამის მიზეზი ნავთობის გაზრდილი მოპოვება და ჩინეთის, ყველაზე დიდი მომხმარებლის, სუსტი ეკონომიკური ზრდაა.** ამჟამად Brent-ის ტიპის საწვავის ფასია 49,68 აშშ დოლარი ბარელზე, ხოლო WTI-ის ტიპის საწვავი 45,53 აშშ დოლარად იყიდება. Reuters-ის ინფორმაციით, „ოპეკის“ ქვეყნები ზრდიან ნავთობის მოპოვებას, რათა ბაზრის წილი შეინარჩუნონ. ამას ისიც ემატება, რომ ირანი სანქციების მოხსნის შემდეგ წარმოების გაორმაგებას აპირებს. ანალიტიკოსები ნავთობის ფასის კიდევ უფრო შემცირებას ელიან.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „დაიცავით სამშობლო და პარტია, მითხრა ამხანაგმა სტალინმა, მტერი დამაჯერებელი ფაქტების საფუძველზე მხილებული უნდა იქნას ბოლომდე, რათა ხალხმა იცოდეს, რა ბოროტება აქვს მას ჩადენილი და დარწმუნდეს, რამ საშიშია იგი. ასეთი — ხალხის თვალში მთლიანად დისკრედიტებული მტერი კიდევაც რომ არ დასაჯო, მორალურად და პოლიტიკურად მაინც დასჯილია, რადგან ხალხის გარეშე, ადამიანთა ნდობის გარეშე ის უკვე ვერაფერს გააკეთებს“.

**ლუმპული, წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. სტალინი მას მამობრივი სითბოსა და მზრუნველობის გამომხატველი ღიმილით უყურებდა და თავისთვის ბუტბუტებდა:**

**— ჩემო საყვარელო, წადი სახლში, ცოტა დაისვენე, შეჭამე რამე და მერე ისევ მოდი, აქ კიდევ გაიმართება შეჯიბრება სირბილში.**

მოგვიანებით სტალინი ალბანელი ხალხისა და მისი ენის წარმოშობითა დაინტერესდა:

— როგორია თქვენი ხალხისა და ალბანური ენის წარმომავლობის ისტორია? — მკითხა სტალიმა, — თქვენს ხალხს, გარკვეულწილად, ბასკებთან ხომ არ აქვს რაიმე სიახლოვე? არ მჯერა, რომ ალბანელები წარმოშობით შორეული აზიიდან იყვნენ. ისინი არც თურქული წარმომავლობის არიან, რადგან ალბანელები თურქებზე უფრო ძველი ხალხია. შესაძლოა, თქვენს ხალხს საერთო ფესვები ჰქონდეს ეტრუსკებთან, თქვენს მთებში რომ შემორჩნენ, იმიტომ, რომ სხვები, რომლებიც იტალიაში გაემგზავრნენ, რომაელებს შეერწყნენ, მათთან ასიმილაცია განიცადეს. ნაწილი ალბანელებისა კი იბერიის ნახევარკუნძულზე გადავიდა.

ჩვენთან, კავკასიაში, არსებობს ერთი ადგილი, რომელსაც ალბანეთი ეწოდება, — მითხრა სტალინმა და ინტერესით შემომხედა, — როგორ ფიქრობთ, აქვს ამ ალბანეთს კავშირი თქვენს ქვეყანასთან?

— ამის თაობაზე ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან არაფერი ვიცი.

ამის შემდეგ სტალინი შემეკითხა რამდენიმე ალბანური სიტყვის შესახებ. მას აინტერესებდა, რას ვეძახდით ჩვენ შრომის იარაღებს, საოჯახო ჭურჭელს, ავეჯს, ყოველდღიური მოხმარების საგნებს. სიტყვათა ძირებში არავითარი მსგავსება არ აღმოჩნდა. სტალინმა ღილაკს თითი დააჭირა და შემოსულ გენერალს (ალბათ, პოსკრებიშჩევს — გრ. ონიანი) ღიმილით უთხრა:

— ჩვენ აქ ამხანაგ ენვერ ხოჯასთან ერთად თავს ვიკლავთ ერთი ამოცანის გადაწყვეტაში, მაგრამ ვერაფერი მოვუხერხეთ. დაუკავშირდით, გეთაყვა, პროფესორს (მან დაასახელა ერთ-ერთი გამოჩენილი საბჭოთა ენათმეცნიერი და ისტორიკოსი, რომლის სახელი და გვარი, სამწუხაროდ, არ მახსენდება) და ჩემი სახელით ჰკითხეთ, არსებობს თუ არა რაიმე კავშირი კავკასიელ ალბანელებსა და ალბანეთს შორის.

გენერალი რომ გავიდა, სტალინმა აიღო ფორთოხლის ოქროსფერი ნაყოფი, მაღლა ასწია და თქვა:

— ამას რუსულად **აპელსინ** ჰქვია, ალბანურად რას ეძახით?

— პორტოკალს, — ვუპასუხე მე.

**ჩვენი ვიზიტის დროც ამოიწურა. დაუვიწყარი იყო ვახშამი, რომელიც ჩვენი დელეგაციის პატივსაცემად სტალინმა კრემლში მოაწყო. ნავახშმევს მასპინძელმა კრემლის კინოდარბაზში დაგვპატიჟა. კინოს პერსონაჟი, რომელიც ხალხთან კარგი ურთიერთობით გამოირჩეოდა, სტალინს ძალიან მოეწონა. სტალინი ჩემკენ შემობრუნდა და მითხრა:**

**— ხელმძღვანელობა რომ შეძლო, ხალხს უნდა იცნობდე და, რომ იცნობდე, ამისთვის საჭიროა, ხალხში გახვიდე და მასთან ახლოს იყო.**

უკვე ნაშუაღამევი იყო, როდესაც გამოსამშვიდობებლად მოვემზადეთ. სტალინმა ყველას ხელი ჩამოართვა, ბოლოს კი ხელი მე გამომიწოდა და მთხოვა:

— ჩემი გულითადი სალამი გადაეცით გმირ ალბანელ ხალხს, რომელსაც უდიდეს წარმატებებს ვუსურვებ!

მეორე დღეს, 25 ივლისს, ჩვენი დელეგაცია სამშობლოში დაბრუნდა“.



ენვერ ხოჯა თავის კაბინეტში

**«დაუვიწყარი იყო ვახშამი, რომელიც ჩვენი დელეგაციის პატივსაცემად სტალინმა კრემლში მოაწყო. ნავახშმევს მასპინძელმა კრემლის კინოდარბაზში დაგვპატიჟა. კინოს პერსონაჟი, რომელიც ხალხთან კარგი ურთიერთობით გამოირჩეოდა, სტალინს ძალიან მოეწონა. სტალინი ჩემკენ შემობრუნდა და მითხრა: — ხელმძღვანელობა რომ შეძლო, ხალხს უნდა იცნობდე და, რომ იცნობდე, ამისათვის საჭიროა, ხალხში გახვიდე და მასთან ახლოს იყო»**

1949 წლის 21 მარტს ენვერ ხოჯა, როგორც ქვეყნის მეთაური, მეორედ ჩავიდა მოსკოვში სტალინთან შესახვედრად. პროტოკოლის მიხედვით, მას აეროპორტში მიქოიანი და ვიშინსკი დახვდნენ. 23 მარტს, 22 საათსა და 5 წუთზე, ენვერ ხოჯა სტალინმა მიიღო.

„— რაღაც გამხდარი მეჩვენები, — მითხრა მცირე დაკვირვების შემდეგ,— ხომ არ იავადმყოფე ან, შესაძლოა, დაიღალე?

— ძალიან მოხარული და ბედნიერი ვარ, ისევ რომ მომიწია თქვენთან შეხვედრა. მინდა, რამდენიმე საკითხი წამოვწიო თქვენ წინაშე.

— რამდენიც გნებავთ! დროში არავინ გზღუდავთ, — გაიღიმა მან, თითქოს წამათამამა, რომ თავისუფლად მომეხსენებინა ყველაფერი, რაც საჭიროდ მიმაჩნდა“.

ენვერ ხოჯამ დაწვრილებით უამბო სტალინს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ შექმნილ ვითარებაზე და მისცა კიდეც შესაფერისი შეფასება. მკაცრად გააკრიტიკა **კოჩი დოდე** და **პანდი კრისტო**, რომლებიც იუგოსლავიელ ტროცკისტთა საშიში აგენტები გახდნენ და ცდილობდნენ მის პარტიაში ცენტრალური პოსტების უზურპირებას.

„— დაიცავით სამშობლო და პარტია, — მითხრა ამხანაგმა სტალინმა, — მტერი დამაჯერებელი ფაქტების საფუძველზე მხილებული უნდა იქნას ბოლომდე, რათა ხალხმა იცოდეს, რა ბოროტება აქვს მას ჩადენილი და დარწმუნდეს, რამდენად საშიშია იგი. ასეთი, ხალხის თვალში მთლიანად დისკრედიტებული, მტერი კიდევაც რომ არ დასაჯო, მორალურად და პოლიტიკურად მაინც დასჯილია, რადგან ხალხის გარეშე, ადამიანთა ნდობის გარეშე ის უკვე ვერაფერს გააკეთებს.

— სასამართლო პროცესი ტირანაში მიმდინარეობს, ყველაფერი, რაც სამართლოს დარბაზში ხდება, იბეჭდება გაზეთებში. ამასთანავე, იმ ადამიანებს, რომლებმაც ღრმად მოინანიეს შეცდომები, გულწრფელი და დამაჯერებელი თვითკრიტიკით გამოვიდნენ, ჩვენ სიფრთხილითა და განსაკუთრებული დიდსულოვნებით მოვეკიდეთ, გადავწყვიტეთ ზოგიერთი მათგანის სასწავლებლად საბჭოთა კავშირში გამოგზავნა, — ვთქვი მე და რამდენიმე მათგანის გვარი დავასახელე.

— როგორ, როგორ? — შემეკითხა ამხანაგი სტალინი და პირდაპირ თვალებში შემომხედა, — თქვენ გინდათ, რომ იგი ჩვენთან ჩამოვიდეს სასწავლებლად? ასეთ კაცს პოლიტიკურად კიდევ ენდობით?

— დიახ, — ვუპასუხე მე, — მისი თვითკრიტიკა ისეთი წრფელია, იმედი გვაქვს, გამოსწორდება.

— თვითონ მას სურს, რომ ჩამოვიდეს?

— დიახ, მან თვითონ გამოთქვა აქ წამოსვლის სურვილი, — ვუპასუხე მე.

— აბა, რა მეთქმის! თუ თქვენ, ამხანაგო ენვერ, კარგად აწონ-დაწონეთ ეს საკითხი, მაშინ, დაე, ჩამოვიდეს.

შევეხე რა სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს, ხაზი გავუსვი, რომ გადაწყვეტილი გვაქვს კოლექტივიზაციაზე თანდათანობითი გადასვლა.

— რაც შეეხება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, — თქვა ამხანაგმა სტალინმა, — ჩემი აზრით, არ უნდა აჩქარდეთ. თქვენი ქვეყანა მთიანია, მისი რელიეფი — არაერთგვაროვანი, სხვადასხვანაირი; ჩვენთანაც, მთიან რაიონებში, რომლებიც თქვენს მთიან რაიონებს ჰგავს, კოლმეურნეობები ძალიან გვიან შეიქმნა. თუ ალბანელ გლეხებს ტრაქტორები ან სხვა რომელიმე სასოფლო-სამეურნეო მანქანა დასჭირდებათ, მარცვლეულის დასამუშავებელი თუ მესაქონლეობაში გამოსაყენებელი, ან სხვა რამ, დაეხმარეთ მათ. და არა მხოლოდ ეს! გაიყვანეთ სარწყავი არხები გლეხებისთვის და შემდეგ ნახავთ, როგორი შედეგები მოჰყვება ამას. მგონი, უკეთესი იქნება, თუ ზემოთ ხსენებული დახმარებისთვის გლეხობა ვალს ნატურით გადაიხდის. უნდა შექმნათ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. თქვენ არ უნდა გადასცეთ ტრაქტორები კოოპერატივებს, მაგრამ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს გლეხებს მიწის დამუშავებაში, თუ ისინი ამ დახმარებას მოითხოვენ და ღარიბი გლეხები ასე თანდათანობით გაიცნობიერებენ კოლექტივიზაციის აუცილებლობას.

რაც შეეხება ჭარბ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, — განაგრძო ამხანაგმა სტალინმა, — მიწათმოქმედებს თავიანთი შეხედულებისამებრ შეუძლიათ მოიხმარონ, წინააღმდეგ შეთხვევაში გლეხები ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე უარს იტყვიან. თუ გლეხობა კონკრეტულ დახმარებას ვერ დაინახავს სახელმწიფოს მხრიდან, იგი სახელმწიფოს თვითონაც არ დაეხმარება.

— როგორია ალბანეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა? არსებობს თუ არა ალბანეთში სერბთა და ხორვატთა უმცირესობები? — მკითხა სტალინმა.

— ჩვენი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა, — ვუთხარი მე, — ძირითადად ალბანელია, მაგრამ ეროვნული უმცირესობებიც გვყავს, მაგალითად, ბერძნები (სულ 28 000 კაცი) და ძალიან ცოტა მაკედონელები (სულ რაღაც 5 პატარა სოფელი), სერბები და ხორვატები ჩვენთან არ არიან.

— რამდენი რელიგიური აღმსარებლობაა თქვენთან გავრცელებული?

— ალბანეთში სამი რელიგიური აღმსარებლობაა: მუსლიმანური, მართლმადიდებლური და კათოლიკური. ამ სამი რელიგიური აღმსარებლობის მიმდევარი მოსახლეობა ერთი ეროვნების წარმომადგენელია, ამიტომ ერთადერთი ენა, რომელზეც ჩვენთან ლაპარაკობენ, ალბანურია, ოღონდ ბერძნული ეროვნების გამოკლებით. ეს უმცირესობა თავის მშობლიურ ენაზე ლაპარაკობს.

საუბრის მსვლელობისას სტალინმა მკითხა:

— თქვენ, ამხანაგო ენვერ, ღორის ხორცს ჭამთ?

— დიახ, — მივუგე მე.

— მუსლიმანური რელიგია უკრძალავს თავის მრევლს ღორის ხორცის ჭამას, — თქვა სტალინმა, — ძველისძველი და უკვე დრომოჭმული ჩვევაა. რელიგიის საკითხი მეტად სათუთი საკითხია და იგი ყოველთვის მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, ძალიან წინდახედულად უნდა ვიმოქმედოთ, რადგან ყოვლად დაუშვებელია, რომ დაუდევრად მოვეპყროთ ხალხის რელიგიურ გრძნობებს. ეს გრძნობები საუკუნეთა განმავლობაში ინერგებოდა ადამიანთა სულებში და ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა მივუდგეთ, რელიგიის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთან საერთო ენის გამონახვის, მასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარების თვალსაზრისით.

ვახშამზე სუფრას მოლოტოვი თამადობდა. ის ჭიქას მალმალე ავსებდა და მომიწოდებდა, ჭიქა ბოლომდე დამეცალა. როცა მისი თხოვნა არ შევასრულე, საყვედურით მითხრა, — თქვენ წუხელ უფრო მეტ ღვინოს სვამდით.

— ააა, გუშინ? გუშინ სხვა საქმე იყო.

მოლოტოვი კი სტალინს მიუბრუნდა და ყურში ჩასჩურჩულა: — წუხელ ვიშინსკისთან ვიყავით ვახშმად (ვითომ სტალინს ეს არ ეცოდინებოდა — გრ. ონიანი), რომ ტირანიდან დარეკეს ენვერ ხოჯას ვაჟიშვილი შეეძინაო. ცხადია, სიხარულისაგან ჩვენც მეტი დავლიეთ.

— გილოცავთ! — წამოიძახა სტალინმა და ჭიქა ასწია. მოდით, დავლიოთ ახალშობილისა და თქვენი მეუღლის სადღეგრძელო. ვახშამი ყავითა და კრემლის კინოდარბაზში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეზე გადაღებული ფერადი კინოფილმების ნახვით დასრულდა, მათ შორის იყო „შორეული საპატარძლო“.

ასე დასრულდა სტალინთან ჩემი რიგით მეორე შეხვედრა“.

**(გაგრძელება იქნება)**

---

მსოფლიო

## ნეშვილში ცულით შეიარაღებული მამაკაცი კინოთეატრში შეიჭრა

**ტენესის შტატის ქალაქ ნეშვილში მდებარე კინოთეატრზე შეიარაღებულმა მამაკაცმა თავდასხმა განახორციელა, შედეგად ოთხი ადამიანი დაშავდა.** მოგვიანებით პოლიციამ თავდამსხმელი მოკლა. მას ხელში ცული და ცრემლსადენი აეროზოლი ეჭირა, სახე კი ნიღბით ჰქონდა დაფარული. სამართალდამცველთა განცხადებით, იგი 29 წლის ადგილობრივი ვინსენტ დევიდ მონტანოა. წინასწარი ვერსიით, თავდამსხმელს სერიოზული ფსიქიკური პრობლემები აწუხებდა. მან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ოთხჯერ გაიარა მკურნალობის კურსი. თავდამსხმელმა გაქცევა სცადა, მაგრამ პოლიციამ მას ესროლა, რის შედეგადაც დაიღუპა.



საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა 2008 წელს ქვეყნის მტრადაც კი გამომაცხადა და შარშანაც იგივე განმეორდა, როდესაც საქართველოში რუსული სიმღერის ფესტივალი ჩავატარე. არადა, მსურდა, ამ ნაბიჯით მეთქვა, რომ ჩვენ შეგვიძლია, ერთად ვიცხოვროთ, ვიშრომოთ, ვიცეკვოთ და ვიმღეროთ კიდეც... საჭიროა შენება და არა ნგრევა“.**



### ვალერი სვარჩუკი:

# წელს რუსეთში სასწავლებლად წასვლის მსურველი, შარშანდელთან შედარებით, ორჯერ მეტი იყო

**რუსეთის თანამემამულეთა კავშირი „ოტჩიზნა“ საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღებაში ეხმარება. უკვე ათი წელია, ორგანიზაცია საქართველოში ფუნქციობს და თანამემამულეების დახმარების პარალელურად ბევრ საინტერესო პროექტს ახორციელებს. აღნიშნულ პროექტებზე „საქართველო და მსოფლიოს“ საქართველოში ამ კავშირის პრეზიდენტი, რუსეთის თანამემამულეთა საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წევრი — ვალერი სვარჩუკი ესაუბრება.**

**— თქვენ ხელმძღვანელობთ საქართველოს მოქალაქეების რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების პროგრამას. როგორ და რა პრინციპით არჩევთ ახალგაზრდებს?**

— ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამა რუსეთის მთავრობის პატრონაჟით, “როსსოტრუდნიჩესტვოსთან” ერთად ხორციელდება; უნდა ითქვას, რომ **რუსეთში განათლების მიღება ბევრ ახალგაზრდას სურს და მათი რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, რაც ძალიან მახარებს. მაგალითად, წელს რუსეთში სასწავლებლად წასვლის მსურველი, შარშანდელთან შედარებით, ორჯერ მეტი იყო. საგანმანათლებლო პროგრამაში, ჩვენი ორგანიზაციის თაოსნობით, არამხოლოდ თბილისი, ფაქტობრივად, საქართველოს ყველა კუთხე მონაწილეობს. ჩვენი საკოორდინაციო კომიტეტი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებულ ყველა ორგანიზაციას აერთიანებს, განიხილავს და არჩევს კანდიდატებს.**

შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი შედეგით კმაყოფილი ვარ — **92 კაცი წავიდა საქართველოდან რუსეთში სასწავლებლად, მომავალში მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.**

**— რა შემთხვევაში ეუბნებით უარს ახალგაზრდას, რომელსაც რუსეთში განათლების მიღება სურს?**

— ერთ-ერთი მოთხოვნა მაღალი აკადემიური მოსწრებაა. რეკომენდაციას მხოლოდ იმ ახალგაზრდებს ვუწევთ, რომლებსაც სანიმუშო ატესტატები აქვთ. ბუნებრივია, ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა რუსული ენის ცოდნაც, თუმცა იმის შანსიც ეძლევათ, რუსეთში გაიარონ შესაბამისი კურსი რუსული ენის სათანადო დონეზე შესასწავლად, რათა განათლების მიღება შეძლოს.

ასე რომ, მთავარია სურვილი, კარგი ნიშნები და, რა თქმა უნდა, ჩვენი ორგანიზაციის რეკომენდაცია.

27 წლამდე ნებისმიერ ახალგაზრდას, რომელიც აღნიშნულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს, შეუძლია, რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში ბაკალავრიატში სასწავლებლად გაემგზავროს. გვაქვს როგორც სამაგისტრო პროგრამები, ასევე პროგრამები ორდინატურასა და ასპირანტურაში სწავლის მსურველებისთვის.

**— აღნიშნული პროგრამა რუსეთის რამდენიმე ქალაქში მოქმედებს. სტუდენტებს შეუძლიათ, რომ თვითონ აირჩიონ ქალაქი?**

— დიახ, **ახალგაზრდამ უნდა მიუთითოს სამი მისთვის სასურველი ქალაქი. ამის შემდეგ სპეციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდება მონაცემები და უმაღლესი სასწავლებლები აირჩევენ სტუდენტებს.**

**სტუდენტები საცხოვრებელი პირობებითაც უზრუნველყოფილნი არიან. სწავლა უფასოა, მას რუსეთის მთავრობა აფინანსებს, ვინაიდან თანამემამულეთა დახმარების პროგრამის ფარგლებში ჩვენ ვიღებთ კვოტას.**

ჩემი აზრით, ამ პროგრამის განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ახალგაზრდები, რომლებიც მიდიან რუსეთში, იქ ეცნობიან რუსულ ცხოვრებას, რუსულ სინამდვილეს, რუსებს და ხედავენ, რომ რუსეთი ცივილიზებული სახელმწიფოა. ეს ახალგაზრდები საქართველოში სრულიად სხვა შეხედულებებით ბრუნდებიან.

ჩვენი ორგანიზაციის ამოცანაა, შეინარჩინოს ის კეთილი, ძველი ტრადიციები და ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის, რომლებიც დღემდე შემოგვრჩა. ვფიქრობ, ეს უმთავრესია.

ამას გარდა, ჩვენ გვაქვს დახმარების პროგრამა, რომელიც მოიცავს სამედიცინო, სარეაბლიტაციო პროგრამებს ომის ვეტერანებისთვის, ვატარებთ ზეიმებს, რუსულ დღეებს რუსული დიასპორისთვის. ჩვენ ასევე გვაქვს პროგრამა ბავშვებისთვის — ყოველ ზაფხულს ქობულეთში ვუშვებთ მათ დასასვენებლად.

ჩვენი მიზანია, მშვიდობისა და იმ კეთილგანწყობის, იმ ურთიერთობების შენარჩუნება, ჩვენს ხალხებს შორის რომ იყო.

**— რუსულ-ქართულ ურთიერთობზე რას ფიქრობთ, როგორ გესახებათ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დარეგულირება?**

— სიმართლე გითხრათ, დიდ ცვლილებებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში ჯერჯერობით ვერ ვხედავ. მხოლოდ საუბრები იმაზე, რომ ეს საჭიროა, არაფრის მომცემია.

მიმაჩნია, რომ არსებობს პრობლემები, რომელთაგან ზოგი სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას, ზოგის მოგვარება კი მოგვიანებით შეიძლება (მაგალითად, ოსეთთან და აფხაზეთთან დაკავშირებული საკითხები). შეუძლებელია, ვინმეს რამე დააძალო, ამიტომ ისე უნდა მოვიქცეთ, რომ აფხაზებმაც და ოსებმაც მოინდომონ ჩვენთან დაბრუნება. ამისთვის კი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარებაა აუცილებელი; ადამიანებს უნდა მიეცეთ ნორმალურად ცხოვრების, განვითარების, განათლების, პროგრესის საშუალება — აი, ეს არის მთავარი ამოცანა.

ამის დროც მოვა.

**— საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობიდან გამომდინარე, თქვენი საქმიანობისთვის ხელის შეშლა ხომ არ უცდიათ?**

— თითქმის 15 წელიწადია, ვსაქმიანობ და პირდაპირ არასდროს არავინ მოსულა და აუკრძალავს ჩემთვის საქმიანობა; არავის უთქვამს, დახურე ორგანიზაციაო, თუმცა იყო ზემოქმედების ცალკეული შემთხვევები. მაგალითად, **განსაკუთრებით პრობლემური სიტუაცია იყო 2008-2009 წლებში. ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა 2008 წელს ქვეყნის მტრადაც კი გამომაცხადა და შარშანაც იგივე განმეორდა, როდესაც საქართველოში რუსული სიმღერის ფესტივალი ჩავატარე. არადა, მსურდა, ამ ნაბიჯით მეთქვა, რომ ჩვენ შეგვიძლია, ერთად ვიცხოვროთ, ვიშრომოთ, ვიცეკვოთ და ვიმღეროთ კიდეც... საჭიროა შენება და არა ნგრევა.**

რომელიღაც ვებგვერდებზეც გაჩნდა რაღაც წერილები ჩემზე, თუმცა არ მიმინიჭებია მათთვის დიდი მნიშვნელობა, რადგან ცხოვრება გვიჩვენებს, ვინ კარგია და ვინ — ცუდი...

**— უარყოფითი გამოხმაურებები სოციალურ ქსელში თქვენს საგანმანათლებლო პროექტსაც მოჰყვა, რადგან ახალგაზრდების რუსეთში სწავლას ითვალისწინებს...**

— ვიღაც ლონდონში მიდის სასწავლებლად, ვიღაც — მოსკოვში... ყველა იქ მიდის, სადაც მისთვის უფრო მოსახერხებელია. ეს ადამიანის არჩევანია, ჩვენ ხომ არავის ვაძალებთ, სად წავიდეს და ისწავლოს?! **არამხოლოდ საქართველოდან, სხვა ქვეყნებიდანაც უამრავი ახალგაზრდა მიემგზავრება რუსეთში განათლების მისაღებად და არ მესმის, რა არის ამაში ცუდი და მიუღებელი?!**

**«არამხოლოდ საქართველოდან, სხვა ქვეყნებიდანაც უამრავი ახალგაზრდა მიემგზავრება რუსეთში განათლების მისაღებად და არ მესმის, რა არის ამაში ცუდი და მიუღებელი?!»**

ესაუბრა **შორენა ციმქარაშვილი**

# ვინ დაიცავს ჟურნალისტის სიცოცხლეს?

**6 აგვისტოს ერთი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც უკრაინის დონეცკის ოლქის ქალაქ სნეჟნოესთან სარედაქციო დავალების შესრულებისას დაიღუპა ტელეკომპანია „როსია სეგოდნიას“ ფოტოკორესპონდენტი ანდრეი სტენინი, 33 წლის ახალგაზრდა კაცი.**

მოკლეს უკრაინის სამხედროების მიერ მოხალისეთა წინააღმდეგ განხორციელებული სპეცოპერაციის დროს, ანუ სამოქალაქო ომში.

დადგენილია, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალების 79-ე აერომობილური ბრიგადის მებრძოლებმა მძიმე ტექნიკის გამოყენებით ცეცხლი გაუხსნეს კოლონას, რომელშიც ჟურნალისტი იმყოფებოდა. სტენინთან ერთად კიდევ ორი ჟურნალისტი იყო, ინტერნეტსაიტ **icorpos**-ის თანამშრომლები: **ანდრეი ვიაჩელო** და **სერგეი კორენენკოვი**.

ავტოკოლონა მშვიდობიანი მოქალაქის იყო.

„როცა ჩვენ, მისმა კოლეგებმა, ის-ის იყო ვიპოვეთ ანდრეი, ირგვლივ 20-მდე სამოქალაქო ავტომანქანა დავთვალეთ... სტენინი დაიღუპა ეპიზოდში, რომელსაც დარწმუნებით შეიძლება ვუწოდოთ სამხედრო



ანდრეი სტენინი

დანაშაული... უკრაინელმა სამხედროებმა მოკლეს არა მხოლოდ ანდრეი, ნიჭიერი რეპორტიორი, არამედ დახოცეს მშვიდობიანი მოქალაქეები, რომლებიც ცდილობდნენ საომარ მოქმედებათა ზონიდან გამოსვლას. მსოფლიოში ამას ერთადერთი სახელი ჰქვია — „სამხედრო დანაშაული“, — ამბობს ჟურნალისტი და ტელეწამყვანი **არკადი მამონტოვი**. იგი დარწმუნებულია, რომ უკრაინაში ჰყავთ სპეციალური ადამიანები, რომლებსაც ჟურნალისტების ნეიტრალიზაციას ავალებენ.

ქილერები?

შეიძლება ასეც ითქვას.

„როცა ჩვენი ამქრის რომელიმე წევრი იღუპება... დაუცველობის განცდა გიპყრობს; განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როცა ადამიანებს, რომლებიც შენს მოკვლას ცდილობენ, კარგად ესმით, რატომ აკეთებენ ამას: კლავენ, ხმა რომ ჩააკმენდინონ, არ ათქმევინონ ჟურნალისტს სიმართლე რეალური სიტუაციის თაობაზე, რომელიც შექმნილია, კერძოდ, უკრაინაში“, — ასეთია მისი პოზიცია. ჟურნალისტიკა სახიფათო პროფესიაა, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებშიც სახელმწიფო გადატრიალება ხდება: უკრაინაში გაზეთ „ვესტის“ ჟურნალისტი აზბოქრებულ კიევის მაიდანზე მოკლეს, ჯერ კიდევ გასულ თებერვალში. მასმედიის კიდევ 7 თანამშრომელი დაიღუპა სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე ბრძოლების დროს. მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის — **დუნია მიატოვიჩის** ცნობით, შარშან 200-ზე მეტი ჟურნალისტი ძალადობრივი ქმედების მიზეზით დაზარალდა.

**შარშან უკრაინაში დაღუპული კოლეგების რაოდენობა ერაყში მსხვერპლთა რაოდენობას დაემთხვა: რვა ჟურნალისტი — უკრაინაში, რვა — ერაყში. 2014 წელს კი მსოფლიოში პროფესიულ საქმიანობას 118 ჟურნალისტი შეეწირა, რაც წინა წელთან შედარებით 13-ით მეტია.** ▶

თემურ „გაიდარმა“ სათავე დაუდო თვითმარქვია გაიდარების დინასტიას. მოგვიანებით თემურს შეეძინა ვაჟი — ეგორი, რომელიც თავისთავად გაიდარად ჩაიწერა; ეგორმა თავი ისახელა „დემოკრატიული“ რეფორმებით, რომლებმაც ლამის დაასამარა რუსეთის ეკონომიკა. ეგორ თემურის ძეს გაუჩნდა გოგონა — მარია, რომელსაც, ასევე, საერთო არაფერი აქვს არკადი გაიდართან. აღსანიშნავია, რომ მაშა 22 წლამდე სმირნოვას გვარს ატარებდა ბანალური მიზეზის გამო — ეგორმა დედამისი მიატოვა, როცა ამჟამინდელი ვიცეგუბერნატორი მხოლოდ სამი წლის იყო.

ჩევლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# გუბერნატორ სააკაშვილის მარჯვენა ხელი მარია გაიდარი თვითმარქვია აღმოჩნდა

**დამეთანხმებით, უსიამოვნო განცდა გეუფლება, როდესაც გამოჩენილი ადამიანის შთამომავალი უმსგავსო საქციელით ჩირქს სცხებს თავის სახელოვან წინაპარს. მაგალითად, თამარ მეფის ასულის — რუსუდანის მეფობამ და არასახარბიელო ქცევამ დიდება ვერ შეჰმატა ვერც დედამისის სახელს, ვერც სახელმწიფოს სიძლიერეს. იოსებ სტალინის ქალიშვილი სვეტლანაც ზნეობით ვერ დაიკვეხნიდა, ხოლო საბჭოთა ბელადის გარდაცვალების შემდეგ ის მხოლოდ იმით იყო „გართული“, რომ „მემუარებში“ ცილს სწამებდა თავის მამას.**

ეს წარსულში...

მაგრამ აგერ, სულ ახლახან, შევიტყვე, რომ გენიალური ქართველი კომპოზიტორის — რევაზ ლაღიძის ქალიშვილი „თვით“ **გოკა გაბაშვილის** სიდედრია და „ნაცების“ მეხოტბე. ამა წლის 17 ივლისმაც სულიერი დისკომფორტი მომართვა „საჩუქრად“; ამ დღეს საქართველოში ძებნილმა, უკრაინაში კი ოდესის გუბერნატორმა სააკაშვილმა გამოჩენილი საბჭოთა საბავშვო მწერლის — არკადი გაიდარის შვილთაშვილს — მარიას ვიცეგუბერნატორობა უბოძა. რა გაეწყობა,— ვინუგეშე თავი,— ხომ ცნობილია, ბუნება გამოჩენილი ადამიანების შვილებზე ისვენებს-მეთქი.

და, ოი სიხარულო!..

ოდესის ოლქის ახალგამოჩეკილ მაღალჩინოსანზე ძალზე საინტერესო ინფორმაცია მოვიძიე. როგორც პრესა იუწყება, ეს მარია გაიდარი თურმე არ არის არკადი გაიდარის (გოლიკოვის) შვილთაშვილი და, საერთოდ, მისი ნათესავიც კი. აფერა წამოიწყო მარიას ბაბუამ — თემურმა, რომელიც არ იყო მწერლის ვაჟიშვილი! როდესაც არკადი გაიდარმა ცოლად შეირთო **რახილ ლაზარეს ასული სოლომენსკაია,** რომელსაც უკვე ჰყავდა სამი წლის ბიჭუნა — თემური. ბავშვის მამაზე ისტორია დუმს, რადგან ქალბატონ რახილს მასზე არავისთან და არასდროს უსაუბრია. მოკლედ, არკადი გაიდარი გახდა ამ ბავშვის მამინაცვალი, თანაც მოკლე ხნით. ცოლ-ქმარი მალე დასცილდა ერთმანეთს, უფრო ზუსტად, რახილ ლაზარეს ასულმა მიატოვა მწერალი და „გადაბარგდა“ შეპეტოვის რაიონის პარტიული ორგანიზაციის თავკაცთან — **იზრაელ მიხეილის ძე რაზინთან**, რომელიც 1938 წელს, როგორც კონტრევოლუციური ორგანიზაციის მონაწილე, გაასამართლეს და დახვრიტეს.

მაგრამ დაქვრივებულმა სოლომენსკაიამ მეუღლე დიდხანს არ იგლოვა და მესამედ იქორწინა. ამჯერად მისი, რიგით მესამე, ქმარი გახდა მწვრთნელი ციგურებით სრიალში, შემდგომ სპორტული ჟურნალისტი **სამსონ ვოლფის ძე გლაიზერი.**

გავიდა დრო და საზრიანმა ებრაელმა ბიჭმა თემურ სოლომენსკიმ პასპორტის აღებისას გათვალა, რომ სახელოვანი გვარი საკუთარზე მეტად წაადგებოდა ცხოვრებაში და აირჩია მამინაცვლის არა ნამდვილი გვარი — **გოლიკოვი**, არამედ ლიტერატურული ფსევდონიმი — **გაიდარი**. ცნობილი მწერალი ვერ შეეწინააღმდეგებოდა გერის ასეთ თავხედობას, რადგან არკადი გაიდარი დიდ სამამულო ომში დაიღუპა...

აი, ამ თემურ „გაიდარმა“ სათავე დაუდო თვითმარქვია გაიდარების დინასტიას. მოგვიანებით თემურს შეეძინა ვაჟი — ეგორი, რომელიც თავისთავად გაიდარად ჩაიწერა; ეგორმა თავი ისახელა „დემოკრატიული“ რეფორმებით, რომლებმაც ლამის დაასამარა რუსეთის ეკონომიკა. ეგორ თემურის ძეს გაუჩნდა გოგონა — მარია, რომელსაც, ასევე, საერთო არაფერი აქვს არკადი გაიდართან. აღსანიშნავია, რომ მაშა 22 წლამდე სმირნოვას გვარს ატარებდა ბანალური მიზეზის გამო — ეგორმა დედამისი მიატოვა, როცა ამჟამინდელი ვიცეგუბერნატორი მხოლოდ სამი წლის იყო. **მაშა გაიზარდა და ისევე, როგორც ბაბუამისი, მიხვდა, რომ განთქმული გვარით ცხოვრება უფრო სარფიანი იქნებოდა და ხელს შეუწყობდა მის პოლიტიკურ კარიერას; სმირნოვადან სწრაფად გარდაიქმნა გაიდარად და არც მოტყუებულა! მას რუსეთშიც არც ისე ურიგოდ მისდიოდა საქმეები — იყო კიროვის ოლქის ვიცეგუბერნატორი, სანამ ჯიპით არ გაიტანა 13 წლის გოგონა, რის გამოც იძულებული შეიქნა, სასწრაფოდ წასულიყო „სასწავლებლად“ აშშ-ში, როგორც ეს მიღებულია. მაშას დანაშაული კი მიაწერეს ტროლეიბუსის მძღოლ ქალს, მიუხედავად იმისა, ყველა მოწმე ამტკიცებდა, რომ ბავშვი იმსხვერპლა რუხი ფერის ჯიპმაო...**

ასე და ამგვარად, ამა წლის 17 ივლისს თვითმარქვია მარია გაიდარი გახდა სააკაშვილის ე. წ. მარჯვენა ხელი — ოდესის ოლქის ვიცეგუბერნატორი.

როგორი დასკვნის გაკეთება შეგვიძლია ამ „გაიდარების“ საოჯახო ისტორიაზე?

ვფიქრობ, ასეთის: **თუ, დავუშვათ, ვინმე გაბაშვილის მოღვაწეობა აზიანებს სახელმწიფოს და მის მოსახლეობას, უნდა შევიარაღდეთ გამადიდებელი შუშით და შევისწავლოთ მისი გენეალოგია. დარწმუნებული ვარ, აღმოვაჩენთ, რომ ეს გაბაშვილი სინამდვილეში არა თავადის, არამედ თბილისელი ვაჭრის — ავეტიკა ბოზარჯანცის პირდაპირი შთამომავალია.**

**გიორგი კორძაძე**

**მაშა გაიზარდა და ისევე, როგორც ბაბუამისი, მიხვდა, რომ განთქმული გვარით ცხოვრება უფრო სარფიანი იქნებოდა და ხელს შეუწყობდა მის პოლიტიკურ კარიერას; სმირნოვადან სწრაფად გარდაიქმნა გაიდარად და არც მოტყუებულა! მას რუსეთშიც არც ისე ურიგოდ მისდიოდა საქმეები — იყო კიროვის ოლქის ვიცეგუბერნატორი, სანამ ჯიპით არ გაიტანა 13 წლის გოგონა, რის გამოც იძულებული შეიქნა, სასწრაფოდ წასულიყო „სასწავლებლად“ აშშ-ში, როგორც ეს მიღებულია. მაშას დანაშაული კი მიაწერეს ტროლეიბუსის მძღოლ ქალს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მოწმე ამტკიცებდა, ბავშვი იმსხვერპლა რუხი ფერის ჯიპმაო...**

---

**◀ მედიის თანამშრომელთა უმეტესობა პაკისტანსა და სირიაში მოკლეს — 14 და 12 შესაბამისად, ავღანეთსა და პალესტინაში, ორივეგან — 9-9.**

ექსპერტების გამოთვლით, შარშანდელი ნოემბრისთვის უკრაინა ლიდერობდა გატაცებული და დაპატიმრებული ჟურნალისტების რაოდენობით.

ამ ვითარებაში ბუნებრივად დგება მასმედიაში დასაქმებულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი.

რუსეთის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარემ **ვსევოლოდ ბობროვმა** აღიარა, რომ ეს პრობლემა, ანუ საშიშროება, რომელიც ჟურნალისტს ცხელ წერტილში მივლინებისას ემუქრება, სამწუხაროდ, დამსაქმებლებს მაინცდამაინც არ აწუხებთ, ამიტომ ამ საკითხს განსახილველად უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დააყენებენ.

„სექტემბერში, როცა სახელმწიფო სათათბირო არდადეგების შემდეგ განაახლებს საქმიანობას, ჩვენ აუცილებლად დავუბრუნდებით ამ საკითხს, — განაცხადა მან, — ვილაპარაკებთ ხელშეკრულებაზე, რომელიც აუცილებლად უნდა დაიდოს ჟურნალისტსა და დამსაქმებელს შორის კორესპონდენტის ცხელ წერტილში მივლინების წინ... ყველაფერს გავაკეთებთ ჟურნალისტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“.

„საშინელმა აგვისტომ“, როგორც მას სამხედრო ჟურნალისტმა **ევგენი პოდდუბნიმ** უწოდა, ეს პრობლემა, როგორც იქნა, მკვდარი წერტილიდან დაძრა.

**„რუსსკაია ვესნას“ მიხედვით**

---

## კობა ხარშილაძე: ზურაბ ჟვანიამ სექსუალური კავშირი შემომთავაზა

**„ზურაბ ჟვანიას ორიენტაციის შესახებ, დიდი ხანია, ვიცოდი და მისგან შეთავაზებაც მქონდა, — განაცხადა ჟვანიას საქმეზე ბრალდებულმა კობა ხარშილაძემ 11აგვისტოს ბრალდებულის სტატუსით დაკითხვისას.**

როგორც ხარშილაძემ აღნიშნა, ამ შეთავაზების შემდეგ სამსახურიდან იმ მოტივით არ წამოვიდა, რომ ზურაბ ჟვანიას მასზე ბევრი ამაგი ჰქონდა.

კობა ხარშილაძეს ადვოკატმა ჰკითხა, თუკი ასეთი შეთავაზება იყო ჟვანიას მხრიდან, რატომ დარჩა დაცვის სამსახურში?

„18 წლის გლდანელი ბიჭი ვიყავი. ზურამ მითხრა, იმედია, არ შეგაშინეო და სისულელეს არ იზამო. ორი-სამი დღის შემდეგ კვლავ მკითხა, შევიცვალე თუ არა აზრი და ვუთხარი, რომ არ შემიცვლია“, – განაცხადა კობა ხარშილაძემ.

მისი თქმით, ამ პერიოდში პოლიციის აკადემიაში ჩაბარება სურდა, თუმცა ვერ მოახერხა და შემდეგ ზურაბ ჟვანიამ აკადემიის ხელმძღვანელობასთან დარეკა, რის შემდეგაც ის პოლიციის აკადემიაში ჩაირიცხა. სწორედ აქედან გამომდინარე, ხარშილაძე აცხადებს, რომ გარკვეულ პასუხისმგებლობას გრძნობდა და სამსახურიდან ვერ წამოვიდოდა.



როგორც კობა ხარშილაძემ აღნიშნა, ახალი გამოძიების პირობებში სურდათ, რომ მას ჩვენება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიეცა, მაგრამ ამას ვერ გააკეთებდა. მისივე თქმით, ზურაბ ჟვანია კონსპირაციულ შეხვედრებზე ხშირად დადიოდა, ნაწილი საქმიანი იყო, ნაწილი კი — პირადი. დაცვის წარმომადგენლები კონსპირაციული ბინის სადარბაზოსთან არ ჩერდებოდნენ, რათა მეზობლები არ დაეეჭვებინათ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დაახლოებით 200 მილიონი ქრისტიანი მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში ამა თუ იმ დოზით დისკრიმინაციას ან ღია დევნას განიცდის. ეს, დაახლოებით, ყოველი მეათე ქრისტიანია, რადგან ახლა მსოფლიოში ქრისტიანთა საერთო რაოდენობა 2,2 მილიარდს შეადგენს.**

# სიკვდილი რწმენისთვის: მსოფლიოში მილიონობით ქრისტიანს დევნიან

**დღითიდღე მსოფლიოში ქრისტიანების დევნა სულ უფრო მასშტაბური ხდება. მას, ძირითადად, ისლამური ექსტრემიზმი და რეპრესიული ხელისუფლებების ქმედებები ასაზრდოებს. რომის პაპი ერთგვარ „გენოციდის ფორმაზე“ მიანიშნებს, აქტივისტები კი „რელიგიურ-ეთნიკურ წმენდაზე“ ალაპარაკდნენ. ახლო აღმოსავლეთში, აფრიკაში, საჰარის სამხრეთით, აზიასა და ლათინურ ამერიკაში ქრისტიანების მასშტაბური დევნა სერიოზულ მღელვარებას იწვევს იმ ორგანიზაციებში, რომლებიც თვალს ადევნებენ რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი თავდასხმების სტატისტიკას. ამგვარი ორგანიზაციების უმეტესობა იტყობინება, რომ ამ რამდენიმე წლის მანძილზე მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა.**



ლათინურ ამერიკაში ბოლო სტუმრობისას პაპმა ფრანცისკმა აღიარა, რომ უკიდურესად დამწუხრებული იყო იმის ხილვით, „თუ როგორ იდევნებიან, ეწამებიან და კვდებიან იესო ქრისტეს მიმართ რწმენის გამო ჩვენი დები და ძმები“, „ამ მესამე მსოფლიო ომში, რომლის მომსწრენიც ახლა ვართ, სახეზეა გენოციდის ერთ-ერთი ფორმა და აუცილებელია, ამას ბოლო მოეღოს“.

რელიგიური თავისუფლების მხარდამჭერის, ლორდ დევიდ ალთონის განცხადებით, „ზოგიერთი შეფასების თანახმად, **დაახლოებით 200 მილიონი ქრისტიანი მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში ამა თუ იმ დოზით დისკრიმინაციას ან ღია დევნას განიცდის“. ეს, დაახლოებით, ყოველი მეათე ქრისტიანია, რადგან ახლა მსოფლიოში ქრისტიანთა საერთო რაოდენობა 2,2 მილიარდს შეადგენს.** ქრისტიანობა აქამდე რჩება მსოფლიო რელიგიად, რომელიც, მიმდევართა რაოდენობის მიხედვით, მსოფლიოში პირველ ადგილზეა.

დევნას სხვადასხვა ფორმა აქვს — მკვლელობებით, გაუპატიურებებითა და წამებებით დაწყებული რეპრესიულ კანონებამდე, დისკრიმინაციამდე და სოციალურ იზოლაციამდე.

ბოლო 15 თვის განმავლობაში ქრისტიანებზე ღია თავდასხმების რაოდენობის ზრდა ადასტურებს ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში ისლამისტი ექსტრემისტების გააქტიურებას. ამ თავდასხმებს მიეკუთვნება:

* 270-ზე მეტი ნიგერიელი მოსწავლე გოგონას გატაცება;
* ლიბიაში 21 კოპტი ქრისტიანის სიკვდილით დასჯა, ასევე, ელისის ბოევიკების შეტევები ერაყსა და სირიაში;
* 147 ადამიანის მკვლელობა უნივერსიტეტის კამპუსში კენიის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ გარისაში.

გარდა ამისა, სუდანში ორსულ ქალს — მერიამ იბრაჰიმს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს ისლამისგან სავარაუდო განდგომის გამო. ამ ინცინდენტმა მთელ მსოფლიოში პროტესტების პროვოცირება განაპირობა და მოგვიანებით ქალს ნება დართეს, დაეტოვებინა ქვეყანა.

მაგრამ, დამოუკიდებელი დამკვირვებლების თქმით, ქრისტიანების დევნა ამგვარი რეზონანსული შემთხვევებით არ შემოიფარგლება. კვლევითი ცენტრი Pew-ის მონაცემებით, **ქრისტიანები შევიწროებულნი არიან მსოფლიოს 102 ქვეყანაში უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერი სხვა რელიგიის მიმდევარნი.**

ორგანიზაცია ACN-ის მიერ მსოფლიოში რელიგიური თავისუფლების შესახებ მომზადებული მოხსენების თანახმად, ქრისტიანთა ცხოვრების პირობები გაუარესდა მსოფლიოს 55 ქვეყანაში — პირველ რიგში: ერაყში, ლიბიაში, ნიგერიაში, პაკისტანში, სუდანსა და სირიაში. როგორც ანგარიშშია ნათქვამი, მუსლიმანებსაც სასტიკად დევნიან, ებრაული საზოგადოებაც ძალადობისა და მუქარის ზრდას განიცდის, მაგრამ ქრისტიანები მაინც ყველაზე დევნილ რელიგიურ ჯგუფად რჩებიან.

## 2014 წლის ნოემბრამდე 12 თვის განმავლობაში რელიგიური კუთვნილების ნიადაგზე მომხდარ შეტაკებებში 4 344 ქრისტიანი დაიღუპა და 1 062 ეკლესიას დაესხნენ თავს



ქრისტიანების დევნის შესახებ მონაცემების შეგროვებით დაკავებული საერთაშორისო ორგანიზაცია Open Doors-ის შეფასებით, **2014 წლის ნოემბრამდე 12 თვის განმავლობაში რელიგიური კუთვნილების ნიადაგზე მომხდარ შეტაკებებში 4 344 ქრისტიანი დაიღუპა და 1 062 ეკლესიას დაესხნენ თავს.** ამ ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, შარშან დევნის დონის მატება აღინიშნა 24 ქვეყანაში, ხოლო კენია, სუდანი, ერითრია და ნიგერია იმ ქვეყნების პირველ ათეულში შევიდნენ, რომელთაც ყველაზე უარესი მაჩვენებლები აქვთ. ბოლო 13 წლის განმავლობაში ამ სიას სათავეში ედგა ჩრდილოეთ კორეა, სადაც გულაგებში 70 ათასამდე ქრისტიანია გამომწყვდეული, ათიათასობით გააძევეს, დააპატიმრეს, აწამეს ან მოკლეს.

საერთო ჯამში ქრისტიანების დევნის მასშტაბები იზრდება და „ზრდის სიჩქარეც მატულობს“, როგორც გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიაში ორგანიზაცია Open Doors-ის განყოფილების ხელმძღვანელი ლიზა პირსი ამბობს. მისი განცხადებით, დევნის ხასიათიც იცვლება: „ადრე მათ ბანაკებში რამდენიმე წლით იძულებით სამუშაოებზე აგზავნიდნენ. ახლა ქრისტიანული რწმენა, შესაძლოა, თავის მოკვეთის გზით სიკვდილით დასჯის საბაბად იქცეს“.

როგორც აქტივისტები და ეკლესიის ლიდერები ირწმუნებიან, ქრისტიანების დევნის მასშტაბების ზრდის საფუძველში დევს ისლამური ექსტრემიზმი. ისინი მიანიშნებენ ისეთ შეიარაღებულ დაჯგუფებებზე, როგორიცაა „ისლამური სახელმწიფო“, „ბოკო ჰარამი“ და „ალ-შაბაბი“. USCIRF-ის 2015 წლის ყოველწლიურ მოხსენებაში ნათქვამია, რომ „21-ე საუკუნეში რელიგიის ან რწმენის თავისუფლებისთვის ერთ-ერთ მთავარ საფრთხეს წარმოადგენს არასახელმწიფოებრივი სუბიექტების ქმედებები დასუსტებულ და ქმედუუნარო სახელმწიფოებში“.

აღმოსავლეთ ინგლისის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა პროფესორი ლი მარსდენი, რომელიც რელიგიასა და უსაფრთხოებაზე სპეციალიზდება, მიიჩნევს, რომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა არაბული გაზაფხულის მსვლელობისას ავტორიტარული რეჟიმების დამხობა ახლო აღმოსავლეთში. „მათ ბევრი ნაკლოვანება ჰქონდათ, მაგრამ ისინი იცავდნენ რელიგიურ უმცირესობებს. გაანადგურეთ ისინი და უმცირესობებზე ნადირობის სეზონი გაიხსნება — ეს იქცა ამ მმართველთა დამხობის ერთ-ერთ გაუთვალისწინებელ შედეგად. არაბულ გაზაფხულში ინიციატივა ისლამისტებმა აიღეს ხელთ, რაც განსაკუთრებულად ცუდია რელიგიური უმცირესობებისთვის“.

ზოგიერთი აქტივისტი და საეკლესიო ლიდერი მიიჩნევს, რომ რელიგიური დევნა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ცივილიზაციათა თანამედროვე შეტაკება, როგორც ტიტანური შერკინება ისლამსა და ქრისტიანობას შორის, რადგან ამ შემთხვევაში არსებობს უდიდესი რისკი, რომ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა შორის საბოლოო განხეთქილების პროვოცირება მოხდეს.

**ქრისტიანთა დევნა ხორციელება პლანეტის ყველაზე მოულოდნელ ადგილებში. 2014 წელს ხუთი კათოლიკე მღვდელი მოკლეს მექსიკაში, რამაც ვატიკანი აიძულა, მექსიკა ლათინურ ამერიკაში კათოლიკეთათვის ყველაზე სახიფათო ქვეყნად** ▶

---

მოკლედ



## რუსმა ჰაკერებმა პენტაგონის ელექტრონული ფოსტა გატეხეს

**რუსმა ჰაკერებმა რთულად ორგანიზებული კიბერშეტევა განახორციელეს პენტაგონის სისტემურ კომპიუტერებზე.** როგორც NBC News იტყობინება, ჰაკერების მიზანი გენერალური შტაბის ელექტრონული ფოსტის გატეხვა იყო. კიბერშეტევა 25 ივლისს დაიწყო და 4 000 სამხედრო და სამოქალაქო თანამშრომელს შეეხო ამერიკის გაერთიანებული კომიტეტის მეთაურთა შტაბიდან. მას შემდეგ, რაც უსაფრთხოების სისტემამ საეჭვო აქტივობა შენიშნა, საფოსტო მომსახურება ავტომატურ რეჟიმში დაიბლოკა. როგორც სამხედროები აცხადებენ, საიდუმლო ინფორმაცია არ გამქრალა. ჰაკერებმა მხოლოდ არასაიდუმლო წერილების გატეხვა შეძლეს. მიუხედავად ამისა, რუსი ჰაკერების მიერ ამერიკაში პენტაგონის კომპიუტერული ქსელის გატეხვამ სერიოზული ვნებათაღელა გამოიწვია.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2013 წელს ამერიკელმა ექიმებმა ამერიკელებს 519 მილიონი რეცეპტი გამოუწერეს ფსიქოზური წამლებისთვის და 166 მილიონი რეცეპტი — ნერვული სისტემის დაავადებების, მათ შორის დეპრესიის, სამკურნალოდ.**

◀ **დაესახელებინა.** გავლენიანი კრიმინალური დაჯგუფებები ეკლესიებს გამოძალვისა და ფულის გათეთრების სამიზნეებად მიიჩნევენ, ზოგიერთ მღვდელს კი საკუთარი გავლენის გაფართოებისკენ მიმავალ გზაზე დაბრკოლებად აღიქვამენ. ადგილობრივი ორგანიზაციების ინფორმაციით, 2012-დან 2014 წლამდე მექსიკაში მღვდელმსახურებზე თავდასხმა 80%-ით გაიზარდა.

2015 წლის 2 აპრილს კენიის ქალაქ გარისაში გასამხედროებული ისლამური დაჯგუფება „ალ-შაბაბის“ ბოევიკები უნივერსიტეტს დაესხნენ თავს, შედეგად 147 ადამიანი მოკლეს, 79 კი — დაიჭრა. ბოევიკები ათავისუფლებდნენ მუსლიმანებს და ხვრეტდნენ იმ სტუდენტებს, რომლებმაც საკუთარ თავს ქრისტიანები უწოდეს. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი აიძულებდნენ სტუდენტებს, დაერეკათ მშობლებთან და ესაუბრათ მათთან პირდაპირ ანგარიშსწორების მომენტში. ბოევიკებს საუნივერსიტეტო კოლეჯი დაახლოებით 15 საათის განმავლობაში ეკავათ, მთელი ამ დროის განმავლობაში 700-მდე სტუდენტი მათი მძევალი იყო. ბლოკადა დამთავრდა მაშინ, როდესაც პოლიციელებმა ოთხი ბოევიკი მოკლეს. მეხუთე ტერორისტმა მოახერხა და მოქმედებაში მოიყვანა თვითმკვლელი ტერორისტის ქამარი, რომელიც ეკეთა, შედეგად თავად დაიღუპა, კენიის სპეცსამსახურის რამდენიმე თანამშრომელი კი დაიჭრა. 1998 წელს, ამერიკის საელჩოზე თავდასხმის შემდეგ, კენიაში ეს ყველაზე სისხლიანი ტერაქტი იყო.

სუდანში ქრისტიან მერიამ იბრაჰიმს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს მრუშობისა და რწმენისგან განდგომის გამო, რადგან იგი ცოლად გაჰყვა ქრისტიანს, რომლისგანაც შვილი ჰყავდა. იბრაჰიმის დედა, რომელიც ქრისტიანი იყო, ქალიშვილს ქრისტიანული რწმენით ზრდიდა მას შემდეგ, რაც მუსლიმანი მამა ოჯახიდან წავიდა. მაშინ გოგონა ჯერ კიდევ პატარა იყო. სუდანის სასამართლომ დაადგინა, რომ მერიამი მამის რწმენას უნდა მიჰყოლოდა, რწმენას, რომელიც არ მისცემდა უფლებას, ქრისტიანზე გათხოვილიყო და დამნაშავედ აღიარა რწმენისგან განდგომის გამო. იბრაჰიმი დააპატიმრეს, როდესაც ორსულობის მერვე თვეში იყო და სუდანის ციხეში ჩასვეს თავის პირველ მცირეწლოვან შვილთან ერთად, რომელიც ჯერ ორი წლისაც არ იყო. იქ ელოდა მერიამი სიკვდილით დასჯას ჩამოხრჩობით, განაჩენს მეორე შვილის დაბადებისთანავე მოიყვანდნენ სისრულეში. ციხეში ყოფნისას ქალს უარს ეუბნებოდნენ სამედიცინო დახმარებაზე, ხოლო როდესაც მშობიარობა დაეწყო, ციხის პერსონალმა საავადმყოფოში გადაყვანაზეც უარი უთხრა. ბორკილებდადებულმა მან პირდაპირ ციხეში შობა გოგონა. მას შემდეგ, რაც იბრაჰიმის დასაცავად საერთაშორისო საზოგადოება გამოვიდა, იგი სუდანის სააპელაციო სასამართლოს დადგენილების საფუძველზე ციხიდან გაათავისუფლეს, მაგრამ მეორე დღესვე, როდესაც მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად თვითმფრინავში ადიოდა, კვლავ დააპატიმრეს. დაძაბული დიპლომატიური მოლაპარაკებების შემდეგ ოჯახს ქვეყნიდან გამგზავრების ნება დართეს და ახლა ისინი აშშ-ში ცხოვრობენ.

სადამ ჰუსეინის რეჟიმის დაცემის მომენტიდან ერაყის ქრისტიანი მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა — დევნის მასშტაბების გაზრდის გამო ბევრი ქვეყნიდან გაიქცა. ქრისტიანები, ასევე სხვა უმცირესობებიც, „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკების მსხვერპლნი გახდნენ ერაყისა და სირიის მრავალ რაიონში, რომლებსაც ისინი აკონტროლებენ. ზოგიერთი მონაცემის თანახმად, 2014 წელს, „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნის გამო, 100 ათას ადამიანზე მეტი, რომელთაგან მრავალი ქრისტიანია, კარაკოშში, მოსულისა და ნინევიის დაბლობზე გაიქცა. ისლამისტი ექსტრემისტები ქრისტიანებს აიძულებენ, არჩევანი გააკეთონ ისლამზე გადასვლას, უზარმაზარ გადასახადებსა და სიკვდილს შორის. 2015 წლის თებერვალში „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა გამოაქვეყნეს ვიდეორგოლი, რომელზეც ასახულია, თუ როგორ მოჰკვეთეს თავი 21 კოპტ ქრისტიანს ლიბიის ერთ-ერთ პლაჟზე. ორი თვის შემდეგ ქსელში გაჩნდა მეორე ვიდეო, რომელშიც „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა თავი მოკვეთეს და დახვრიტეს 30 ეთიოპიელი ქრისტიანი.

2014 წლის 14 აპრილს „ბოკო ჰარამის“ ბოევიკების ჯგუფი თავს დაესხა სკოლას ნიგერიის ქრისტიანულ სოფელ ჩიბოკში. მათ გაიტაცეს გოგონები, რომლებიც სკოლაში ბოლო გამოცდის ჩასაბარებლად იყვნენ. სხვადასხვა მონაცემით, გატაცებულთა რაოდენობა 276-დან 329-მდე იყო. რამდენიმე კვირის შემდეგ 53-მა გოგონამ გაქცევა მოახერხა. დანარჩენი მოსწავლეები „ბოკო ჰარამის“ გამაგრებულ ადგილას გადაიყვანეს, მათი ოჯახებისა და ნიგერიის ხელისუფლების მხრიდან მათი გათავისუფლების მცდელობები წარმატებით არ დაგვირგვინებულა. გატაცებიდან ერთი თვის შემდეგ „ბოკო ჰარამის“ ბოევიკებმა გაავრცელეს ვიდეო, რომელზეც 130 გატაცებული გოგონა მუსლიმანურ სამოსში იყო. ზოგიერთი მონაცემით, მათ სექსუალურ მონებად ამყოფებენ და აიძულებენ, ისლამი მიიღონ.

**The Guardian**

# ამერიკული მედიცინა — არაფერი პირადი, მხოლოდ ბიზნესი



**ამერიკული სამეცნიერო ჟურნალი ACS Chemical Neuroscience, რომელსაც ამერიკელ მეცნიერ-ქიმიკოსების საზოგადოება გამოსცემს, მუდმივად აქვეყნებს ანგარიშებს იმ რეცეპტების რაოდენობაზე, რომელთაც მთელი მსოფლიოს ექიმები წერენ, ასევე იმ თანხებზე, რომლებსაც კაცობრიობა ხარჯავს წამლებზე. ამ ანგარიშებში მოყვანილი ციფრები ყოველგვარ ზღვარს სცდება.**



2012 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობამ 313 მილიონ ადამიანს მიაღწია, მათთვის ამერიკის ექიმებმა იმ წელს 4 მილიარდზე მეტი რეცეპტი გამოწერეს, ანუ აშშ-ის ყველა მოქალაქეს თვეში ერთი რეცეპტი ერგო და პლუს კიდევ ერთიც საპრიზო. ამ რეცეპტებით წამლების შესაძენად ამერიკელებმა 325,8 მილიარდი დოლარი დახარჯეს.

ეს ბევრია თუ ცოტა?

2012 წელს ყოველმა ამერიკელმა აბებზე 1040 დოლარი დახარჯა (313 მილიონი ამერიკელი — აბებზე დახარჯული 325,8 მილიარდი დოლარი), საშუალო დედამიწელმა ადამიანმა კი — 12 ცენტი (დედამიწის 6,7 მილიარდმა მკვიდრმა 856,1 მილიარდი დოლარის აბები შეიძინა).

გასაგებია, რომ აშშ-ში წამლები უფრო ძვირია, ვიდრე ინდოეთში, მაგრამ თვეში ერთი რეცეპტი ყველა ამერიკელისთვის, ეს უკვე მეტისმეტია. როდესაც ირკვევა, თუ რა დაავადებები დგას ამერიკული ტოპ-სიების სათავეში, კიდევ უფრო მეტი კითხვა ჩნდება.

ტოპ-5 ძირითადი წამალი მსოფლიოში და მათ შესაძენად დახარჯული მილიარდობით დოლარი:

1. სიმსივნის — 61,6;
2. ტკივილგამაყუჩებელი — 56,1;
3. ჰიპოტენზიური — 51,6;
4. დიაბეტის — 42,4;
5. ფსიქიკური აშლილობების — 41,6.

ტოპ-5 ძირითადი წამალი ამერიკის შეერთებულ შტატებში და მათ შესაძენად დახარჯული მილიარდობით დოლარი:

1. სიმსივნის — 25,9;
2. ფსიქიკური აშლილობების — 23,5 (მსოფლიოს დანახარჯების 56%);
3. რესპირატორული დაავადებების — 22,1;
4. დიაბეტის — 22,0;
5. ტკივილგამაყუჩებელი — 18,2.

ყურადღება გავამახვილოთ ერთ პრეპარატზე.

2012 წელს მსოფლიოში 7 მილიარდი დოლარის ღირებულების პრეპარატი აბილიფაი გაიყიდა, აშშ-ში — 5,9 მილიარდის. 2013 წელს მსოფლიომ ამ წამალზე 7,83 მილიარდი დახარჯა, ამერიკელებმა — 6,5, ხოლო მომდევნო წელს ეს მაჩვენებლები, შესაბამისად, 9,2 და 7,8 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

**აბილიფაი არის პრეპარატი, რომელსაც ექიმები პაციენტებს უნიშნავენ შიზოფრენიის მწვავე შემოტევებისა და ბიპოლარული აშლილობის მანიაკალური ეპიზოდების დროს სამკურნალო პრეპარატისა და მხარდამჭერი თერაპიის სახით.** ამ წამალზე დახარჯული თანხების დონე შეგზარავს, როდესაც გაიხსენებ, რომ ამერიკის მოსახლეობა მთელი მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ ერთ მეოცედ ნაწილს შეადგენს. ამას თუ დავუმატებთ კიდევ ერთ ფაქტს, რომლის თანახმადაც 2013 წელს აშშ-ში, გაყიდვების მხრივ, მეხუთე ადგილზე ანტიდეპრესანტი სიმბალტა გავიდა (5,3 მილიარდი დოლარი), ოკეანის გაღმა თუნდაც ტურისტის რანგში გამგზავრების ყველანაირი სურვილი გაქრება.



**2013 წელს ამერიკელმა ექიმებმა ამერიკელებს 519 მილიონი რეცეპტი გამოუწერეს ფსიქოზური წამლებისთვის და 166 მილიონი რეცეპტი — ნერვული სისტემის დაავადებების, მათ შორის დეპრესიის, სამკურნალოდ.** იმ წელს ქვეყნის მოსახლეობა შეადგენდა 317 მილიონ ადამიანს, მაგრამ სტატისტიკა არ აზუსტებს, თუ რა რაოდენობის რეცეპტი იქნა გამოწერილი თითოეული ავადმყოფისთვის, ამიტომ იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებმაც ექიმებს მიმართეს ფსიქიკური აშლილობების გამო, შეიძლება მხოლოდ გამოვიცნოთ.

**არსებობს დიდი ხნის ცრურწმენა, რომ ამერიკა არის საუკეთესო მედიცინის ქვეყანა, მაგრამ ასევე არსებობს მონაცემები, რომლებიც ადასტურებს, რომ ეს ასე არ არის.**

2000 წლის ივლისში დოქტორმა ბარბარა სტარფილმა შეძრა ამერიკის სამედიცინო საზოგადოება, წარადგინა რა კვლევის შედეგები, რომელშიც აღნიშნულია, რომ:

ყოველწლიურად აშშ-ში რეგისტრირდება 12 000 სიკვდილი გეგმური ოპერაციების დროს;

*** 7 000 ადამიანი ჰოსპიტალებში ექიმების მიერ დაშვებული შეცდომების გამო კვდება;**

*** 20 000 ადამიანი აშშ-ის საავადმყოფოებში სხვა შეცდომების გამო კვდება;**

*** 80 000 ადამიანი კვდება საავადმყოფოში შეტანილი ინფექციების გამო;**

*** 106 000 ადამიანი კვდება იმ აბების გამო, რომლებიც აპრობირებულია საკვები პროდუქტებისა და სამედიცინო პრეპარატების სანიტარული კონტროლის ფედერალური სამმართველოს (FDA) მიერ.**

**საერთო ჯამში, ჩამოთვლილი მიზეზებით აშშ-ში წელიწადში 225 000 ადამიანი კვდება.**

ამ მონაცემების გამოქვეყნებიდან 15 წელი გავიდა და რაიმე შეიცვალა? არა.

2014 წლის 9 თებერვალს „ვორდპრესზე“ საკუთარ ბლოგში ჯონ რაპოპორტმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც წარმოადგინა ბარბარასთან ინტერვიუ. დოქტორმა სტარფილდმა განაცხადა, რომ აშშ-ის ხელისუფლება დამოკიდებულია ფარმაცევტული კომპანიებისა და მედიცინის ინდუსტრიის კორპორატიულ ინტერესებზე — ამ უკანასკნელთ დიდი წვლილი შეაქვთ საარჩევნო კამპანიებში. FDA-ს კი უარის თქმა არ შეუძლია საკუთარი ანგარებიანი ინტერესების გამო და ამიტომ წარმოებაში უშვებს ჯანმრთელობისთვის სახიფათო წამლებს.

**cont.ws**

## «ისლამურმა სახელმწიფომ» 19 ქალი სიკვდილით დასაჯა

**ექსტრემისტული ორგანიზაცია „ისლამურმა სახელმწიფოს“ ბოევიკებმა 19 ქალი სიკვდილით დასაჯეს, რადგან მათ უარი განაცხადეს ეგრეთ წოდებულ სექსჯიჰადში მონაწილეობის მიღებაზე.** სასჯელი ერაყის სამხრეთით მდებარე ქალაქ მოსულიში აღსრულდა. მედიაში აქამდეც გავრცელდა ცნობები, რომ „ისლამურმა სახელმწიფო“ სექსმონობის მასშტაბური ვაჭრობით იყო დაკავებული. გავრცელდა ფასების ჩამონათვალიც. ეს ინფორმაცია გაეროს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელმა სექსუალური ძალადობის საკითხში — ზეინაბ ბანგურამ გაახმაურა. „გოგონებით ისევე ვაჭრობენ, როგორ ნავთობით. ნებისმიერი გოგონას ყიდვა და გაყიდვა შეუძლია ხუთ-ექვს მამაკაცს. ხანდახან ბოევიკები გოგონას საკუთარ ოჯახზე ყიდიან ათას დოლარად“, — განაცხადა ბანგურამ. გოგონებს, რომლებიც ერთიდან ცხრა წლამდე ასაკის არიან, ტერორისტებმა საშუალოდ 165 დოლარი დაადეს ფასი, 16 წლამდე მოზარდები 124 დოლარი ღირს, ხოლო 20 წელს ზევით გოგონები 40 დოლარად არიან შეფასებულნი.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკულ-ბრიტანულ-ნაცისტური მსოფლიო წესრიგისთვის პროპაგანდისტული ომის შემადგენელი იყო რადიო „თავისუფალი ევროპა“ და რადიო „თავისუფლება“ — ორივე დაკომპლექტებული იყო ყოფილი ნაცისტებით და ორივეს ცსს აფინანსებდა.**

# ნატოს ნაცისტური ფესვები

**არსებობს დოკუმენტები, თუ როგორ დააფინანსა ბრიტანულ-ამერიკულმა ელიტამ ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლა. მესამე რეიხის წინააღმდეგ თავდაცვითი ძალისხმევის გაზრდა მან მხოლოდ მაშინ დაიწყო, როდესაც რეიხის ძალები დასავლეთისკენ შეტრიალდნენ. ბრიტანეთში ელიტის წარმომადგენლები მემარჯვენე კლუბიდან ხშირად ხელისუფლების უხილავი თანხმობით, საიდუმლოდ უჭერდნენ მხარს ებრაელების, კომუნისტებისა და სოციალისტების წინააღმდეგ ჰიტლერის ქმედებებს.**



**დასავლეთის წამყვანი ფინანსისტები ჰიტლერის ბანაკში იყვნენ და მისი სამხედრო მშენებლობის ფინანსურ უზრუნველყოფაზე მუშობდნენ. ოღონდ როდესაც ჰიტლერმა მათ უღალატა, თავს დაესხა რა ინგლისს, მოკავშირეები გაერთიანდნენ ნაცისტური ძალების დამარცხების მიზნით**

ჰერცოგი ველინგტონი სახელგანთქმული ანტისემიტი და მემარჯვენე კლუბის წევრი იყო. „მოღალატე მეფის“ სახელით ცნობილი ედუარდ VIII ადოლფ ჰიტლერის ახლო მეგობარი გახლდათ და იძულებით თქვა უარი ტახტზე, როცა გამოაშკარავდა, რომ ის ბრიტანელი სამხედროების ოპერაციების შესახებ დოკუმენტაციას ნაცისტებს გადასცემდა.

ეჭვგარეშეა, რომ **დასავლეთის წამყვანი ფინანსისტები ჰიტლერის ბანაკში იყვნენ და მისი სამხედრო მშენებლობის ფინანსურ უზრუნველყოფაზე მუშობდნენ. ოღონდ როდესაც ჰიტლერმა მათ უღალატა, თავს დაესხა რა ინგლისს, მოკავშირეები გაერთიანდნენ ნაცისტური ძალების დამარცხების მიზნით.** ამგვარი მცდელობის შედეგად ფორმირებულ იქნა დასავლური სახელმწიფოებისა და საბჭოთა კავშირის მანკიერი ალიანსი, რომელმაც მთავარი როლი შეასრულა ჰიტლერის ლეგიონებზე გამარჯვების საქმეში. ომის დამთავრებამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ბრიტანელებმა და ამერიკელებმა დაიწყეს ინტრიგების ხლართვა საბჭოელების წინააღმდეგ. ეს იყო 1918 წელს დასავლეთის მიერ ბოლშევიკების წინააღმდეგ ორგანიზებული შეჭრის „დეჟავუ“, შეჭრისა, რომელიც უდავოდ წარმოადგენს თანამედროვე ისტორიის ყველაზე უცნობ მოვლენას. ამისათვის აშშ-მა და ინგლისმა გადაარჩინეს ყველაზე ცნობილი ნაცისტი სამხედრო დამნაშავეები, რომელთაც იმავე სახელმწიფოების გამომძიებლები ეძებდნენ და შეიყვანეს ბრიტანული და ამერიკული ტერორის აპარატის შემადგენლობაში.

აი, რას წერს **მაიკლ მაკალინტონი:**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის შემდეგ ამერიკელმა ლიდერებმა აუცილებლად ჩათვალეს, უბრალოდ, ცნობისმოყვარეობის გამო, დაერღვიათ ახალი წესები, რომელთაც ხმამაღლა აქებდნენ. ამგვარი საქციელით ისინი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამო პასუხისმგებლობისაგან თავის დაძვრენის ახალ სისტემებს ქმნიდნენ, რომელთა შორის იყო ფარული ჩარევის უზარმაზარი მანქანა; ასევე, მიმართავდნენ ექსტრაორდინალურ ძალისხმევას, რათა შეექმნათ აშშ-ის ქმედებების საეთაშორისო სამართალთან შესაბამისობის ილუზია.

მაშინ, როცა დასავლეთი მეორე მსოფლიო ომში თავისი მოკავშირის წინააღმდეგ საიდუმლო ღონისძიებებს გეგმავდა, შექმნა ტერორისტული კლუბი — ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაცია, რომელიც ნატოს სახელითაა ცნობილი. ეს თითქმის თავიდან ბოლომდე ნაცისტური კომპანია იყო. მაგალითად, ნაცისტი გენერალი **რეინჰარდ გელენი**, რომელიც სათავეში ედგა ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობის რუსულ განყოფილებას და, ამასთანავე, იყო კონსულტანტი ებრაელთა საკითხის საბოლოო გადაწყვეტაში, საიდუმლოდ გადაიყვანეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მას უნდა გადაეცა თავისი უზარმაზარი საგანძური — საბჭოთა კავშირის შესახებ წინასწარ დამალული დოკუმენტები, ხოლო შემდეგ უნდა ჩამოეყალიბებინა რუსული განყოფილება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსთვის.

ამის შემდეგ გელენი დაბრუნდა ომისშემდგომ გერმანიაში, სადაც სათავეში ჩაუყენეს ახალ გერმანულ საიდუმლო სადაზვერვო სამსახურს — BND-ს. სინამდვილეში ამ დროს ერთის ნაცვლად მუშაობდა რუსეთის, მინიმუმ, ორი განყოფილება და ორივეს ერთი და იგივე საბოლოო მიზანი ჰქონდა: გაენადგურებინა საბჭოთა კავშირი და კომუნიზმი.

როდესაც ცივმა ომმა ძალები მოიკრიბა, ათასობით თუ არა, ასობით ყოფილმა ნაცისტმა მაინც დაიწყო ახალი ცხოვრება აშშ-სთვის, ბრიტანეთისა და კანადისთვის მუშაობით. მასობრივი მკვლელობები პოლიტიკის ნაწილი გახდა და ეს პოლიტიკა შემუშავდა იმავე პატრონების ინტერესების შესაბამისად, რომლებმაც თავის დროზე მხარი დაუჭირეს ჰიტლერს თავის წამოწყებებში. ძველი ნაცისტების საკუთარ მოვალეობებთან დაბრუნებით გამართლებული იყო ყველა ბინძური საშუალება, რომელსაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ.

დასავლეთი გერმანია, რომელსაც ექსნაცისტები მართავდნენ, კონრად ადენაუერის მეთაურობით, 1954 წელს ნატოში შევიდა, გელენი კი ინარჩუნებდა კავშირებს თავის პრონაცისტურ კურატორ **ალენ დალესთან**, რომელიც ცსს-ს ხელმძღვანელი უნდა გამხდარიყო და რომელსაც ჰყავდა ძმა — სახელმწიფო მდივანი **ჯონ ფორესტი**. მალე ნატომ თავის ორგანიზციაში მაღალ თანამდებობებზე ძველი და გამოცდილი ნაცისტების დანიშვნა დაიწყო.

მაგალითად, 1957 წელს ცენტრალურ ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გახდა გენერალი **ჰანს შპაიდელი**. ნაცისტური წარსულის მქონე ადმირალი **ფრიდრიხ გუგენბერგერი** გახდა ვაშინგტონში ნატოს ძალზე მნიშვნელოვანი სამხედრო კომიტეტის წევრი, გენერალი **ადოლფ ჰოიზინგერი** კი (ერთ დროს გელენის უფროსი ჰიტლერისეულ ვერმახტის უმაღლეს მთავარსარდლობაში) ამ კომიტეტის თავმჯდომარე გახდა.

გელენმა მოახერხა, რამდენიმე ნაცისტი კოლაბორაციონისტი ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების (SHAPE) უმაღლესი მთავარსარდლის შტაბში მნიშვნელოვან თანამდებობაზე დაენიშნა. მათ შორის იყო პოლკოვნიკი **ჰენინგ შტრუმპელიც**, რომელიც ბრიტანელი გენერალ-მაიორის, SHAPE-ში დაზვერვის შტაბის უფროსის თანაშემწის — **ჩარლზ თრეივერის** მოადგილე გახდა. პოლკოვნიკი ჰაინც კოლერკრაუსი შპაიდელის AFCENT-ში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელად აქციეს. გელენის ხალხისგან სხვებიც მალე მოხვდნენ ნატოში და მომავალში მისი კურსი განსაზღვრეს.

**ნატოსა და ცსს-ში კარგად მოკალათებული ნაცისტების დახმარებით, რომლებიც გელენის ძველი ნაცისტური სადაზვერვო სამსახურის საქმეების გამგრძელებლები გახდნენ, „ახალი ველტ ორდნუნგი“ ბერლინის რეიხსტაგიდან პენტაგონსა და ლენგლიში გადასვეს.**

მხარი დაუჭირეს რა ანტისაბჭოთა სამხედრო გეგმებს, ამიერიდან დასავლეთის ყველა ომს მიეცემა რაღაც ილუზორული სახელწოდება, მაგალითად: „ომი დემოკრატიისთვის“, „ომი მშვიდობისთვის“, „ომი სამართლიანობისთვის“, „ჰუმანიტარული ომები“ და ასე დაუსრულებლად. კორპორაციების მიერ დაფინანსებულმა აშშ-ისა და კანადის მმართველმა წრეებმა ნაჩქარევად გადაიღეს სისტემის არსებითი ელემენტები.

**ამერიკულ-ბრიტანულ-ნაცისტური მსოფლიო წესრიგისთვის პროპაგანდისტული ომის შემადგენელი იყო რადიო „თავისუფალი ევროპა“ და რადიო „თავისუფლება“ — ორივე დაკომპლექტებული იყო ყოფილი ნაცისტებით და ორივეს ცსს აფინანსებდა.**

საბჭოთა კავშირის მიერ დაუნდობლად ჩახშობილი უნგრული ამბოხის მაპროვოცირებელ ცსს-სთან ერთად ამ ნაცისტმა მასობრივმა მკვლელებმა დააფუძნეს უნგრული განყოფილება, რომელიც უნგრეთში პრონაცისტულ იატაკქვეშა ელემენტებს იარაღითა და სხვა მხარდაჭერით უზრუნველყოფდა. ის უფრო პროპაგანდისტული არსის მატარებელი იყო და უნდა შეექმნა „ბოროტების იმპერიის“ სახე, რომელიც განადგურებას ექვემდებარება.

დოქტორი **ებერჰარტ ტაუბერტი** ნაციონალ-სოციალისტურ პარტიაში 1931 წელს გაწევრდა, მალევე დაწინაურდა შტურმფიურერის წოდებამდე და გებელსს გაჰყვა პროპაგანდის სამინისტროში. ომის შემდეგ ტაუბერტი გაძვრა სამხრეთ აფრიკაში, სადაც იოჰანესბურგის ხელისუფლებაში მყოფებმა და აპარტეიდის სისტემის პროექტირებით დაკავებულმა ნეონაცისტებმა კომფორტული პირობები შეუქმნეს. 1950 წელს იგი დაბრუნდა გერმანიაში და BND-ში მუშაობის დაწყებისას თავის ძველ ნაცისტ მეგობარს — რეინჰარდ გელენს შეხვდა.

გარდა ამისა, ნატო მჭიდროდ უკავშირდებოდა 80-იან წლებში „დაძაბულობის სტრატეგიის“ ფარგლებში იტალიაში ორგანიზებულ ტერორისტული აფეთქებების სერიასთან. ამ ყველაფრის მიზანი იყო ხელისუფლებაში ფაშისტური მემარჯვენე ფრთის მოყვანა და ამით ქვეყანაში „სტაბილურობის“ აღდგენა. ამ პროგრამამ თავისი მიზნებისათვის გამოიყენა უამრავი მემარჯვენე ტერორისტი, მაგალითად, **სტეფანო დელა კიაიე** „ახალი წესრიგიდან“ და სხვა შეშლილები, რომლებიც გელენის ნატოელ-ნაცისტი ტერორისტებისთვის დახმარებისას საზოგადოებრივ ადგილებში ბომბებს აწყობდნენ და ასობით ადამიანს კლავდნენ.

**ეს ადამიანები და მათი მიმდევრები ხელმძღვანელობდნენ ნატოს, რომელსაც ახლა თავი მოაქვს ჰუმანიზმის მცველად, სინამდვილეში კი ბარაკ ობამას, სტივ ჰარპერისა (კანადის პრემიერმინისტრი) და დასავლეთის მორჩილი სხვა ადგილობრივი მმართველების ძალისხმევით მსოფლიოში გვამებით მოფენილ გზებზე დადის.**

cont.ws

## საფრანგეთმა და რუსეთმა «მისტრალზე» შეთანხმებას მიაღწიეს



**საფრანგეთმა და რუსეთმა ავიამზიდ „მისტრალთან“ დაკავშირებით მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც საფრანგეთი რუსეთის მიერ გაწეულ ხარჯებს სრულად აანაზღაურებს.** საუბარია 840 მილიონ ევროზე, რომელიც რუსეთმა ფრანგულ მხარეს წინასწარ გადაუხადა. რუსეთს ორივე „მისტრალში“ 1,2 მილიარდი ევრო უნდა გადაეხადა. კრემლის განცხადებით, ამ შეთანხმებით ორ ქვეყანას შორის დავა გადაწყვეტილია. ასევე, კრემლში აცხადებენ, რომ საფრანგეთმა რუსეთს უკვე გადაურიცხა აღნიშნული თანხა. ფრანგული მხარე რუსეთს დაუბრუნებს ავიამზიდებზე განლაგებულ რუსულ ტექნიკას და ამის შემდეგ „მისტრალები“საფრანგეთის მფლობელობაში გადავა.

„აშშ-ის ყველა ქმედება ახლო აღმოსავლეთში — სირიაში, ერაყსა და ლიბიაში — უკანონოა. ახლა მათ ახალი გამართლება აქვთ — მათივე თქმით, „ისლამურ სახელმწიფოს“ ებრძვიან და ამ დაჯგუფებასთან მეომარი ზომიერი ოპოზიციის დაცვას აპირებენ. შეხედეთ ზომიერი ოპოზიციონერების რაოდენობას — სულ 60 ადამიანია“.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## The Guardian:

# გაეროში პუტინის მონაწილეობით «ტიტანების ბრძოლას» ელიან

**სექტემბრის დასასრულს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში „ტიტანების რიტორიკული ბრძოლა“ შედგება. გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, რომელიც ორგანიზაციის 70 წლის იუბილეს ემთხვევა, ერთსა და იმავე დღეს გამოვლენ აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, რუსეთის ლიდერი ვლადიმერ პუტინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე სი ძინ პინი, საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი და ირანის პრეზიდენტი ჰასან რუჰანი, — იტყობინება The Guardian-ი. მოსალოდნელია, რომ ლიდერებმა „წარმოადგინონ გეოპოლიტიკური პეიზაჟის საკუთარი ხედვა ძალზე არაპროგნოზირებადი ერის დასაწყისში“, — აღნიშნავს ბრიტანული გამოცემის კორესპონდენტი.**



მოვლენას „დამატებით პიკანტურობას შესძენს ის, რომ ვლადიმერ პუტინი ბოლო ათწლეულის განმავლობაში პირველად გამოჩნდება გენერალურ ასამბლეაზე, — ხაზგასმულია მასალაში. ამასთან, თუკი ადრე გაეროში სიმშვიდის მთავარი დამრღვევი ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ ახმადინეჯადი იყო, სექტემბერში „რიტორიკულ ფეიერვერკებს“, დიდი ალბათობით, ზუსტად რუსეთის პრეზიდენტი აანთებს. როგორც სტატიის ავტორი ვარაუდობს, მას „რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიასთან, უკრაინის აღმოსავლეთით კონფლიქტში რუსეთის შეიარაღებული ძალების როლთან და მალაიზიური „ბოინგის“ განადგურებასთან დაკავშირებით გაეროს მრავალი წევრისგან“ თავდაცვა მოუწევს.

როგორც The Guardian-თან ინტერვიუში ანალიტიკური ცენტრის „საერთაშორისო ურთიერთობათა ევროპული საბჭოს“ ექსპერტმა **რიჩარდ გოუენმა** განაცხადა, მთავარია, დაიწყებს თუ არა ვლადიმერ პუტინი „დიდი დიპლომატის, ირანის შეთანხმების მხარდამჭერის როლის თამაშს თუ სრულად და მთლიანად ანტიამერიკულ პოზიციას დაიკავებს“. „ობამასთვის კი იოლი არ იქნება თავისი ორი მთავარი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგის წინაშე გამოსვლა, — აღნიშნა ასევე გოუენმა. — თუკი იგი მიესალმება ირანის საკითხში თანამშრომლობას მათი მხრიდან, აშშ-ში მისი მემარჯვენე კრიტიკოსები იტყვიან, რომ ჩინეთისა და რუსეთის წინაშე სისუსტე გამოიჩინა. თუკი ის რაიმე მკაცრ განცხადებებს გააკეთებს უკრაინის მიმართ, როგორც მოიქცა გასულ წელს, ან სამხრეთ ჩინეთის ზღვის თაობაზე, პინი და პუტინი, დაიკავებენ რა ადგილს ტრიბუნასთან, შეძლებენ, ობამა დაპირისპირების გაღვივებაში დაადანაშაულონ“.

**მოვლენას დამატებით პიკანტურობას შესძენს ის, რომ ვლადიმერ პუტინი ბოლო ათწლეულის განმავლობაში პირველად გამოჩნდება გენერალურ ასამბლეაზე**

პოლიტიკური ფიგურების ესოდენ მძლავრი შემადგენლობა გაეროში ბოლოს ორგანიზაციის 60 წლის იუბილეზე, 2005 წელს, შეიკრიბა, — შეგვახსენებს The Guardian-ის კორესპონდენტი. მაშინ ორი წლით ადრე ერაყში შეჭრის გამო ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდნენ აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი. ჩინეთს მაშინ სი ძინპინის წინამორბედი ჰუ ძინტაო წარმოადგენდა, ხოლო საფრანგეთს — პრემიერმინისტრი დომინიკ დე ვილპენი. სხდომას ესწრებოდა ვლადიმერ პუტინიც. ახლა იგი მსოფლიო ლიდერთაგან ერთადერთია, ვინც ათი წლის წინათ დაესწრო ასამბლეას და დღემდე შეინარჩუნა ძალაუფლება, — ხაზს უსვამს ჟურნალისტი.

russian.rt.com

## პოლიტოლოგი:

# «ისლამური სახელმწიფო» ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის ქმედებების გამართლებად იქცა

**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სირიას პირველი ავიადარტყმა უპილოტო საფრენი აპარატის საშუალებით მიაყენა. ამისთვის ანკარამ ვაშინგტონი ინჯირლიკის სამხედრო საჰაერო ბაზაზე დაშვებით უზრუნველყო. როგორც იტყობინებიან, შეტევის სამიზნეს წარმოადგენდა ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკების პოზიციები. პოლიტოლოგ თალებ იბრაჰიმის თქმით, „ისლამური სახელმწიფო“ ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის ქმედებების გამართლებად იქცა.**



ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თურქეთის ავიაბაზიდან აფრენილი უპილოტო საფრენი აპარტის გამოყენებით პირველი ავიადარტყმა მიაყენა სირიის ტერიტორიას. დარტყმის სამიზნე იყო „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციები ქვეყნის ჩრდილოეთით.

არსებული მონაცემებით, აშშ ასევე გეგმავს პილოტირებული აპარატების ამოქმედებასაც. ცოტა ხნით ადრე თეთრმა სახლმა განაცხადა, რომ აპირებს ავიაციის გამოყენებას ეგრეთ წოდებული ზომიერი სირიული ოპოზიციის დასაცავად სახელისუფლო ძალებისგან. ვაშინგტონი ანკარასთან მჭიდროდ თანამშრომლობს, ამ უკანასკნელმა კი აშშ-ს ნება დართო, გამოეყენებინა თურქული ავიაბაზა ინჯირლიკი. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუდ ჩავუშოღლუმ პირობა დადო, რომ გააძლიერებს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლას სირიის ჩრდილოეთში.

„ჩვენ ვწვრთნით და ვამარაგებთ ზომიერ ოპოზიციას“, — განაცხადა მან.

ამერიკული კერძო სადაზვერვო-ანალიტიკური კომპანია Stratfor-ის მონაცემების თანახმად, თურქეთი დაკავებულია არა მხოლოდ სირიის ოპოზიციის წევრების მომზადებით, არამედ ტანკების სირიის საზღვრისკენ გადაყვანით. სადაზვერვო სამსახურმა გამოაქვეყნა თანამგზავრიდან გადაღებული ფოტოები, რომლებზეც ჩანს, რომ თურქულმა საბრძოლო ტანკებმა და თანმხლებმა ქვედანაყოფებმა თურქულ-სირიული საზღვრის მახლობლად თავდაცვითი პოზიციები დაიკავეს. ეს სურათები ივლისის ბოლოსაა გადაღებული; ზუსტად მაშინ, როდესაც ვაშინგტონი და ანკარა შეთანხმდნენ, რომ სირიის ჩრდილოეთით ბუფერული ზონა შეექმნათ.

პოლიტოლოგი დამასკოდან თალებ იბრაჰიმი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში აშშ-ის ქმედებებს საეჭვოდ მიიჩნევს.

„აშშ-ს არ აქვს სერიოზული განზრახვა, ებრძოლოს „ისლამურ სახელმწიფოს“. ამერიკის ქცევა როგორც სირიაში, ისევე ერაყში, ჩემში ეჭვს იწვევს. საეჭვოდ მეჩვენება ამ საქმეში თურქეთის როლიც — ეს როლი ამ დრომდეც გაურკვევლად რჩება“, — აღნიშნავს პოლიტოლოგი.

**„აშშ-ის ყველა ქმედება ახლო აღმოსავლეთში — სირიაში, ერაყსა და ლიბიაში — უკანონოა. ახლა მათ ახალი გამართლება აქვთ — მათივე თქმით, „ისლამურ სახელმწიფოს“ ებრძვიან და ამ დაჯგუფებასთან მეომარი ზომიერი ოპოზიციის დაცვას აპირებენ.**



თალებ იბრაჰიმი

**შეხედეთ ზომიერი ოპოზიციონერების რაოდენობას — სულ 60 ადამიანია.** გამოდის, რომ აშშ მზადაა, ავიადარტყმების სამიზნედ აქციოს ის ძალებიც, რომლებიც საზღვრისპირა რაიონებში პატრულირებენ, და სირიული არაბული არმიაც, თუკი ისინი თავს დაესხმიან ამ ამბოხებულებს. ჩვენი აზრით, ეს მხოლოდ საბაბია იმისთვის, რომ თავს დაესხნენ სირიას და ახლო აღმოსავლეთში ახალი ომი გააჩაღონ“, — ამბობს თალებ იბრაჰიმი.

russian.rt.com

მოკლედ



## ჯო ბაიდენი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს

**ამერიკის შეერთებული შტატების ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი აპირებს, მონაწილეობა მიიღოს 2016 წელს დაგეგმილ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში.** ამერიკული მედიის ცნობით, იგი თავის რეზიდენციაში თანამოაზრეებსა და მეგობრებს ხვდება. ასევე, ბაიდენის გუნდი ახორციელებს საზოგადოებრივი აზრის შესწავლას, თუ რამდენად დაუჭერს მხარს აშშ-ის მოსახლეობა ვიცე-პრეზიდენტს საარჩევნო კამპანიის დროს. მიმდინარეობს შესაძლო სპონსორების სიის დადგენაც. დემოკრატიულ პარტიაში ბაიდენის მთავარი მოწინააღმდეგე ჰილარი კლინტონია, რომელმაც, უკვე დიდი ხანია, თავისი კანდიდატურის შესახებ გამოაცხადა. ბაიდენს ჯერ საკუთარ პარტიაში სჭირდება მხარდაჭერის მოპოვება, რათა შემდეგ პრეზიდენტობის ოფიციალური კანდიდატი გახდეს.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნახევარ საუკუნეზე მეტია, ადამიანის ძვლის ტვინი გამოიყენება სისხლის ღეროვანი უჯრედების მისაღებად და სხვადასხვა ჰემატოლოგიური დაავადების სამკურნალოდ. ახალდაბადებული ბავშვის ჭიპლარის სისხლი გაცილებით უკეთესი წყაროა ღეროვანი უჯრედების მისაღებად, ვიდრე ძვლის ტვინი.**



# ზოგი რამ ღეროვან უჯრედებზე

**ღეროვან უჯრედს აქვს როგორც თვითგანახლების, ასევე მომწიფებული სპეციალიზებული უჯრედების წარმოქმნის უნარი. მისი დანიშნულებაა საჭიროებისას ორგანიზმის რეგენერაცია. ღეროვანი უჯრედები იყოფა ემბრიონულ, ფეტალურ და მოზრდილთა ღეროვან უჯრედებად. განვითარების რაც უფრო ადრეულ ეტაპზე იმყოფება წყარო, მით უფრო მეტი ტიპის უჯრედს უდებს დასაბამს ღეროვანი უჯრედი. ემბრიონული ღეროვანი უჯრედები მიიღება 5-14 დღის ემბრიონიდან. მათ შეუძლია წარმოშვან ყველა ტიპის (ან თითქმის ყველა ტიპის) უჯრედები ლაბორატორიულ პირობებში. მოზრდილთა ღეროვანი უჯრედები კი ძირითადად იმ ქსოვილს აღადგენენ, საიდანაც წარმოიშვნენ. ფეტალური ღეროვანი უჯრედები მიიღება აბორტირებული ნაყოფის ქსოვილებიდან ან მშობიარობის შემდგომ პლაცენტაში დარჩენილი სისხლიდან. ეს უკანასკნელი ცნობილია ასევე ჭიპლარის ვენის სისხლის სახელით.**



„ის ბავშვივითაა — იზრდება, ვითარდება და ირჩევს პროფესიას. არჩევანი დიდია — შეუძლია, გამოვიდეს მეხანძრე, კოსმონავტი, ექიმი, მასწავლებელი ან თუნდაც ხელოსანი. გადაწყვეტილების მიღებაზე ბევრი რამ ახდენს გავლენას. მათ შორის, ისიც, თუ როგორ გარემოში მოხვდება", — ასე მარტივად ახსნა ამერიკელმა მეცნიერმა მარკ ჰედრიგმა ღეროვანი უჯრედების თავისებურება.

ცალკე აღებულ ღეროვან უჯრედს ფუნქცია არ აქვს. იგი დანიშნულებას მხოლოდ მასპინძელ ორგანოში ჩანერგვისას იძენს. მაგალითად, ღვიძლში მოხვედრისას ღვიძლის უჯრედად იქცევა, თავის ტვინში კი – თავის ტვინის უჯრედად.

უჯრედული თერაპიის არსი არის ის, რომ, თუ ღეროვანი უჯრედები დაავადების შედეგად დაზიანებულ ქსოვილში ჩაინერგება, ეს უჯრედები გამრავლდება და დაზიანებულ ქსოვილს შეავსებს და აღადგენს.

**ღეროვანი უჯრედები სწორედ იმით არის უნიკალური, რომ შეუძლიათ გადაიქცნენ თითქმის ყველა ტიპის უჯრედად, რომლებისგანაც ადამიანის სხეული შედგება.**

საზოგადოდ, ღეროვანი უჯრედი მარტივი, არასპეციალიზებული უჯრედია, რომელსაც ორი თვისება ახასიათებს: შეუძლია თვითგანახლება, ანუ დაყოფის შედეგად თავისივე მსგავსი უჯრედების წარმოქმნა და მეორე: განვითარდეს სპეციალიზებულ, ანუ დიფერენცირებულ, მაგალითად: კანის, კუნთების ან სისხლის — უჯრედებად, რომელთაც ორგანიზმში გარკვეული კონკრეტული ფუნქციის შესრულების უნარი შესწევთ.

საუკუნეების განმავლობაში მეცნიერებმა იცოდნენ, რომ ზოგიერთ ცხოველს სხეულის დაკარგული ნაწილების რეგენერაციის უნარი გააჩნია. ჩვენი ორგანიზმი მუდმივად ანახლებს სისხლს, კანს და სხვა ქსოვილებს. 1950-იან წლებში ძვლის ტვინზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად აღმოჩნდა, რომ ჩვენს ორგანიზმში არსებობს ღეროვანი უჯრედები. ეს ფაქტი მოგვიანებით საფუძვლად დაედო ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციას – ერთ-ერთ ფართოდ გამოყენებად თერაპიას მედიცინაში. ისტორიაში პირველად ექიმებს შესაძლებლობა მიეცათ, დაზიანებული უჯრედები ახალი და ჯანმრთელი უჯრედული მასით ჩაენაცვლებინათ. და დაიწყო ახალი ერა მედიცინაში...

ძვლის ტვინის ტრანსპლანტანტში უჯრედების რეგენერაციის პოტენციალის გააზრების შემდეგ, მეცნიერები შეეცადნენ, მსგავსი უჯრედების იდენტიფიცირება ემბრიონში მოეხდინათ. ადამიანის განვითარების ადრეული ეტაპების შესწავლა მოწმობს, რომ ემბრიონის უჯრედებს აქვთ უნარი, წარმოქმნან ორგანიზმის ყველა ტიპის უჯრედი. 1980-იან წლებში მეცნიერებმა შეძლეს თაგვის ორგანიზმიდან გამოეყოთ ემბრიონული ღეროვანი უჯრედები, 1998 წელს კი – ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა შეძლო ადამიანის ემბრიონული უჯრედების იზოლაცია და ლაბორატორიულ პირობებში მათი ცოცხლად შენახვა.

ცნობილია, რომ ადამიანის ორგანიზმი 200-ზე მეტი ტიპის უჯრედისგან შედგება, ყველა მათგანს კი დასაბამს ღეროვანი უჯრედი აძლევს. განვითარების როგორც ადრეულ, ისე გვიან ეტაპზე ღეროვანი უჯრედების სპეციალიზაციისა და დიფერენციაციის ხარჯზე ხდება სხვადასხვა ტიპის (კანის, სისხლის, კუნთის, ნერვული) უჯრედების ჩამოყალიბება. ღეროვან უჯრედებს როგორც თავისი თავის რეგენერაციის, ასევე სხვა ტიპის უჯრედების სპეციალიზაციის უნარი გააჩნიათ.

ღეროვანი უჯრედები აქვს თითოეულ ჩვენგანს ორგანიზმის განვითარების ადრეული ეტაპებიდან სიცოცხლის ბოლომდე. **არსებობს ღეროვანი უჯრედების სამი ძირითადი ტიპი: ტოტიპოტენტური, პლურიპოტენტური და მულტიპოტენტური. სამედიცინო კვლევისთვის სამივე ტიპი გამოსადეგია, თუმცა თითოეულ მათგანს სხვადასხვა შესაძლებლობა და ზღვარი გააჩნია.**

**ტოტიპოტენტურ** ღეროვან უჯრედს შეუძლია, დასაბამი მისცეს ნებისმიერი ტიპის უჯრედს და მოახდინოს მთელი ორგანიზმის ფორმირება. პლურიპოტენტურ უჯრედებს, როგორიცაა ემბრიონული ღეროვანი უჯრედები, რომელთა გამოყოფაც ხდება ადამიანის ორგანიზმის განვითარების ძალიან ადრეულ სტადიაზე, ასევე წარმოქმნან თითქმის ნებისმიერი ტიპის უჯრედს. მულტიპოტენტური ღეროვანი უჯრედები, რომელთაც მიეკუთვნება მოზრდილთა ღეროვანი უჯრედები, ზრდა დასრულებული ორგანიზმის ზოგიერთ ქსოვილშია და შეუძლია, წარმოქმნას მხოლოდ ზოგიერთი ტიპის უჯრედი.

## ღეროვანი უჯრედები სწორედ იმით არის უნიკალური, რომ შეუძლიათ, გადაიქცნენ თითქმის ყველა ტიპის უჯრედად, რომლებისგანაც ადამიანის სხეული შედგება



5 დღის განაყოფიერებულ კვერცხუჯრედს ბლასტოცისტას უწოდებენ. ეს არის სფეროს ფორმის უმცირესი წარმონაქმნი, რომელიც სულ რაღაც 30-40 უჯრედისგან შედგება. სწორედ ამ უჯრედებს უწოდებენ მეცნიერები პლურიპოტენტურს, რადგანაც შეუძლიათ დიფერენცირება ნებისმიერი ტიპის ქსოვილად.

მოზრდილთა ღეროვნი უჯრედები ღრმადაა ჩამალული ადამიანის ორგანიზმში, შემოსაზღვრულია მილიონობით ჩვეულებრივი უჯრედით და ხელს უწყობს ორგანიზმს, შეივსოს უჯრედების დანაკლისი საჭიროების შემთხვევაში. ზოგიერთი ასეთი ღეროვანი უჯრედი, როგორიცაა სისხლის, კანის, ნაწლავისა და ტვინისაც კი, უკვე ნაპოვნია ადამიანის ორგანიზმში. ემბრიონული ღეროვანი უჯრედებისგან განსხვავებით, მოზრდილთა ღეროვანი უჯრედები ასე თუ ისე უკვე სპეციალიზებულია. მაგალითად, სისხლის ღეროვანი უჯრედები დასაბამს აძლევენ სისხლის უჯრედების სხვადასხვა ტიპს, ნერვული ღეროვანი უჯრედები კი – ტვინის უჯრედებს. უკანასკნელი კვლევების მიხედვით, არსებობს მოსაზრება, რომ მოზრდილთა ზოგიერთ ღეროვან უჯრედს შეუძლია, უფრო მოქნილი იყოს, ვიდრე ადრე ვარაუდობდნენ, და ძალუძს, დასაბამი მისცეს არა მარტო სისხლის, არამედ ღვიძლის, კანის, კუნთის ქსოვილს, თუმცა ეს ფაქტი ჯერ დადასტურებული არ არის.

2004 წლის მაისის ნომერში BMJ წერდა, რომ ლონდონში გაიხსნა ღეროვანი უჯრედების პირველი ბანკი მსოფლიოში, რომელიც ემსახურება ღეროვანი უჯრედების წყაროს შენახვას, დახასიათებას, ხარისხის კონტროლს, მკურნალობისთვის მათი რაციონალური გამოყენების დაგეგმვას. ღეროვანი უჯრედების ბანკი სახელმწიფო ორგანიზაციაა. მას სათავეში უდგას ბიოლოგიური სტანდარტებისა და კონტროლის ეროვნული ინსტიტუტი. ბანკი მოიცავს დღემდე აღმოჩენილ ნებისმიერი ტიპის ღეროვან უჯრედს, მაგრამ პრიორიტეტი მაინც ენიჭება ემბრიონულ, ნაყოფისა და მოზრდილთა ღეროვანი უჯრედების შეგროვებასა და კვლევას.

**ნახევარ საუკუნეზე მეტია, ადამიანის ძვლის ტვინი გამოიყენება სისხლის ღეროვანი უჯრედების მისაღებად და სხვადასხვა ჰემატოლოგიური დაავადების სამკურნალოდ. ახალდაბადებული ბავშვის ჭიპლარის სისხლი გაცილებით უკეთესი წყაროა ღეროვანი უჯრედების მისაღებად, ვიდრე ძვლის ტვინი.**

ბანკებში ჭიპლარის სისხლს მხოლოდ 20 წლის განმავლობაში ინახავენ, რადგან ცნობილი არ არის, უფრო ხანგრძლივი შენახვა რა გავლენას მოახდენს გაყინული უჯრედების თვისებებზე და იქნება თუ არა უსაფრთხო და ეფექტური პაციენტებში გამოსაყენებლად.

დღეს მთელ მსოფლიოში ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების შენახვის ბუმია – მშობლები ახალშობილთა ჭიპლარის სისხლს ინახავენ, რათა მომავალში შვილები სხვადასხვა დაავადებისგან დაიცვან.

**აშშ-ში ბოლო წლების განმავლობაში 20 000-ზე მეტ ადამიანს ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედები წარმატებით გადაუნერგეს. ღეროვანი უჯრედების შენახვის ტრადიცია ნელ-ნელა, მაგრამ სტაბილურად ფეხს იკიდებს საქართველოშიც.**

ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების მოსაპოვებლად ბავშვის დაბადების მომენტიდან სულ ათი-თხუთმეტი წუთია გადამწყვეტი.

როცა ბავშვს დედის ჭიპლარს დააშორებენ, პლაცენტაში დაახლოებით 20-დან 200 მილილიტრამდე სისხლი რჩება. ექიმები ჭიპლარის ვენიდან სწორედ ამ სისხლს აგროვებენ, ერითროციტებისგან ასუფთავებენ, ღეროვან უჯრედებს გამოყოფენ და მინუს 196 გრადუსზე სპეციალურ მოწყობილობაში ყინავენ.

მსოფლიოში უკვე არსებობს საზოგადოებრივი და კერძო ბანკები, რომლებიც ამ უჯრედებს ინახავენ.

საჯარო ბანკებს დედები ჭიპლარის სისხლს უსასყიდლოდ აძლევენ. უჯრედი ბანკის საკუთრება ხდება. ამ ბანკების ლაბორატორიულ განყოფილებებში უჯრედებს საკვლევად იყენებენ, საჭიროების შემთხვევაში კი საავადმყოფოებს კონკრეტული პაციენტისთვის აწვდიან. საჯარო ბანკის უპირატესობა ისაა, რომ აქ შენახული უჯრედებით სარგებლობა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია.

საზოგადოებრივისგან განსხვავებით, კერძო ბანკებში უჯრედების შენახვა უფასო არ არის. გარკვეული თანხის სანაცვლოდ, დედა ჭიპლარის სისხლს შვილს ექსკლუზიურად უნახავს. ეს უჯრედები ბანკის საკუთრება აღარაა და მათი გამოყენების უფლება მხოლოდ ოჯახის წევრებს აქვთ.

ტრანსპლანტაციის შემთხვევაში არც საჯარო ბანკიდანაა უჯრედების მიღება უფასო. მაგალითად, ამერიკაში ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების ტესტირება, გამოგზავნა და სხვა ხარჯები 15-30 ათას დოლარამდე ჯდება.

საქართველოში ღეროვანი უჯრედების საზოგადოებრივი ბანკი არ არსებობს. ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების შენახვა მხოლოდ ორ კერძო ბანკში — „ჯეოქორდში" და ბიობანკ „მედულაში" გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ შეიძლება.

▶

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## თუკი ოჯახის რომელიმე წევრს აქვს დაავადება, რომელიც ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციას საჭიროებს, იმავე ოჯახში ახალშობილი ბავშვის ჭიპლარის სისხლის უჯრედების სამკურნალოდ გამოყენება საუკეთესო ვარიანტია, რადგან დედმამიშვილები ერთმანეთისთვის საუკეთესო დონორები არიან.

ჭიპლარის ღეროვან უჯრედებს უმეტესწილად ბავშვებში იყენებენ. რაც შეეხება ზრდასრულებს, მხოლოდ 50 კილოგრამამდე წონის ადამიანს შეიძლება ეყოს ერთი ჭიპლარიდან მიღებული უჯრედები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა ჭიპლარში ერთი და იმავე რაოდენობის სისხლი არ არის, ამდენად, მიღებული ღეროვანი უჯრედების რაოდენობა ვარირებს.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია ჭიპლარის ღეროვანი უჯრედების ხელოვნურად გამრავლება, მაგრამ ეს უჯრედები ძალიან მგრძნობიარეა ხელოვნური გარემოს მიმართ; გამრავლების შედეგად მიღებული უჯრედები, როგორც წესი, თვისებებით განსხვავდებიან საწყისისგან. ეს არის მთავარი პრობლემა.

ის, რომ ჭიპლარის სისხლი ყველა დაავადებას განკურნავს ან სიცოცხლის ბოლომდე ყველა ასაკის ადამიანს გამოადგება, მითია. შეიძლება, მეცნიერებმა სულ რამდენიმე წელიწადში საპირისპიროც დაამტკიცონ, მაგრამ თანამედროვე მედიცინაში ამის არგუმენტები ჯერჯერობით არ არსებობს.

**თუკი ოჯახის რომელიმე წევრს აქვს დაავადება, რომელიც ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციას საჭიროებს, იმავე ოჯახში ახალშობილი ბავშვის ჭიპლარის სისხლის უჯრედების სამკურნალოდ გამოყენება საუკეთესო ვარიანტია, რადგან დედმამიშვილები ერთმანეთისთვის საუკეთესო დონორები არიან.**

ჯანმრთელი შვილების მშობლებს კი არც ამერიკის პედიატრთა აკადემია და არც ლეიკემიისა და ლიმფომის საზოგადოება ღეროვანი უჯრედების კერძო ბანკში შენახვას არ ურჩევს, რადგან ამ უჯრედების სამკურნალოდ გამოყენების ალბათობა ძალიან მცირეა.

ერთადერთი სამედიცინო და ეკონომიკური გამართლება ჭიპლარის ღეროვანი უჯრედების კერძო მოხმარებისთვის შენახვას მაშინ აქვს, როცა ბავშვის და-ძმას რაიმე ჰემატოლოგიური ან მეტაბოლური დაავადება, ან ოჯახის წევრების სიმსივნური დაავადების რისკი არსებობს.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით კი, **საკუთარი ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების გამოყენება არ არის რეკომენდებული არც გენეტიკური დაავადებების და არც მწვავე ლეიკემიის სამკურნალოდ.**

გენეტიკური და ავთვისებიანი ლეიკემიების დროს ექიმები არ რისკავენ პაციენტის ღეროვანი უჯრედების გამოყენებას, რადგანაც ეს უჯრედებიც შეიცავენ იმავე გენეტიკურ „წუნს“ და მათზე დაყრდნობა არ შეიძლება. ნიუ იორკის სისხლის ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ენთონი დოუნის 2002 წლის ცნობილი შემთხვევა, როცა ბავშვის ჭიპლარის ღეროვანი უჯრედები სწორედ ასეთი გენეტიკური „წუნის“ გამო ვერ გამოიყენეს მისივე დაავადების სამკურნალოდ. საბედნიეროდ, დიაგნოზის დასმიდან ერთ თვეში ენთონის საზოგადოებრივი ბანკიდან მოუძებნეს დონორი და ოპერაციამაც წარმატებით ჩაიარა.

ძოგი ამერიკელი მეცნიერი ამტკიცებს, რომ მწვავე ლეიკემიის 85 პროცენტი ქიმიოთერაპიით ისედაც იკურნება და ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცია საჭირო არაა. ამდენად, **საკუთარი ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების გამოყენების ალბათობა 800 000 შემთხვევიდან მხოლოდ ერთია.**

ამერიკის პედიატრთა ასოციაცია, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების გარდა, ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების კერძო ბანკში შენახვას უგუნურ გადაწყვეტილებას უწოდებს. მეცნიერებასა და ახალ ტექნოლოგიებში ეთიკის ევროპულ ჯგუფსაც The European Group on Ethics and New Technologies (EGE) იგივე პოზიცია აქვს. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ კერძო ბანკების უმეტესობისთვის უჯრედების შენახვა ბიზნესად იქცა – „ისინი ყიდიან სერვისს, რომელიც რამდენიმე წელიწადში შეიძლება უსარგებლო აღმოჩნდეს“.

ამერიკაში ჭიპლარის სისხლის 17 საჯარო ბანკია. მათ შორის ყველაზე დიდ National Cord Blood Program (NCBP)-ში ყოველ წელს 7 000-ზე მეტი ახალი ნიმუში შედის, ბანკის ვებგვერდზე წერია, რომ 2010 წლის აპრილში 50 000-ზე მეტმა ადამიანმა აქ ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედები შეინახა. მოგვიანებით 3 500-მა ადამიანმა ეს უჯრედები ტრანსპლანტაციისთვის გამოიყენა.

საფრანგეთსა და იტალიაში კი სისხლის დაავადებების განვითარების დაბალი რისკის მქონე პაციენტებისთვის ჭიპლარის სისხლის უჯრედების შენახვა უკანონოა.

**ჭიპლარის სისხლის პირველი ტრანსპლანტაცია 1988 წლის 6 ოქტომბერს საფრანგეთში მოხდა, ეს ისტორიული თარიღია.** პაციენტს, ექვსი წლის ბავშვს, იშვიათი გენეტიკური დაავადება — ფანკონის ანემია ჰქონდა, რომელიც ხშირად ლეტალურად მთავრდება. ასეთი პაციენტები 30 წლამდე ცოცხლობენ. ბავშვს დის ჭიპლარის სისხლიდან მიღებული ღეროვანი უჯრედები გადაუნერგეს. ეს პაციენტი დღესაც ცოცხალი და ჯანმრთელია.

მსოფლიო სტატისტიკით, ყოველ წელს 45-დან 50 ათასამდე პაციენტს სისხლის დაავადებების, მათ შორის ლეიკემიის სამკურნალოდ, საკუთარი ან სხვა ადამიანის სისხლის ღეროვან უჯრედებს უნერგავენ. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით უჯრედულ თერაპიასთან დაკავშირებით უფრო მეტი კითხვა არსებობს, ვიდრე პასუხი და ღეროვანი უჯრედებით მკურნალობა ჯერ კიდევ ექსპერიმენტის დონეზეა.

ეს ერთი შეხედვით სასწაულმოქმედი უჯრედები „გარედან“ არ ჩნდება. ჩვენი ორგანიზმის ყველა უჯრედი ღეროვანი უჯრედებისგან არის წარმოქმნილი. უჯრედული თერაპიის დროს კი გადამწყვეტი მათი რაოდენობა და სხეულში „გეოგრაფიული მდებარეობაა“.

მეცნიერულად ყველაზე დასაბუთებული და მკურნალობისთვის უსაფრთხოდ მიჩნეული სისხლის ღეროვანი უჯრედებია.

დღეს მხოლოდ რამდენიმე დაავადების მკურნალობაა შესაძლებელი ღეროვანი უჯრედების საშუალებით, რადგანაც მეცნიერებმა მხოლოდ რამდენიმე ტიპის ქსოვილის რეგენერაცია მოახერხეს. ჯერჯერობით მხოლოდ სისხლისა და კანის უჯრედებზე დაფუძნებული სამკურნალო მეთოდებია განვითარებული. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ახლო მომავალში მათ მიეცემათ შესაძლებლობა, ღეროვანი უჯრედების საშუალებით უმკურნალონ ისეთ დაავადებებს, რომლებიც დღეს განუკურნელად არის მიჩნეული. მეთოდის დახვეწის პრინციპი ცნობილია. ბევრი დაავადება გამოწვეულია ერთი სახეობის უჯრედების ან ქსოვილის დაკარგვით ან გადაგვარებით. მაგალითად, **I ტიპის დიაბეტი გამოწვეულია პანკრეასის ინსულინმაპროდუცირებელი უჯრედების ფუნქციის დაკარგვით და დღეს მისი მკურნალობა ეფუძნება, უბრალოდ, სიმპტომატიკის მოხსნას.** ღეროვანი უჯრედების გამოყენების შემთხვევაში კი მოხდება დაკარგული ან დაზიანებული უჯრედების გამოვლენა, მათი გაზრდა და ჩანერგვა პაციენტის ორგანიზმში.



## მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ღეროვან უჯრედებს აქვთ პოტენციალი, რადიკალურად შეცვალონ სხვადასხვა დაავადების მკურნალობის მეთოდიკა



## საკუთარი ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების გამოყენება არ არის რეკომენდებული არც გენეტიკური დაავადებების და არც მწვავე ლეიკემიის სამკურნალოდ



შესაძლოა, ღეროვანმა უჯრედებმა გარკვეული როლი ტრადიციული ქიმიოთერაპიული მედიცინის განვითარებაშიც ითამაშონ. გამომდინარე იქედან, რომ მათ აქვთ უნარი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაიყონ და დასაბამი მისცენ სხვადასხვა ტიპის უჯრედებს, ისინი შეგვიძლია გამოვიყენოთ მედიკამენტების ტესტირებისთვის ისე, რომ ზიანი არ მივაყენოთ ადამიანის ორგანიზმს.

**მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ღეროვან უჯრედებს აქვს პოტენციალი, რადიკალურად შეცვალონ სხვადასხვა დაავადების მკურნალობის მეთოდიკა.** მკურნალობის რამდენიმე ალტერნატიული მეთოდი უკვე არსებობს. მაგალითად, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია, რომელიც ლეიკემიის დროს გამოიყენება. მომავალში დაგეგმილია ისეთი დაავადებების სამკურნალო მეთოდების შემუშავება, როგორიცაა ავთვისებიანი სიმსივნეები, პარკინსონის დაავადება, ზურგის ტვინის დაზიანებები.

ამჟამად არ არსებობს პარკინსონის დაავადების მკურნალობის საშუალება, რადგანაც ვერ ხერხდება დაღუპული ნერვული უჯრედების აღდგენა. პარკინსონის დაავადება კი გამოწვეულია ნერვული უჯრედების ერთი გარკვეული ტიპის კვდომით. მკვლევარებმა ახლახან შეისწავლეს ემბრიონული ღეროვანი უჯრედების დიფერენცირების პროცესი თავის ტვინის უჯრედების გარკვეულ ტიპებთან. მათ, აგრეთვე, წარმატებით მოახერხეს მოზრდილთა ნერვული ღეროვანი უჯრედების გადანერგვა თაგვის ტვინში. როდესაც დაიხვეწება უჯრედების ტრანსპლანტაციის ტექნიკა, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ პარკინსონის დაავადების მართვის საშუალება მიეცემათ.

**სიმსივნური ღეროვანი უჯრედები პირველად იდენტიფიცირებულ იქნა 1997 წელს, როდესაც ტორონტოს მეცნიერთა ჯგუფმა გამოყო ლეიკემიით დაავადებული პაციენტის ორგანიზმიდან სისხლის რამდენიმე ღეროვანი უჯრედი. მათ გადანერგეს ეს უჯრედები თაგვის ორგანიზმში და დააკვირდნენ მის ორგანიზმში ლეიკემიის განვითარებას. მსგავსი უჯრედები აღმოაჩინეს თავის ტვინისა და მკერდის სიმსივნეების დროსაც.** როგორც ნორმალური, ისე სიმსივნური ღეროვანი უჯრედები არსებობს ძალიან მცირე რაოდენობით, მაგრამ მათ აქვთ უნარყ, გამრავლდნენ და ჩაანაცვლონ ჯანმრთელი უჯრედები. სიმსივნურ ღეროვან უჯრედებს, ნორმალურისგან განსხვავებით, დაკარგული აქვთ ზრდისა და გამრავლების კონტროლის უნარი. კიბოს მკურნალობის ძირეული მეთოდი კი მდგომარეობს ქიმიოთერაპიის საშუალებით სიმსივნური ღეროვანი უჯრედების მიზანში ამოღებაში.

ფაქტია, რომ **ღეროვანი უჯრედები მომავლის მედიცინაა და ამ დარგში ყველა განვითარებული ქვეყნის მთავრობა სოლიდურ თანხებს დებს.**

**2004 წელს ამერიკაში ათი წლის განმავლობაში ღეროვანი უჯრედების კვლევისთვის 3 მილიარდი დოლარი გამოყვეს;**

2001-2006 წლებში ჯორჯ ბუშმა ღეროვანი უჯრედების კვლევისათვის გამოყო 100 მილიონი დოლარი, ხოლო მოზრდილთა და ცხოველთა ღეროვანი უჯრედების კვლევისთვის — 250 მილიონი დოლარი; მან, აგრეთვე, გაამარტივა კანონმდებლობა ღეროვანი უჯრედების კვლევისა და მკურნალობისათვის გამოყენების თაობაზე;

2006 წლის ნოემბერში მისურის შტატში მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც იურიდიულად ნებადართულია ღეროვანი უჯრედების გამოყენება კვლევისა და მკურნალობისთვის, მაგრამ იკრძალება ადამიანის კლონირება.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ჯადოსნური ქორწილი

**28 წლის უილ გრანტმა თავისი საცოლე, 33 წლის ემი განდერი, დაიყოლია, რომ ქორწილი „ბეჭდების მბრძანებლის“ სტილში გადაეხადათ.** დეკორატორებმა ბაღი იმ სოფელს მიამსგავსეს, რომელშიც ტოლკინის წიგნების მთავარი გმირი ფროდო ბეგინსი ცხოვრობს. ნეფე და პატარძალი საზოგადოების წინაშე ფროდოსა და გალადრიელის იმიჯით წარსდგნენ. წყვილმა სტუმრებს სთხოვა, ქორწილში შესაბამისი სამოსით მისულიყვნენ. სიყვარულის ფიცი წყვილს გენდალფმა დაადებინა, ბეჭედი კარგად გაწვრთნილმა არწივმა მიუტანა, სადღეგრძელოებს კი წარმოთქვამდნენ ჰობიტები, გნომები და ელფები.





## მეგობრები სიცოცხლეს ახანგრძლივებენ

**რაც უფრო მეტი ახლო მეგობარი ჰყავს ადამიანს, მით უფრო დიდია შანსი, დიდხანს იცოცხლოს. ამ დასკვნამდე მივიდნენ იუტას შტატის ახალი კაროლინის უნივერსიტეტის ექსპერტები.**

მკვლევარები ამ ფენომენს მეცნიერულად ჯერ ვერ ხსნიან, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ერთგული მეგობრების დიდი რაოდენობა სოციალური აქტივობის მაღალ მაჩვენებელზე მეტყველებს და ადამიანის ჯანსაღ ემოციურ ცხოვრებას უსვამს ხაზს.



## გამჭვირვალე ყვავილი

**„ყვავილი ჩონჩხი“ არის ტყის მცენარე, რომლის ფურცლებიც კრისტალურად გამჭვირვალე ხდება, როდესაც წყალი მოხვდება.**

difeleia grei — ასეთია „ყვავილი ჩონჩხის“ მეცნიერული სახელწოდება. ის დედამიწის მხოლოდ სამ ადგილას იზრდება. მცენარე ნამიან, ხეებით დაფარულ მთიან რეგიონებში ხარობს — იაპონიაში, ჩინეთსა და ამერიკის აპალაჩების მთებში. მისი ცნობა მარტივია მსხვილი ქოლგისებრი ფოთლებით.

როდესაც ყვავილის ფურცლები შრება, ის ისევ თეთრი ხდება და აღარ არის გამჭვირვალე.



## მეძავმა სერიული მკვლელი მოკლა

**ამერიკელმა მეძავმა თავდაცვის მიზნით მამაკაცი მოკლა და ამით, შესაძლოა, წერტილი დაუსვა მეძავების მკვლელობის სერიულ ფაქტებს დასავლეთ ვირჯინიაში.**

ქალმა პოლიციას განუცხადა, რომ 45 წლის ნილ ფოლსმა მისი ონლაინ რეკლამა ნახა და შემდეგ სახლში მიადგა. მან ქალზე ძალადობა სცადა, მაგრამ ქალმა იარაღი წაართვა და ესროლა.

პოლიციამ გარდაცვლილის ჯიბეში „მოკლულთა სია“ იპოვა, თურმე ის სერიულად კლავდა სექსმუშაკებს. „ვიცი, რომ მოკვლას მიპირებდა. დარწმუნებული ვარ, უკვე ეყოლება ვინმე მოკლული, რადგან მითხრა, რომ ციხეში დიდი ხნით მოუწევდა ყოფნა“, — განაცხადა დაზარალებულმა ქალმა, რომლის ვინაობაც არ საჯაროვდება.

პოლიციამ ნილ ფოლსის მანქანაში იარაღი, დანები, ჯავშანჟილეტი და სანაგვე ტომრები იპოვა.

## სისხლის ანალიზით სიკვდილის თარიღს განსაზღვრავენ

**მეცნიერებმა შეიმუშავეს სისხლის ანალიზის ჩატარების ახალი მეთოდი, რომელიც უახლოეს ხუთ წელიწადში სიკვდილის რისკის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. ფინელმა და ესტონელმა მკვლევარებმა დაახლოებით 17000 შედარებით ჯანმრთელი ადამიანის სისხლის ნიმუში შეაგროვეს და მათ 100-ზე მეტი სხვადასხვა ნაერთის შემცველობაზე სკანირება გაუკეთეს.**



ანალიზის პარალელურად, სპეციალისტები რამდენიმე წელი ამ ადამიანებს თვალყურს ადევნებდნენ. შემდეგ მეცნიერებმა ცოცხალი ადამიანებისა და ამ პერიოდში გარდაცვლილების ტესტირების შედეგები შეადარეს. მიღებულმა მონაცემებმა აჩვენა, რომ სიკვდილის მაღალი რისკის დროს ორგანიზმში ოთხი ბიომარკერი გამოვლინდება. მათი საშუალებით ფარული დაავადების გამოვლენა და სიცოცხლის ხანგრძლივობის პროგნოზირება შეიძლება.

ექიმების მიერ აღმოჩენილი ოთხი ნაერთი ონკოლოგიური დაავადებების, ინფარქტის, ინსულტისა და სხვა სასიკვდილო პათოლოგიების რისკის შესახებ იტყობინება. ტესტირებისას გამოვლენილი ერთ-ერთი ბიომარკერი ალბუმინის ცილაა. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ალბუმინის დონე ღვიძლის დაავადებების, დამწვრობისა და ონკოლოგიური სნეულებების დროს მკვეთრად იზრდება.

## მეცნიერებმა დედამიწის მსგავსი კიდევ ერთი პლანეტა აღმოაჩინეს

**ტელესკოპ „სპიცერის“ მეშვეობით მეცნიერებმა დედამიწის კიდევ ერთი ტყუპისცალი აღმოაჩინეს. საუბარია პლანეტა HD 219134b-ზე, რომელიც მზიდან 21-ე სინათლის წელიწადში იმყოფება. ეს ყველაზე ახლო პლანეტაა დედამიწასთან, რომელიც მას ჰგავს.**



**ეგზოპლანეტა აღმოაჩინეს კასიოპეას თანავარსკვლავედში. მეცნიერების მონაცემებით, ის თავისი ვარსკვლავის ძალიან ახლო ორბიტაზე ბრუნავს, ამიტომ პლანეტაზე სიცოცხლის ნიშნების პოვნის შანსი დაბალია.**

მანამდე, 22 ივლისს, ნასამ განაცხადა, რომ აღმოაჩინა პლანეტა, რომელიც დედამიწას ჰგავდა და მას „კეპლერ 452“ დაარქვეს.

„კეპლერ 452“ ორჯერ დიდია დედამიწაზე და მისი მყარი ზედაპირი მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ მასზე სიცოცხლის ნიშნები უნდა არსებობდეს. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ დედამიწიდან ის 1 400 სინათლის წელიწადითაა დაშორებული, ანუ, დღეს არსებული ტექნოლოგიებით, იქამდე ჩასაღწევად 550 მილიონი წელი დაგვჭირდება.

## ბიოლოგებმა სიმსივნის გამომწვევი მიზეზები დაასახელეს

**ბიოლოგებმა დაადგინეს, რომ სიმსივნე შეიძლება მხოლოდ დნმ-ს დაზიანების გამო არ წარმოიქმნას. მისი გაჩენა შეიძლება მოხდეს ვირუსის შეყრით და უჯრედებში ცილების დისბალანსის დროს. ეს იწვევს ცილების გაყოფას, რომელსაც სიმსივნური უჯრედების გაჩენა მოყვება.**



ლიდსის უნივერსიტეტში მოღვაწე ბრიტანელმა ბიოლოგებმა ონკოლოგიური დაავადებების კიდევ ერთი საიდუმლო გაამხილეს. გაირკვა,



რომ სიმსივნის გაჩენის ერთ-ერთი მიზეზი უჯრედების გაყოფაა, რაც გენის — FGFR2-ს დაზიანებას იწვევს. ამის შედეგად უჯრედი უკონტროლოდ იყოფა და საბოლოოდ სიმსივნურ ფორმას იძენს.

თუმცა სიმსივნე შეიძლება დეფექტური გენების გარეშეც გაჩნდეს, იმ შემთხვევაში, თუ უჯრედებში ორი ცილის — Plc-gamma-1-ისა და Grb2-ის ურთიერთდამოკიდებულება დაირღვევა. აქედან გამომდინარე, სიმსივნის ზოგი შემთხვევა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ცილების ჯაჭვის არასწორი მუშაობის შედეგი.

**ჯრუჭის ოთხთავი ერთადერთი ხელნაწერია ამ ეპოქიდან, რომელშიც მომხატველის სახელი მოხსენიებულია. ხელნაწერი შემკულია ჯვრებით, კამარებით, რვა კანონითა და რვა მინიატურით.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სამი უძველესი ქართული სახარება



ჯრუჭის ოთხთავი



პარხალის ოთხთავი



ვანის ოთხთავი

**ჯრუჭის ოთხთავი** — X საუკუნის ქართული ხელნაწერი ოთხთავი. იგი ქართული ოთხთავის უძველესი რედაქციაა და ერთ-ერთი პირველია კლასიკურად ილუსტრირებულ ხელნაწერთაგან. გადაწერილია შატბერდის მონასტერში, კალიგრაფ გაბრიელის მიერ 936-940 წლებში. ხელნაწერი მოხატულია თევდორე კამარათმწერლის მიერ, მომგებელი კი გრიგოლ მირდატის ძეა.

საწერ მასალად გამოყენებულია ეტრატი. შეიცავს 297 ფურცელს; ფურცლის ზომებია 26X21 სანტიმეტრი. გადაწერილია ასომთავრულით, შავი მელნით, სათაურები და საზედაო ასოები კი სინგურითაა შესრულებული. მათესა და მარკოზის სახარებების ბოლო ნაწილები, რომლებიც მინიატიურებიან ფურცლებზე სრულდება, მხატვრის მიერაა გადაწერილი.

**ჯრუჭის ოთხთავი ერთადერთი ხელნაწერია ამ ეპოქიდან, რომელშიც მომხატველის სახელი მოხსენიებულია. ხელნაწერი შემკულია ჯვრებით, კამარებით, რვა კანონითა და რვა მინიატურით.** წინ წამძღვარებული აქვს კვადრიფოლიუმის მოყვანილობის ჯვარი, თაღოვან ჩარჩოში ჩასმული ღვთისმშობელი ყრმითურთ, მახარებლებისა და კურნების სცენები.

**პარხალის ოთხთავი** — ქართული ხელნაწერი, დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, შეიცავს 260 ფურცელს, ერთვის ანდერძი, რომლიდანაც ირკვევა, რომ ხელნაწერი შატბერდშია გადაწერილი იოანე ბერაის მიერ და შეუწირავთ პარხალის ახალი ეკლესიისთვის: „მე იოვანე ბერამან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დავწერე და პარხალს შევწირე სალოცველად ყოველთა ძმათა შატბერდელთა“.

პარხლის ოთხთავს 1889 წელს მიაგნო ექვთიმე თაყაიშვილმა და მის შესახებ გამოაქვეყნა ცნობა 1890 წელს წიგნში „სამი ისტორიული ქრონიკა“. ხელნაწერი ინახებოდა სოფელ ზემო ჭალის მღვდელთან, ვინმე სუხიევთან (სუხიაშვილთან). ამ უკანასკნელის სიტყვებით, სახარება მას გორიდან ჰქონდა წაღებული, იგი ეკუთვნოდა ივანე აბაშიძის ქვრივს. ვინაიდან მღვდელმა არ ინდომა სახარების გადაცემა, ექვთიმე თაყაიშვილი მასთან დადიოდა და სწავლობდა ხელნაწერს.

როგორც გაირკვა, სახარება გადაწერილი ყოფილა იმავე იოანე ბერაის მიერ, რომელსაც გადაუწერია შატბერდის კრებული, რაც საშუალებას იძლეოდა შატბერდის უთარიღო ხელნაწერის დათარიღებისა. მ. სუხიაშვილის გარდაცვალების შემდეგ ხელნაწერს ვეღარ მიაგნეს. **1920 წელს ოთხთავი უნივერსიტეტში მიიტანა გერმანიის კონსულმა, რომლისთვისაც შესაძენად შეუთავაზებიათ ეს უკანასკნელი. პირი, რომელსაც განთქმული ოთხთავი თავისად მიაჩნდა, იძულებული შეიქნა, უნივერსიტეტისათვის დაეთმო იგი.** ასე გადაურჩა ეს ხელნაწერი უცხოეთში გაყიდვას.

**ვანის ოთხთავი, ვანის სახარება** — XII-XIII საუკუნეების ქართული ხელნაწერი სახარება. ხელნაწერი გვერდის ზომაა 29x21, ნაწერი სვეტისა – 19x5,2 სმ; შესრულებულია ეტრატზე ორ სვეტად, ნუსხახუცურით. სათაურები და საზედაო ასოები დაწერილია ასომთავრულით, შედგება 274 ფურცლისაგან. გადაწერილია იოანეს მიერ, პრომაის (რომანის) ქართველთა მონასტერში, კონსტანტინოპოლში, თამარ მეფის დაკვეთით. ტექსტის რედაქცია ეკუთვნის გიორგი მთაწმიდელს. დაცული ყოფილა შორათას მონასტერში (მესხეთში, XIV-XV სს.), ვანში (XVIII ს.), გელათში (XIX ს.). თბილისში ჩამოიტანა ვახტანგ ბერიძემ.

ხელნაწერი მდიდრულადაა მოხატული, შემკულია კამარებით, მახარებელთა გამოსახულებებით, თავსამკაულებითა და მინიატიურებით ახალი აღთქმიდან. შესრულებულია მრავალშრიანი საფერწერო ტექნიკით. უხვად არის გამოყენებული ოქრომელანი და სინგური. დაცულია თბილისში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.



# წყნარ ოკეანეში სამხედრო თვითმფრინავების სასაფლაო აღმოაჩინეს

**ბრენდი მიულერმა, რომელიც წყალქვეშა პეიზაჟების ფოტოგრაფირებითაა გატაცებული, წყნარ ოკეანეში, მარშალის კუნძულების მახლობლად სამხედრო თვითმფრინავების სასაფლაო აღმოაჩინა. იქ მეორე მსოფლიო ომის დროინდელი დაახლოებით 150 საფრენი აპარატი „განისვენებს“.**

მიულერის გამოკვლევების შედეგად, ცნობილი გახდა, თუ რატომ იყო ეს სამხედრო თვითმფრინავები წყნარ ოკეანეში ჩაძირული.

„მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა გენერალმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ სამხედრო თვითმფრინავები ოკეანის ფსკერზე ჩაეშვათ, რადგან მათი აშშ-ში ტრანსპორტირება ძალიან ძვირი ჯდებოდა. გენერალი შეუთანხმდა აშშ-ის პრეზიდენტსაც და ეს გადაწყვეტილება საბოლოოდ ერთობლივი შეთანხმებით მიიღეს“, — ამბობს მიულერი.

ჩაძირული სამხედრო თვითმფრინავების მოდელებს შორის იყო მეორე მსოფლიო ომის დროს ცნობილი სამხედრო თვითმფრინავები: F4U Corsairs, Douglas SBD, Douglas SBD Dauntless, TBF/TBM Avengers, Helldivers, B-25, B-25 Mitchells, Curtiss C-46, Curtiss C-46 Commandos, Curtiss C-47, F4F Wildcat.

# ფუმფულა ობობების ახალი სახეობა

**მეცნიერებმა მინიატურული ფუმფულა ობობების ახალი სახეობა აღმოაჩინეს, რომლებიც დასავლეთ ავსტრალიაში ბინადრობენ. გამოცემა The Verge-მ შეფერილობის გამო მათ პლანეტის ყველაზე საყვარელი ობობები უწოდა.**



Maratus personatus სახეობის ობობები სიგრძეში სამიდან ხუთ მილიმეტრამდე არიან და ფერადი შეფერილობით გამოირჩევიან. ობობების ახალი სახეობა ავსტრალიელმა ბიოლოგმა იურგენ ოტომ აღმოაჩინა.

მსგავსი სახეობის ობობების შესახებ ოტომ ადგილობრივი ექსპერტისგან 2013 წელს შეიტყო. მან მოახერხა, კამერით გადაეღო ობობების საქორწინო ცეკვები და ერთ-ერთი ობობის კვერცხებიდან ობობების გამოჩეკვამდე პროცესს აკვირდებოდა. ამგვარად მან შეისწავლა მინიატურული ობობების განვითარების ყველა ეტაპი.

# სპეციალისტები ბევრ ჭამას გვირჩევენ

**იმის მიუხედავად, რომ თანამედროვე ადამიანები ცდილობენ, გამხდრები იყვნენ, ბრიტანელი მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, რომ აუცილებელია მეტი საკვების მიღება. სპეციალისტები თვლიან, რომ დღიური კალორიების რაოდენობა ქალებისთვის — 2000-ს, მამაკაცებისთვის კი 2500-ს უნდა შეადგენდეს.**



მედიკოსები ძალიან კრიტიკულად უყურებენ იმ საკითხს, რომ ხალხი ცდილობს, შეზღუდული რაოდენობით მიიღოს საკვები. მათი აზრით,



მოდას აყოლა ადამიანს სასარგებლო პროდუქტებზე ათქმევინებს უარს. აუცილებელია, რაციონში ჩართოთ რძე, ნაღების კარაქი, ხორცი, თევზი და ყველი.

ჯანსაღი კვების სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ზედმეტი 400 კალორია ორგანიზმს არანაირ ზიანს არ მოუტანს. იმ შემთხვევაში, თუ საკვები, რომელსაც ადამიანი მიირთმევს, ჯანსაღია, წონის მომატება არ მოხდება.

დიეტოლოგების აზრით, ხალხი სუქდება არა იმის გამო, რომ ბევრს ჭამს, არამედ არასწორი საკვების მიღებით, რომელშიც სასარგებლო ნივთიერებები არ არის. ასეთი საკვები უნდა შეცვალოთ ხილით, ბოსტნეულით, თევზით, ხორცით, თხილით და ა.შ.

მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95







# ინდონეზია — მსოფლიოში უდიდესი კუნძულოვანი სახელმწიფო

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

რესპუბლიკა ინდონეზია აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე სახელმწიფოა. მისი ტერიტორია მოიცავს მალაის არქიპელაგის დიდ ნაწილსა და 13 700 კუნძულს. ინდონეზიის ყველაზე დიდი კუნძულებია **იავა, სუმატრა**, **სულავესი** და **კალიმანტანი.** ინდონეზიას, მსოფლიოში უდიდეს კუნძულოვან სახელმწიფოს, ჩრდილოეთში აქვს სანაპირო ზოლი სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე, წყნარ ოკეანესა და სულავესის ზღვაზე, სამხრეთით და დასავლეთით — ინდოეთის ოკეანეზე, ტიმორისა და არაფურის ზღვებზე. კუნძულებს — იავასა და ბორნეოს შორის არის იავის ზღვა, სულავესსა და ტიმორს შორის კი — ზღვა ბანდა. სახმელეთო საზღვარი აქვს მალაიზიასთან (კუნძულ კალიმანტანზე) პაპუა-ახალ გვინეასა (კუნძულ ახალ გვინეაზე) და აღმოსავლეთ ტიმორთან (კუნძულ ტიმორზე).

ქვეყნის სახელწოდება **ინდონეზია** წარმოდგება ტოპონიმისგან **ინდოეთი** და ნიშნავს **კუნძულოვან ინდოეთს**.

1798-1942 წლებში ინდონეზია ჰოლანდიის კოლონია იყო, 1942-45 წლებში კი იაპონიამ დაიპყრო.

დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1945 წლის 17 აგვისტოს.

ინდონეზიის თითქმის მთელი ტერიტორია ე.წ. წყნარი ოკეანის ცეცხლოვანი რკალის ნაწილია, რომლის გამოც ქვეყანაში ხშირია მიწისძვრები, ზოგჯერ — ძალიან ძლიერი. ინდონეზიის ისტორიაში **ყველაზე დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა 2004 წლის 24 დეკემბერს კუნძულ სუმატრაზე, როდესაც მიწისქვეშა ბიძგებითა და მათ მიერ გამოწვეული ცუნამის შედეგად დაახლოებით 170 ათასი კაცი დაიღუპა.** გარდა ამისა, ქვეყნის ტერიტორიაზე არის 150 მოქმედი ვულკანი, რომელთა შორისაც ყველაზე დიდია მერაპი, ბრომო, სალაკი, სემერუ (იაკაზე) და კრაკატაუ (ზონდის სრუტე). 1883 წელს ვულკან კრაკატაუს ამოფრქვევის შედეგად 300 დასახლებული პუნქტი განადგურდა. ინდონეზიის **ყველაზე მაღალი წერტილია** მთა **პუნჩაკ-ჯაია (4884 მ).** ყველაზე **დიდი მდინარეები**: **კაპუასი (1143 კმ); მაჰაკამი (920 კმ), ბარიტო (900 კმ).**

ყველაზე **დიდი ტბა** — **ტობა** (კუნძულ სუმატრაზე), რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი ვულკანური ტბაა (სიღრმე — 500 მ).

**კლიმატი.** ინდონეზიის თითქმის მთელ ტერიტორიაზე კლიმატი ეკვატორულია, ტენიანი. საშუალო ტემპერატურა 26-30 გარდუსს შეადგენს.

**ფლორა.** ქვეყნის ჩრდილოეთში ტროპიკული ჯუნგლებია, ხარობს ფიკუსები, პალმები, ბამბუკი. მთიან რაიონებში, ძირითადად, მუხა და თხილი.

**ფაუნა.** ინდონეზიის ცხოველთა სამყარო მსოფლიოში ყველაზე მდიდარია. აღრიცხულია 515 სახეობის ძუძუმწოვარა ცხოველი, 1531 სახეობის ფრინველი, 122 სახეობის პეპელა, 600-ზე მეტი ქვეწარმავალი და 270-ზე მეტი ამფიბია. ცხოველთა შორის ყველაზე გავრცელებულია ორანგუტანგი, ვეფხვი, სპილო, ტაპირი და სხვ.

ინდონეზიის **ტერიტორია 1 919 440 კვ.კმ-ს შეადგენს** (მე-14 მსოფლიოში).

**მოსახლეობა.** 2014 წლის შეფასებით, ქვეყანაში ცხოვრობს **253,6 მლნ კაცი.** ეთნიკური შემადგენლობა: იაველები — 40%; სუნდანელები — 15%; მადურელები — 4%; პაპუასები და სხვ.

**დედაქალაქი** — **ჯაკარტა** (9,6 მლნ).

**უდიდესი ქალაქები**: ჯაკარტა, სურაბაია (3,2 მლნ); ბანდუნგი (2,8 მლნ); ბეკასი (2,3 მლნ); მედანი (2,1 მლნ); სემარანგი (1,6 მლნ); ტანგერანგი (1,5 მლნ).

**ოფიციალური ენა:** ინდონეზიური.


ბუდისტური ტაძარი ბოროგუდური


ჯაკარტა


კუნძული ბალი

## მმართველობის ფორმა და რელიგია

ინდონეზია უნიტარული საპრეზიდენტო რესპუბლიკა. ამჟამად პრეზიდენტია **ჯოკო ვიდოდო.**

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა სახალხო კონსულტაციური კონგრესი, რომელიც შედგება სახალხო წარმომადგენლებისა და რეგიონების წარმომადგენელთა საბჭოებისგან.

ქვეყანა დაყოფილია 34 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად, მათგან 32 პროვინციაა, 2 — განსაკუთრებული ოლქი.

**რელიგია.** მოსახლეობის 87% ისლამის მიმდევარია. ანუ, ინდონეზია მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი ისლამური სახელმწიფოა, ქრისტიანები მოსახლეობის 10%-ს შეადგენენ (ორმოცდაათიანელები, პროტესტანტები რეფორმატორები, კათოლიკები, ლუთერანები), 2%-ს — ინდუისტები, 1%-ს — ბუდისტები და კონფუციანელები.

## ეკონომიკა

ინდონეზია აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. განვითარებულია კვების, ქიმიური, ხის დამამუშავებელი, ცელულოზა-ქაღალდისა და მსუბუქი მრეწველობები. მოიპოვებენ ნავთობს, ბუნებრივ აირს (მე-8 მსოფლიოში), რკინას, კალას, ბოქსიტებს, ნიკელს, მარგანეცს.

მოჰყავთ ბრინჯი, ქოქოსი (1-ელი ადგილი), სიმინდი, ბანანი, შაქრის ლერწამი, ყავა, თამბაქო, ჩაი, მიხაკი, კაუჩუკი.

ქვეყნის **მთლიანი შიგა პროდუქტი შეადგენს *1,2 ტრილიონ დოლარს***, მოსახლეობის ერთ სულზე — **5 200 დოლარს.**

**ვალუტა: ინდონეზიური რუპია. 1 ინდონეზიური რუპია უდრის 0,000074 დოლარს.**

**ინტერნეტდომენი: id**

**სატელეფონო კოდი: +62**

**საათობრივი სარტყელი: GTM +7... +9**

## კულტურა

ინდონეზიის მატერიალური და სულიერი კულტურა ჩამოყალიბდა რამდენიმე რელიგიის ზეგავლენით — ბუდიზმის, ინდუიზმის, ისლამის.

ინდონეზიურ ენაზე პირველი ნაწარმოები შექმნა **აბდულ მუისმა** (1883-1959 წ.წ.). თანამედროვე ინდონეზიელი მწერლებიდან აღსანიშნავია **აიუ უტამი** და **ანდრეა ჰირატა.**

**ღირსშესანიშნაობები.** ჯაკარტაში — ნაციონალური მუზეუმი, რამდენიმე ბუდისტური ტაძარი, პრეზიდენტის სასახლე, უჯუნგპანდანგში — ფორტი ვრედენბურნი, ხალხური ხელოვნების მუზეუმი.

## სამზარეულო

ინდონეზიის ხალხების კულინარიული ტრადიციები მეზობელი აზიური ქვეყნების სამზარეულოების გავლენით შეიქმნა, განსაკუთრებით — ჩინეთის.

ძირითადი საკვები პროდუქტია ბრინჯი, აგრეთვე, სიმინდი, ქათმისა და ცხვრის ხორცი, ზღვის პროდუქტები.



### ნასი გორენი

**ეს კერძი, რომლის ძირითადი ინგრედიენტები ბრინჯი, ქათმის ხორცი და კრევეტებია, ძალიან პოპულარულია ინდონეზიაში.**

**ინგრედიენტები (4 ულუფისთვის):**

*ბრინჯი — 500 გრ
*ქათმის ფილე — 300 გრ
*კრევეტები (მოხარშული, გასუფთავებული) — 250 გრ
*ხახვი — 2 თავი
*ნიორი — 2 კბილი
*ბულგარული წიწაკა — 1-2 ც.
*ლიმონის წვენი 1 ჩ/კ
*წითელი პილპილი (დაფქული) — 1 ჩ/კ
*შაქარი — 0,5 ჩ/კ
*პომიდორი — 1 ც
*კიტრი — 1 ც
*მარილი — გემოვნებით
*ნიგოზი (წვრილად დაჭრილი) — 1 ჩ/კ

**მომზადება:**

1. ბრინჯი გაარჩიეთ, გარეცხეთ, მოხარშეთ მარილიან წყალში, ლანგარზე გაშალეთ და თბილ ადგილას შეინახეთ.

2. ხახვი და ნიორი წვრილად დაჭერით, ბულგარული წიწაკა — რგოლებად. შემდეგ ეს ბოსტნეული ზეთში მოხრაკეთ და დაუმატეთ კუბებად დაჭრილი ქათმის ფილე, მოაყარეთ მარილი, პილპილი და განაგრძეთ მოხრაკვა. შემდეგ დაუმატეთ ბრინჯი და კრევეტები, მოასხით ლიმონის წვენი, მოაყარეთ შაქარი და წვით 4-5 წუთის განმავლობაში.

3. სუფრაზე მიტანამდე კერძი გააფორმეთ კიტრისა და პომიდვრის ნაჭრებით, ზემოდან კი წვრილად დაჭრილი ნიგოზი მოაყარეთ.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**მნიშვნელოვანია, სწორად გამოითვალოს ფრეონის საჭირო რაოდენობა, რადგან მისი სიმცირის შემთხვევაში სალონში ტემპერატურა საჭირო დონეს ვერ მიაღწევს, სიჭარბის შემთხვევაში კი მოწყობილობა ზღვრულ სიმძლავრემდე ამუშავდება, რის გამოც შეიძლება ავტომატურად გაითიშოს ან სულაც გაფუჭდეს.**

სასარგებლო რჩევები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნიშნები, რომელთა მიხედვითაც შეგიძლიათ, განსაზღვროთ, სჭირდება თუ არა თქვენი ავტომობილის კონდიციონერს გამართვა ან რემონტი

**ყველა თანამედროვე ავტომობილი აღჭურვილია კონდიციონერით. ეს მოწყობილობა მგზავრობისას კომფორტის მთავარი ატრიბუტია, რადგან სალონში ანიავებს და საჭირო ტემპერატურას ინარჩუნებს, მგზავრებს თავიდან აცილებს სუნსა და ზედმეტ ხმაურს და ამცირებს ტენს, ანუ უზრუნველყოფს საჭირო მიკროკლიმატს. კონდიციონერს კი ხანდახან სჭირდება გამართვა, რაც პროფესიონალურად უნდა მოხდეს.**

კონდიციონერს ისევე, როგორც ავტომობილის სხვა ნებისმიერ სისტემას, ყურადღება და მოვლა სჭირდება. სტაციონარული მოწყობილობისგან განსხვავებით, საავტომობილო ვარიანტი არ არის აღჭურვილი საავარიო შემაერთებლებით, რადგან რეგულარული ვიბრაციისა და რყევების გამო დაუშვებელია. შეერთების ადგილებს აქვს ხრახნი და რეზინის სადები. ტემპერატურის მკვეთრმა ცვლილებამ, დაზიანებულ გზაზე მოძრაობამ და მართვის სტილის თავისებურებებმა შეიძლება სისტემის ჰერმეტულობის დარღვევა და შემავსებლის (ფრეონის) გაჟონვა გამოიწვიოს.

დარწმუნებული რომ იყოთ კონდიციონერის გამართულობაში, ჩაუტარეთ მას დიაგნოსტიკა, რემონტი ან გამართეთ (შეავსეთ) ფრეონით წელიწადში ერთხელ მაინც. გაითვალისწინეთ, რომ ავტოკონდიციონერი უნდა გამართოს გამოცდილმა ოსტატმა — სპეციალისტმა. ეს პროცედურა სპეციალური ინსტრუმენტებით ტარდება და გარკვეულ ცოდნასა და უნარებს მოითხოვს.

აი ნიშნები, რომელთა მიხედვითაც შეგიძლიათ განსაზღვროთ, სჭირდება თუ არა თქვენი ავტომობილის კონდიციონერს გამართვა ან რემონტი:

* უცხო სუნი მოწყობილობის მუშაობისას;
* სალონი აღარ გრილდება საჭირო ტემპერატურამდე და გროვდება ტენი;
* მოწყობილობის მუშაობისას ისმის ხმაური;
* არ უზრუნველყოფს საჭირო ტემპერატურას;
* არ მუშაობს რადიატორი ან კომპრესორი.

კონდიციონერის გასამართავად, პირველ რიგში, ხდება მისი დიაგნოსტიკა მიზეზებისა და გაჟონვის მოცულობის დასადგენად. ფრეონის შეყვანამდე ავტოკონდიციონერი უნდა გათავისუფლდეს მასში შეღწეული ჰაერისა და ტენისგან. **მნიშვნელოვანია, სწორად გამოითვალოს ფრეონის საჭირო რაოდენობა, რადგან მისი სიმცირის შემთხვევაში სალონში ტემპერატურა საჭირო დონეს ვერ მიაღწევს, სიჭარბის შემთხვევაში კი მოწყობილობა ზღვრულ სიმძლავრემდე ამუშავდება, რის გამოც შეიძლება ავტომატურად გაითიშოს ან სულაც გაფუჭდეს.**

ავტომობილის კონდიციონერის ჰერმეტულობა რომ არ დაირღვეს, რეგულარულად უნდა გარეცხოთ რადიატორი, სისტემა სუფთად შეინახოთ და ყურადღებით ადევნოთ თვალი ნებისმიერ ცვლილებას მუშაობის პროცესში.

გულმოდგინე მოვლა, რეგულარული დიაგნოსტიკა და სწორად გამართვა უზრუნველყოფს კონდიციონერის ნორმალურ მუშაობას და ჰერმეტულობის დარღვევის ალბათობას მინიმუმამდე ამცირებს.





# 6 მეთოდი, რომლებიც კიდევ უფრო დაგაახლოებთ საყვარელ ადამიანს

**ეს წესები მოქმედებს იმ წყვილებისთვის, რომელთა ურთიერთობაც ჩანასახშია, აგრეთვე, მათთვისაც, რომლებიც დიდი ხანია, ერთად ცხოვრობენ. ზოგჯერ გარემოებები ისე დაემთხვევა ხოლმე, რომ მოსიყვარულე ცოლ-ქმრის ურთიერთობას სიცივე შეეპარება და აღარ იციან, როგორ მოიქცნენ — დაშორდნენ თუ შეეცადონ, შექმნილი ვითარება გამოასწორონ და ურთიერთობა განაახლონ. აი 6 მთავარი ხერხი, რომლებიც დაგეხმარებათ, კვლავ დაუახლოვდეთ თქვენს მეორე ნახევარს:**

### 1. ისწავლეთ ემოციების გამოხატვა

თუ ხვდებით, რომ რაღაცის გამო ძალიან უკმაყოფილო ხართ და ეს-ესაა იფეთქებთ, უთხარით ამის შესახებ თქვენს მეორე ნახევარს: **„ძალიან მწყინს, ასე რომ იქცევი", „ძალიან არ მსიამოვნებს, როდესაც ჩემს აზრს არ ითვალისწინებ".** ემოციების გამოხატვა წარმატების ნახევარია. როდესაც თქვენს მეორე ნახევარს ეცოდინება, რასაც განიცდით, უკეთ გაგიგებთ, ეს კი ემოციურ სიახლოვეს კიდევ უფრო გააღრმავებს.

### 2. ისწავლეთ გულწრფელად მოგოდიშება

ხშირად ხართ გულწრფელი, როდესაც საყვარელ ადამიანს პატიებას სთხოვთ? არასოდეს? ძალიან იშვიათად? ფრაზებს „მაპატიე", „შემთხვევით მომივიდა" მექანიკურად წარმოთქვამთ? ადამიანს, რომელიც გულწრფელად ინანიებს, ეცვლება ხმის ტემბრი, უჩნდება ნაზი ნოტები... დაიმახსოვრეთ, **გულწრფელი ადამიანის მიმართ წყენის დიდხანს შენარჩუნება შეუძლებელია.**

### 3. არასოდეს მიმართო შანტაჟს

ყოველი კინკლაობის ან თუნდაც ჩხუბის შემდეგ ურთიერთობის გაწყვეტით დამუქრება ძალიან დიდი შეცდომაა. **თუკი ურთიერთობა თქვენთვის ფასეულია, არასოდეს დაიწყოთ მისით მანიპულაცია.**

### 4. ხშირად მოეხვიეთ

თუ გსურთ, ურთიერთობა მტკიცე იყოს, ხშირად მოეხვიეთ საყვარელ ადამიანს. ეს დაგეხმარებათ, შეამციროთ დაძაბულობა და სიცივე ურთიერთობებში. დაიმახსოვრეთ: **რაც უნდა მოხდეს, ყოველთვის ერთ ლოგინში დაიძინეთ!**

### 5. სექსი მთავარი არ არის

ბევრი ქალი ფიქრობს, რომ ურთიერთობის აწყობას სექსის დახმარებით შეძლებს, მაგრამ ეს ასე არ არის. იმის განმტკიცება, რაც გაქვთ, შეიძლება; ნულიდან დაწყება კი — არა.

### 6. განავითარე ურთიერთობა

ურთიერთობა, მუდმივი კი არა, ცვალებადი სიდიდეა, ანუ ყველაფერი ცვალებადია. თუ თქვენ ისეთი აღარ ხართ, როგორიც 10 წლის წინათ იყავით, თქვენს მეორე ნახევარსაც მიეცით უფლება, შეიცვალოს. დაგეგმეთ მომავალი, იმსჯელეთ, იოცნებეთ, დატკბით ცხოვრებითა და ერთმანეთით.

როგორც ერთმა ბრძენმა თქვა: „ურთიერთობაზე უნდა იმუშაო!", ამიტომ გაუფრთხილდით ურთიერთობას და ააგეთ თქვენი მომავალი თქვენივე ხელით.

# ყველაზე ეკონომიური ყველგანმავალი ავტომობილები




**ყველგანმავალთა შორის, მიუხედავად მისი პრესტიჟულობისა და სიძვირისა, არის ეკონომიური მოდელებიც. გონიერი ადამიანი სახსრებსაც გონივრულად ხარჯავს, ამიტომ ავტომობილის შეძენისას ყურადღებას აქცევს მის ისეთ მახასიათებელს, როგორიც არის ეკონომიურობა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველგანმავლების სათადარიგო ნაწილებიც არ არის იაფი, ბევრ საწვავსაც ხარჯავს და მომსახურებაც ძვირია, მაგრამ მათ შორისაც შეიძლება ავარჩიოთ ყველაზე ეკონომიური.**

**Toyota Urban Cruiser** მომხმარებელმა პირველად 2009 წელს იხილა. თავდაპირველად მას 1,5-1,8 ლ მოცულობის ძრავა ჰქონდა, მაგრამ მოგვიანებით კამპანიამ სპეციალურად ევროპელებისთვის გამოუშვა ეს მოდელი დიზელის ძრავით, რომლის მოცულობაც 1,4 ლიტრია, სიმძლავრე 90 ცხ. ძალა.

სწორედ „ტოიოტას" ეს მოდელი ითვლება ყველაზე ეკონომიურ ყველგანმავალ ავტომობილად. **ქალაქის ქუჩებში ეს მანქანა 100 კმ-ზე 5,3 ლ საწვავს ხარჯავს, ქალაქგარეთ მაგისტრალებზე კი — მხოლოდ 4 ლიტრს.**




**Ford Ecape Hibrid**-ი კი იმ ავტომობილთა შორის, რომლებიც ბენზინს მოიხმარენ, ყველაზე ეკონომიურია. მისი ძრავის მოცულობა 2,3 ლიტრია, სიმძლავრე — 133 ცხ. ძალა. **ამ ავტომობილს 100 კმ-ის გასავლელად 7,8 ლ ბენზინი სჭირდება.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**14 აგვისტოს ახალ მთვარეობაა. რთული პერიოდი მგრძნობიარე ადამიანებისთვის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვებისთვის. ემოციური ფონი და აღგზნებულობა გაართულებს ურთიერთობებს. წარმატებას მიაღწევენ მორიელისა და მშვილდოსნის ნიშნებით დაბადებულები.**

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**12 – 18 აგვისტო ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი

**21 მარტი — 20 აპრილი**

გაგიჩნდებათ უამრავი იდეა, სურვილი და მოთხოვნა. მოინდომებთ, რამდენიმე საქმეს ერთდროულად შეეჭიდოთ, მაგრამ შესაძლოა, ძალები არ გეყოთ, ამიტომ დაგეგმეთ შესასრულებელი საქმეები და ნელ-ნელა, თანმიმდევრულად დაიწყეთ დასახული მიზნისკენ სვლა.

მზად ხართ, საოცნებო ადამიანის გულის მოსანადირებლად სიგიჟეებიც კი ჩაიდინოთ, ამიტომ სასურველ შედეგს აუცილებლად მიაღწევთ.

დაიცავით კვების რეჟიმი. რაციონში ჩართეთ ბანანი და ნიგოზი, რადგან ეს პროდუქტები სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების თავიდან ასაცილებლად.

**დადებითი დღე: 14 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 18 აგვისტო.**

## კურო

**21 აპრილი — 21 მაისი**

ბევრი საქმე დაგიგროვდებათ და შესაძლოა, ზუსტად ვერ განსაზღვროთ, რომლის კეთება უნდა დაიწყოთ პირველ რიგში. ამასთანავე, დახმარება დასჭირდებათ ახლობლებს, თქვენ კი საქმეებში ისე იქნებით ჩაფლული, შეიძლება სათანადო ყურადღება ვერ დაუთმოთ, რაც მათ გაანაწყენებთ.

საყვარელ ადამიანთან მოსალოდნელია კონფლიქტი ყოფით პრობლემებზე. მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ახლობლების მიმართ.

ამ პერიოდში თქვენთვის აუცილებელია სრულფასოვანი კვება, დიეტის დაცვა რეკომენდებული არ არის.

**დადებითი დღე: 13 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 16 აგვისტო.**

## ტყუპი

**22 მაისი—21 ივნისი**

მოვლენებით საკმაოდ დატვირთული პერიოდია. ყოველდღიური პრობლემები გაიძულებთ, დაფიქრდეთ თქვენს საქციელზე და შეგაცვლევინებთ თვალსაზრისს სხვადასხვა საკითხზე. კარგად გააანალიზეთ გაკვეთილები, რომლებსაც ამ პერიოდში ცხოვრება შემოგთავაზებთ.

იმ ტყუპებს, რომელთა გულიც თავისუფალია, მიეცემათ ძველი ურთიერთობის აღდგენის შანსი და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვათ.

ამ პერიოდში თქვენი ყველაზე სუსტი წერტილია კუჭი. დაიცავით კვების რეჟიმი და უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელზე.

**დადებითი დღე: 15 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 12 აგვისტო.**

## კირჩხიბი

**22 ივნისი—22 ივლისი**

სამსახურში შეიძლება, კონფლიქტურ სიტუაციაში აღმოჩნდეთ, თუ ენას კბილს არ დააჭერთ და თავს ყველაფრის შემძლედ წარმოიდგენთ. გაითვალისწინეთ კოლეგებისა და ხელმძღვანელების შენიშვნები.

აუცილებლად გაგიმართლებთ სიყვარულში. თუ თქვენი გული თავისუფალია, შეიძლება შეხვდეთ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელს, რომელიც ცხოვრების მეგზურობას გაგიწევთ სიცოცხლის ბოლომდე.

ამ პერიოდში არ ღირს კოსმეტიკური საშუალებებით ექსპერიმენტების ჩატარება, რადგან დიდია ქრონიკული ალერგიული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 14 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 16 აგვისტო.**

## ლომი

**23 ივლისი —22 აგვისტო**

საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, თვალსაზრისის შეცვლა ამა თუ იმ საკითხზე, ახლობელ ადამიანთან დაშორება — ეს არასრული ჩამონათვალია იმ ცვლილებებისა, რომლებიც ამ პერიოდში გელით. გამონახეთ ძალები ამ ცვლილებებთან გასამკლავებლად, წინდახედულად იმოქმედეთ, ემოციებს ნუ აჰყვებით და შეინარჩუნეთ ოპტიმიზმი.

მარტოხელა ლომები შეიძლება შეხვდნენ ძველ თაყვანისმცემელს და მასთან მგზნებარე რომანი გააჩაღონ.

ნუ გადაღლით თვალებს — ნაკლები დრო გაატარეთ კომპიუტერთან და ტელევიზორთან.

**დადებითი დღე: 12 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 18 აგვისტო.**

## ქალწული

**23 აგვ. —23 სექტემბ.**

ახლა არ ღირს აქტიურობა. წინდახედულად იმოქმედეთ და, ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებდეთ, ყველა დეტალი კარგად გააანალიზეთ, რჩევისთვის კი გამოცდილ ადამიანებს მიმართეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, შესაძლოა, მოგიწიოთ მემკვიდრეობით გადმოცემული უძრავი ქონების პრობლემის მოგვარება.

სიფრთხილე გამოიჩინეთ ელექტროხელსაწყოების გამოყენებისას და ყურადღებით მართეთ ავტომობილი!

**დადებითი დღე: 13 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 18 აგვისტო.**

## სასწორი

**24 სექტ. — 23 ოქტ.**

მოსალოდნელია ინტერესთა დაჯახება და კონფლიქტები, თუ გაჯიუტდებით და თავგამოდებით დაიცავთ თქვენს პოზიციას, ნუ „ჩაიციკლებით“ რომელიმე იდეაზე, სჯობს, დიპლომატიურად იმოქმედოთ. ამით კონფლიქტს თავიდან აირიდებთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას თუ ემოციებს არ მოთოკავთ, კონფლიქტი გარდაუვალია. ამან კი, შესაძლოა, განშორებამდეც მიგიყვანოთ.

თუ ნაღვლის ბუშტისა და ღვიძლის დაავადება გაქვთ გადატანილი, აუცილებლად მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 13 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 17 აგვისტო.**

## მორიელი

**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

გელით წარმატება — როგორც მორალური, ისე მატერიალური. შეიძლება, მოგიმატონ ხელფასი ან დაგაწინაურონ. გარდა ამისა, სასიკეთო პერიოდია ახალი პროექტების დასაწყებად, რომლებიც ფინანსურ სარგებელს მოგიტანთ.

კარგი იქნება, თუ დაქორწინებული მორიელები შვებულებას მეუღლესთან გაატარებენ. ეს მათ ურთიერთობას გააღრმავებს და ახალ დონეზე აიყვანს.

დიდია საყოფაცხოვრებო ტრავმის ალბათობა, ამიტომ ფრთხილად იმოქმედეთ. უარი თქვით ცხიმებითა და ნახშირწყლებით მდიდარი საკვების მიღებაზე.

**დადებითი დღე: 12 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 15 აგვისტო.**

## მშვილდოსანი

**23 ნოემ. — 21 დეკ.**

შეძლებთ, ხორცი შეასხათ სურვილებსა და გეგმებს. გაგიჩნდებათ შესაძლებლობა, დაიწყოთ მოღვაწეობა თქვენი მატერიალური ამბიციების დასაკმაყოფილებლად, შეიძლება მოეწყოთ ახალ სამსახურში, ჩადოთ თანხა უძრავ ქონებაში ან დადოთ სარფიანი გარიგება. თუ ყველა დეტალს გულდასმით გააანალიზებთ, წარმატებას იოლად მიაღწევთ.

საყოფაცხოვრებო პრობლემები საყვარელ ადამიანთან ერთად მოაგვარეთ. მოერიდეთ მზის მწველ სხივებს და მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 12 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 18 აგვისტო.**

## თხის რქა

**22 დეკემ. — 20 იან.**

ენერგიით აღსავსე ხართ და უნდა იაქტიუროთ დასახული მიზნების მისაღწევად, თუმცა ზოგჯერ მოხერხებულად უნდა იმოქმედოთ.

კოლეგებსა და ხელქვეითებს უმნიშვნელო დეტალებზე ნუ მიედავებით, რადგან შესაძლოა, უთანხმოება მწვავე კონფლიქტში გადაიზარდოს.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას თუ გაჯიუტდებით და მოთხოვნების კორიანტელს დააყენებთ, კონფლიქტი გარდაუვალი იქნება.

თუ თირკმლებისა და შარდ-სასქესო გზების პრობლემები გაწუხებთ, აუცილებლად მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 17 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 14 აგვისტო.**

## მერწყული

**21 იან. — 19 თებ.**

აქტიურობა რეკომენდებული არ არის. შესაძლოა, დაიწყოს მნიშვნელოვანი და მტკივნეული ცვლილებები, რომლებსაც წინ ვერ აღუდგებით. დაელოდეთ, ვიდრე ყველაფერი გაირკვევა და ამის შემდეგ მიიღეთ გადაწყვეტილებები.

მეტი ყურადღება გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანის მიმართ — იზრუნეთ მასზე და შეეცადეთ, მოუწყოთ სიურპრიზი.

ახლა თქვენი სუსტი წერტილია გული და, თუ ამ ორგანოს რომელიმე დაავადება გადატანილი გაქვთ, აუცილებლად ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 13 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 18 აგვისტო.**

## თევზები

**20 თებ. — 20 მარტი**

ბევრი ვალდებულება გაწევთ მხრებზე და ისინი არც ამ პერიოდში შემცირდება, მაგრამ ნუ დაღონდებით — თუ ყველა საქმის კეთებას ჩვეული შრომისმოყვარეობით შეუდგებით, პრობლემებს მოაგვარებთ.

იზრუნეთ ნათესავებთან და ახლობლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე, რადგან მათი მხარში ამოდგომა ძალიან დაგჭირდებათ.

მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრებს და შეეცადეთ, მათთან ერთად მოაგვაროთ საყოფაცხოვრებო პრობლემები.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 15 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 18 აგვისტო.**

# გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ საფირმო სკანვორდი და მსოფლიოში პოპულარული სუდოკუს ამოცანები

გაერთეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები იხ. 32-ე გვერდზე



1. ყავის სახეობა
2. ლიტვის პარლამენტი
3. დედნის კოპია
4. ... ლორენი
5. ინგლისური ჯგუფი „შაშნეს-ტერ ...“
6. ფრანგი მარშალი მიშელ ...
7. სამეურნეო იარაღი
8. რასაც ვაჭედებთ
9. ებრაული წარმოშობის პოლიტოლოგ-ფილოსოფოსი ქალი
10. მსახიობი ... გოსლინგი
11. იაპონური ავტომარკა
12. მშვიდი, უშფოთველი ცხოვრება
13. მთავარი სისხლძარღვი
14. უძველეს სახელმწიფოებში მოხელე
15. მსახიობი ... ჯანაშია
16. ქართული ფილმი „... ნატვრის ხე“
17. მხ.ფ. „უცხო პლანეტელი ...“
18. სახელმწიფო თანამეგობრობა სუდანის ტერიტორიაზე
19. მორცხვი ყვავილი
20. მუსლიმთა სულიერი წინამძღოლი
21. საზეიმო ლირიკული ლექსი
22. მსახიობი ... ჰეპბერნი
23. კვირის დასაწყისი
24. მსახიობი ... აბაშიძე
25. შოკოლადის ნარევი
26. ხის რტო
27. სამი კაცისგან შემდგარი ანსამბლი
28. მსახიობი ... დამი
29. ხორვატი მწერალი ... მეშაკი
30. სასროლეთი
31. თურქეთის დედაქალაქი
32. წინასწარ გადახდილი თანხა
33. მზის ღმერთი ეგვიპტურ მითებში
34. ინგლისელი რეჟისორი ... რიჩი
35. წმინდა-მატყლიანი ცხვრის ჯიში
36. ... ბრაუნი
37. ჩეხეთის დედაქალაქი
38. იგივეა, რაც ნიავი
39. შვედური ავტომარკა
40. მომღერალი ... ნემსაძე
41. ალექსანდრე დიუმა „დედოფალი ...“
42. მტაცებელი ფრინველი
43. ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ... ჯავახიშვილი
44. V საუკუნის ქართველი მწერალი ... ცურტაველი
45. მომღერალი ... მაკგრეგორი
46. სიარულის უნარის დაკარგვა
47. შტატი ინდოეთში
48. იაპონური ხელოვნება
49. ფრინველის სახლი
50. სამოთხის ბაღი
51. მათემატიკის დარგი
52. განგსტერი ... კაპონე
53. ელექტრული განმუხტვა ატმოსფეროში
54. მსახიობი ... რიგზი
55. კონტინენტის ნაწილი
56. უკრაინის პარლამენტი
57. სატელევიზიო პრემია
58. აღმ. ორთაბრძოლების ერთ-ერთი სტილი
59. შუა საუკუნეების ფრანგი წინასწარმეტყველი
60. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ — ძაღლი
61. გარეკანი
62. ინგლისელი რეჟისორი ... პარკერი
63. ღამის ფრინველი





## სუდოკუ

სუდოკუ (იაპ. სუ — ციფრი, დოკუ — ცალკე მდგომი) — ეს არის უძველესი იაპონური თავსატეხი, რომელიც დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია პოპულარული.

სუდოკუს ველი 81 კვადრატისგან შედგება (9X9), და მათგან რამდენიმეში (არანაკლებ 9-სა) ჩაწერილია ციფრები 1-დან 9-მდე (მინიშნებები). თავსატეხის ამოსახსნელად საჭიროა ყველა თავისუფალი კვადრატის შევსება ციფრებით 1-დან 9-მდე ისე, რომ თითოეულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტში, აგრეთვე, თითოეულ პატარა კვადრატში (3X3-ზე) ყველა ციფრი გვხვდებოდეს მხოლოდ ერთხელ.

### მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 6 | | 7 | 4 | | 2 |
| | | 3 | | | 8 | | | |
| 7 | | | 4 | | | | 9 | |
| | | 2 | 3 | | 6 | | | 1 |
| | 9 | 6 | | | | 5 | 7 | |
| 1 | | | 9 | | 5 | 6 | | |
| | 5 | | | | 9 | | | 6 |
| | | | 7 | | | 2 | | |
| 2 | | 9 | 5 | | 3 | | | |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | 3 | | | |
| | 2 | 5 | | 4 | | | | |
| 4 | | | 2 | | 1 | | 9 | |
| 8 | | | 3 | 9 | | | 4 | |
| | | 7 | | | | 6 | | |
| | 4 | | | 2 | 5 | | | 7 |
| | 1 | | 5 | | 6 | | | 3 |
| | | | | 7 | | 9 | 8 | |
| | | | 4 | | | | | 1 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 2 | | |
| 7 | | | 2 | 3 | | | | 4 |
| | | | | 7 | | 1 | 3 | |
| | | 5 | | | 9 | | 4 | |
| | | 1 | | 8 | | 9 | | |
| | 8 | | 6 | | | 5 | | |
| | 7 | 4 | | 1 | | | | |
| 2 | | | | 9 | 8 | | | 7 |
| | | 9 | | | | | | |

# ზეცის ბინადარი

## გია ყანჩელი 80 წლისაა

**ბატონი რეზო გაბრიაძე „საქართველო და მსოფლიოს“ ფურცლებიდან მიესალმება მსოფლიოში სახელგანთქმულ ხელოვანს, კომპოზიტორ გია ყანჩელს, რომელსაც გასულ ორშაბათს, ანუ 10 აგვისტოს, 80 წელი შეუსრულდა.**



რეზო გაბრიაძე, გია ყანჩელის პორტრეტი, 1970-იანი წლები

ერთდროულად სწავლობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც მაშინ სტალინის სახელობისა იყო, მაგრამ ერთმანეთს არ იცნობდნენ.

ზეცის ბინადარნი.

— გია ყანჩელი ფილმზე მუშაობისას გავიცანი, — **ამბობს ბატონი რეზო**, — ასე დაიწყო ჩვენი შემოქმედებითი თანამშრომლობა, რომელიც ფილმიდან ფილმში ძლიერდებოდა და ოჯახებით მეგობრობაში გადაიზარდა.

კაცს დაბადების დღეს რომ მიულოცავ, სადღეგრძელო უნდა უთხრა, მისი შემოქმედების ანალიზით არ გადაღალო, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენო. მეც მოკლედ ვიტყვი.



თითქმის ორმოცი წელიწადია, ერთად ვართ.

ბევრ ფილმზე გვიმუშავია: „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „არ იდარდო“, „შერეკილები“, „პასპორტი“, „ქინძაძა“ და ასე შემდეგ.



იყო მუშაობა და იყო მეგობრობა, რომელმაც ბევრ გამოცდას გაუძლო, ბევრი სიძნელე გამოვიარეთ, მათ შორის, სახელმწიფო წყობილების შეცვლაც.

ასე მოვიტანეთ დღემდე ერთმანეთის სიყვარული და ურთიერთპატივისცემა.

**„გია ყანჩელი ჩემი ცხოვრების, ჩემი მოგონებების, ჩემი იმ სიხარულის ნაწილია, რომელიც ახალგაზრდობაში და მომდევნო წლებში განმიცდია, — წერს რეზო გაბრიაძე წიგნში „გია ყანჩელი დიალოგებში“, — ამავე დროს ძნელია მასზე საუბარი, განსაკუთრებით მე მიჭირს, რადგან ძალიან ახლოსაა ჩემთან, როგორც ადამიანი და ძალიან შორს დგას, როგორც მუსიკოსი, კომპოზიტორი.**

**მისი მუსიკის მთელი სიღრმისა და არსის გაგებაში რამდენიმე კონცერტი დამეხმარა. ეს იყო დასავლეთში. მოწმე გავხდი — არ მიყვარს სიტყვა „წარმატება“, ეს არ იყო წარმატება დამსწრე საზოგადოებაში მოპოვებული, იყო ის ნათელი განწყობილება, რომელიც გეუფლება, როცა შეეხები რაღაც ძალიან ნამდვილს, დიდს, რომელიც იმ სიღრმეებამდე აღწევს, რომელთა არსებობა ადამიანს თავადაც ვერ წარმოედგინა. მას შეუძლია სულში შეღწევა, ეს კი ბედნიერებაა... მას შეუძლია გულის სიღრმემდე ჩაწვდომა და, ამასთან ერთად, დისტანციის დაცვა მსმენელთან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეუძლია, შექმნას ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოებები. ჩანს, მას ეხმარება ქართული მუსიკის, ქართული სულის სიღრმისეული გაგება. ძნელია, არ დაეთანხმო, რომ ენა საუკეთესო მუსიკაა და, ამ თვალსაზრისით, გია ყანჩელს შეიძლება ვუწოდოთ ქართულიდან საერთაშორისო მუსიკალურ ენაზე ყველაზე საუკეთესო მთარგმნელი“** (Гия Канчели в диалогах, გვ. 155-157).

— რას ვუსურვებ გიას?

ვუსურვებ კიდევ ოთხ-ხუთ სურათზე მუშაობას. შემდეგ — დასვენებას.

ვულოცავ გიას ოთხმოცი წლის იუბილეს! არ ვიცი, ახლა აქ არის, თუ სადაა... მის შესანიშნავ მეუღლეს — ლიულიას მივულოცავ, სანდროს და ნატოს, რომლებიც სულ პატარები მახსოვს, მის შვილიშვილებს, მეგობრებს.

**ასე თქვა რეზო გაბრიაძემ. და გაატანა ეს მილოცვა „უსადენო კავშირს“ — უცხო ფრინველს, აჩაჩა ურემს, რომელიც ვერტიკალური სიყვარულით გეზმიცემული დღემდე მიჰყვება დილის მზეს, „სულ ზევით და ზევით რომ ადის“:**

„გადაუფრინეს ხუხულებს, ბაღნარებს, ძველსა და ახალ მკვდრებს, დაბლებს, მაღლებს, წმიდანებს, ყომარბაზებს, თამარ მეფის საფლავს, ფეხმძიმე გიმნაზისტკას, მცხეთას, ალავერდს, ჩიქოვანების საძვალეს, ხატის მიწებს, ნასახლარს, გატეხილ ციხეებს, მიტოვებულ საყდრებს, ლელვნარს, თათრის შარას, ნაფურნევს, დათვის ტანსაბანს, ბოგვერაძეებს, ტიკარაძეებს, დადიანებს, გურიელის საკურდღლეს, შველის ნაწოლს, დათიას თელას, ონს, ხონს, ობოლ მსხალს, კავთისხევს, ფაქიზაანთ უბანს, ურიის ბორანს, ვასილას ნალიებს.

გადაუფრინეს მღვდლის ვენახს, ქლიავბარდებს, ანდროებს, პატარა მაღაროს, ტატიას ქოხს, ფაციას კაკალს, ერთი სიტყვით, რასაც ჩვენ საქართველოს ვუწოდებთ“ ***(„შერეკილები“).***

**გადაუფრინეს გია ყანჩელის ღვთაებრივი მუსიკის ტალღებზე.**

**აკი გითხარით, ზეცის ბინადარნი არიან-მეთქი.**

**P.S. „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციის ჟურნალისტები ბატონ რეზოსთან ერთად ულოცავენ დიდ ქართველ კომპოზიტორსა და გამორჩეულ ხელოვანს, ბატონ გია ყანჩელს ღირსშესანიშნავ იუბილეს.**

**სიკეთე და ბედნიერება თქვენ და თქვენს ოჯახს, ბატონო გია!**



## 31-ე გვერდზე გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ფოტებზე: გურამ სალარაძე; ჯვარი; რობერტ დე ნირო. 1. არაბიკა; 2. სეიმი; 3. ასლი; 4. ოფრი; 5. სიტი; 6. ნეი; 7. ურო; 8. ლურსმანი; 9. უზი; 10. რაენ; 11. ინფინიტი; 12. იდილია; 13. არტერია; 14. აბიტურიენტი; 15. მარინა; 16. ნეილონის; 17. იტი; 18. ალოა; 19. მიმოზა; 20. იმამი; 21. ოდა; 22. ოდრი; 23. ორშაბათი; 24. ლეილა; 25. ასორტი; 26. შტო; 27. ტრიო; 28. ვან; 29. ივო; 30. ტირი; 31. ანკარა; 32. ბე; 33. რა; 34. გაი; 35. რამბულიე; 36. ევა; 37. პრაღა; 38. სიო; 39. სააბი; 40. ოთო; 41. მარგო; 42. ძერა; 43. ივანე; 44. იაკობ; 45. ევან; 46. აბაზია; 47. გოა; 48. ორიგამი; 49. ბუდე; 50. ედემი; 51. ალგებრა; 52. ალ; 53. ელვა; 54. კიანუ; 55. აზია; 56. რადა; 57. ემი; 58. აიკიდო; 59. ნოსტრადამუსი; 60. მურადა; 61. ყდა; 62. ალან; 63. რამურა.

### მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 1 | 8 | 6 | 5 | 7 | 4 | 3 | 2 |
| 4 | 2 | 3 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 5 | 7 | 2 | 3 | 4 | 6 | 9 | 8 | 1 |
| 3 | 9 | 6 | 8 | 2 | 1 | 5 | 7 | 4 |
| 1 | 8 | 4 | 9 | 7 | 5 | 6 | 2 | 3 |
| 8 | 5 | 7 | 2 | 1 | 9 | 3 | 4 | 6 |
| 6 | 3 | 1 | 7 | 8 | 4 | 2 | 5 | 9 |
| 2 | 4 | 9 | 5 | 6 | 3 | 8 | 1 | 7 |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 3 | 2 | 5 | 4 |
| 3 | 2 | 5 | 9 | 4 | 8 | 1 | 7 | 6 |
| 4 | 7 | 6 | 2 | 5 | 1 | 3 | 9 | 8 |
| 8 | 6 | 1 | 3 | 9 | 7 | 5 | 4 | 2 |
| 2 | 5 | 7 | 8 | 1 | 4 | 6 | 3 | 9 |
| 9 | 4 | 3 | 6 | 2 | 5 | 8 | 1 | 7 |
| 7 | 1 | 9 | 5 | 8 | 6 | 4 | 2 | 3 |
| 6 | 3 | 4 | 1 | 7 | 2 | 9 | 8 | 5 |
| 5 | 8 | 2 | 4 | 3 | 9 | 7 | 6 | 1 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 1 | 8 | 9 | 5 | 4 | 2 | 7 | 6 |
| 7 | 9 | 6 | 2 | 3 | 1 | 8 | 5 | 4 |
| 5 | 4 | 2 | 8 | 7 | 6 | 1 | 3 | 9 |
| 6 | 3 | 5 | 1 | 2 | 9 | 7 | 4 | 8 |
| 4 | 2 | 1 | 7 | 8 | 5 | 9 | 6 | 3 |
| 9 | 8 | 7 | 6 | 4 | 3 | 5 | 2 | 1 |
| 8 | 7 | 4 | 3 | 1 | 2 | 6 | 9 | 5 |
| 2 | 6 | 3 | 5 | 9 | 8 | 4 | 1 | 7 |
| 1 | 5 | 9 | 4 | 6 | 7 | 3 | 8 | 2 |


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



საქართველო და მსოფლიო

ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6

ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894